პალიტრა მედია

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 დეკემბერი **სამშაბათი** 2009

№301 (12980) ფასი 60 თეთრი




FIFA World Player 2009

# ყველაფერი მესია



წუხელ ფიფას გალა-საღამოზე ლიონელ მესიმ კიდევ ერთი ინდივიდუალური ჯილდო შესძინა თავის უმდიდრეს კოლექციას - არგენტინელი სუპერვარსკვლავი მსოფლიოს ეროვნულ ნაკრებთა მწვრთნელებისა და კაპიტნების გამოკითხვით „წლის საუკეთესო ფეხბურთელად“ აღიარეს. „ბარსელონას“ შემტევმა, რომელიც გასულ წელს მეორე ადგილზე გავიდა, 1047 ქულა დააგროვა. შემდეგია კრიშტიანო რონალდო 352 ქულით და კიდევ უფრო ნაკლები (196) მოაგროვა მესამე ადგილზე გასულმა ჩავი ერნანდესმა.

ფერენც პუშკაშის სახელობის პრიზი, რომელიც ამიერიდან „წლის საუკეთესო გოლის“ ავტორს გადაეცემა, კრიშტიანო რონალდომ ჩაიბარა. მისმა გოლმა, რომელიც „პორტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში გავიდა, ფიფას ოფიციალური საიტის მომხმარებელთა კონკურსში (100 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა) გაიმარჯვა.

„წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი“ ბრაზილიელი მარტა გახდა. მსოფლიოს 50 ათასმა პროფესიონალმა ფეხბურთელმა კი „2009 წლის გუნდი“ ასეთი შემადგენლობით დააკომპლექტა: იკერ კასილიასი, დანი ალვეში, ჯონ ტერი, ნემანია ვიდიჩი, პატრის ევრა, ჩავი ერნანდესი, ანდრეს ინიესტა, სტივენ ჯერარდი, ლიონელ მესი, კრიშტიანო რონალდო, ფერნანდო ტორესი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



## დინამოს საკითხი იანვარში გაირკვევაო...

მერაბ ჟორდანია პატარკაციშვილის ქვრივს შეხვდა?

» გვერდი 3



## ჯონ ტერი თაღლითობაში ამხილეს

რა ხდებოდა ჩელსის ბაზაზე

» გვერდი 7



## ტოჩინოშინი პირველი მაეგაშირაა

სუმო. წლის ბოლო რეიტინგი

» გვერდი 12




## ყურადღება, არ გამოგრჩეთ!

შაბათის ლელო და მუნდიალის კალენდარი ჯერ კიდევ გაყიდვაშია

ფეხბურთის ფედერაცია

# სად არის მსაჯების უფროსი?

## მალაღურაძის დანიშვნას არ ადასტურებენ. პრესატაშის პოსტიც ვაკანტურია

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა** კადრებს დიდი სიფრთხილით არჩევს. რა თქმა უნდა, ეს კარგია - ფეხბურთი ისეთი სფეროა, სადაც კადრების დეფიციტია და თითოეულ პოსტზე კაცის შერჩევას ასჯერ აწონ-დაწონა სჭირდება...

მაგრამ მეორე მხრივ, არც ის არის კარგი, პროცესი უსასრულოდ რომ იწელება. საქმე ისაა, რომ ბევრი საკვანძო პოზიცია ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი. მაგალითად, მსაჯთა და მსაჯებზე დამკვირვებელთა კომიტეტის თავჯდომარის თანამდებობაზე დღემდე არავინ დანიშნულა. სხვათა შორის, ეს ერთ-ერთი იმ საკითხთაგანია, რომელზეც ფედერაციის თავკაცი და **გიორგი ნემსაძე** ვერ შეთანხმდნენ და თანამშრომლობა ამიტომაც არ შედგა. სიჭინავას მსაჯთა უფროსად **სერგო კვარაცხელიას** დანიშვნა სურდა, ნემსაძე კი **ლევან ფანიაშვილის** მომხრე გახლდათ. ამ ბრძოლას თავად ფანიაშვილმა აარიდა თავი - თანამდებობის დაკავება არ მსურსო...

ჰოდა, კვარაცხელიას დანიშვნა თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ის ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრად აირჩიეს. კომიტეტის ხელმძღვანელად კი ყოფილი მსაჯის, ფიფას არბიტრ **მერაბ მალალურაძის** დანიშვნას ელოდნენ. მალალურაძე ძველ ფედერაციასთან უბრად გახლდათ და, ფაქტობრივად, უმუშევრად იყო დარჩენილი. ბოლო ინფორმაცია ასეთია - როგორც ალმასკომის წევრი, კვარაცხელია მსაჯთა კომიტეტს გააკონტროლებს, ხოლო თავად კომიტეტს სხვა უხელმძღვანელებსო. ფედერაციაში მალალურაძის დანიშვნას არ ადასტურებენ - ჭორია და მეტი არაფერიო. ნებისმიერ შემთხვევაში, მსაჯთა და მსაჯებზე დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელი დროზე უნდა დაინიშნოს. ეს ის სფეროა, რომელსაც საქმის მცოდნე კაცის ხელი ჰაერივით სჭირდება.

ჯერჯერობით, არც ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელია დამტკიცებული. ამ მოვალეობას დროებით ითავსებს **თათია ბურდული**, რომელსაც მედიასთან ურთიერთობის საკმაო გამოცდილება სპორტის დეპარტამენტიდან მოსდევს და საქმეს კეთილსინდისიერადაც ასრულებს. სიჭინავამ ერთხელ საჯაროდ გათქვა პრესსამსახურის უფროსად **დავით ქლიბაძის** დანიშვნის სურვილი, მაგრამ ფაქტია, დღესდღეობით ეს პოსტიც ვაკანტურია. არადა, პრესცენტრი ისეთი სამსახურია, რომლის სრულად ამოქმედებაც ფედერაციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მედიისთვის.

**მერაბ მამულაშვილი**

პროფლიგა

# ახალი პრეზიდენტის მოლოდინში...

გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელსაც **დიმიტრი რამიშვილი** უძღვებოდა. მან გამგეობის წევრებს გადადგომის შესახებ აცნობა. იქვე გადაწყდა, თუ როდის გაიმართება პროფლიგის ახალი პრეზიდენტის არჩევნები.

*„დღეს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში გამგეობის სხდომა გაიმართა, რომელზეც ორი საკითხი იქნა განხილული - ლიგის პრეზიდენტის თანამდებობიდან ნებაყოფლობითი გადადგომა და შემდგომი არჩევნების დანიშვნა. პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა თავისი თანამდებობის დატოვების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა და მიზეზად სხვა სამუშაოზე გადასვლა დაასახელა. პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები 2010 წლის 25 იანვარს ჩატარდება“*, - იუწყება პროფლიგის პრესსამსახური.

სხდომაში თბილისის „დინამოს“, „ლოკომოტივის“, „გაგრის“, „ვიტ ჯორჯიის“, „ზესტაფონისა“ და „ამერის“ ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. უფრო დეტალური განმარტებებისთვის პროფლიგის გენერალურ მდივან **პაატა ბურჯალიანს** დავუკავშირდით.

**- პროფლიგის პრეზიდენტობის კანდიდატები უკვე გამოჩნდნენ?**

- ჯერჯერობით, ჩვენთვის უცნობია, ვინ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას.

**- რამდენი დელეგატი იქნება ყრილობაზე?**

- უმაღლესი ლიგის ყველა კლუბისა და პირველი ლიგის რამდენიმე წარმომადგენელი.

**- სად ჩატარდება არჩევნები?**

- თბილისში, მაგრამ სად, ეს ჯერ არ ვიცით, მალე გადაწყდება.

**- თქვენ სად გააგრძელებთ საქმიანობას?**

- ჯერ ყრილობას მოვამზადებ და მერე ვნახოთ...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# მიქუჩაძის დუბლი და ლიდერობა

ისრაელის ჩემპიონატის მორიგ ტურში **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელმა“ (თელ ავივი) „რაანანა“ 5:0 გაანადგურა. ქართველმა ფეხბურთელმა 90 წუთი ითამაშა. „ჰაპოელი“ 27 ქულით მეორე ადგილზეა და **ლადო დვალიშვილის** „მაქაბის“ 12 ქულით ჩამორჩება, თუმცა ორი თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

რანგით მეორე ლეუმითლიგაში ბათ-იამის „ირონიმ“ შინ 2:0 მოუგო ბეერ-შევას „მაქაბის“. მეორე ტაიმში სტუმრებს 3 გოლი გაუტანეს. მასპინძელთა რიგებში დუბლი **კოკა მიქუჩაძემ** შეასრულა, რომელმაც ჯერ 47-ე წუთზე პენალტით გახსნა ანგარიში, მეორე გოლი კი 89-ე წუთზე გაიტანა. მიქუჩაძეს სეზონში 7 გოლი აქვს გატანილი, ბათიამელები კი 29 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ოლიმპი



ჯერონიმო (№ 6) მიდის, აკინო რჩება

# დიდი ცვლილებები

## ბრაზილიელები მიდიან და მოდიან. გურულისგან აფრიკელებსაც ელოდებიან

რუსთავის „ოლიმპის“ თავკაცებმა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნაწილისთვის მზადება პირველი ეტაპის დასრულებისთანავე დაიწყეს. კლუბი უკვე რამდენიმე ფეხბურთელს შეელია. ჩვენი ინფორმაციით, „ატლეტიკო პარანენსედან“ ჩამოყვანილი ფეხბურთელების ნაწილი, თავდამსხმელები - **ედი სალესი** და **ჯონატასი**, აგრეთვე, ნახევარმცველი **ჯერონიმო ოლივეირა** სამშობლოში დაბრუნდნენ. კლუბში მხოლოდ პლეიმეიკერ **ანდერსონ აკინოსა** და ცენტრალური მცველის, **ალექს ფრაგას** დატოვება გადაწყვიტეს.

თუმცა ძნელი წარმოსადგენია, „ოლიმპი“ მხოლოდ ორი ბრაზილიელის ამარა დარჩეს - როგორც შევიტყვეთ, **გოჩა ალადაშვილი** („ატლეტიკო პარანენსეს“ საერთაშორისო განყოფილების თანამშრომელი) კიდევ რამდენიმე ბრაზილიელის ჩამოყვანას აპირებს. თუ რა პოზიციაზე, მომავალი გვიჩვენებს. თავის მხრივ, კლუბის აფრიკელი ფეხბურთელებით მომარაგებაზე თადარიგი თბილისის „დინამოს“ ყოფილმა ფორვარდმა **გია გურულმაც** (საქართველოს ნაკრებში **ალენ ჟირესის** ექსასისტენტი) დაიჭირა. როგორც ცნობილია, გურული ფიფას ლიცენზირებული აგენტია და საქართველოში აქამდეც ბევრი ფეხბურთელი ჩამოიყვანა, მათ შორის, გაბონის ნაკრების რამდენიმე წევრი - **დიდიე ოვონო, პოლ კესანი, ჟორჟ აკირემი, ერნესტ აკუასაგა.**

ამ ნაკრებში კარგად იმუშავა ალენ ჟირესმა, რის შემდეგაც გაბონის ეროვნული გუნდის ფეხბურთელებით ბევრი კლუბი დაინტერესდა. თბილისის „დინამოს“ მეკარე ოვონო საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის „ლე მანმა“ 700 ათას ევროდ წაიყვანა, და ეს მაშინ, როცა მანამდე, საქართველოს ჩემპიონატიდან საფრანგეთში ფეხბურთელი არ მიუწვევიათ.

უდავოდ ნიჭიერი ნახევარმცველი პოლ კესანი „ზესტაფონს“ რასიზმის მომიზეზებით სკანდალურად დაშორდა და ისრაელში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, „ოლიმპის“ მარცხენა მცველი ერნესტ აკუასაგა კი - საფრანგეთში.

მეორე ეტაპის მოსამზადებელი პერიოდის დაწყებამდე გურული კვლავ აფრიკელი ფეხბურთელების ჩამოყვანას აპირებს - კოტ დ'ივუარიდან, ბურკინა ფასოდან და კამერუნიდან. მათგან ერთი მცველია, დანარჩენები კი ნახევარმცველი და თავდამსხმელი, სხვათა შორის, ნაკრების ფეხბურთელებიც.

„ოლიმპი“ მხოლოდ აფრიკელებისა და ბრაზილიელების მიმართ ინტერესით არ შემოიფარგლება - კლუბში რამდენიმე ქართველი ლეგიონერითაც დაინტერესდა. სია სოლიდურია - მინსკის „მტზ-რიპოს“ ლიდერი, ნახევარმცველი **გია კვარაცხელია** კონტრაქტზე დათანხმდა. ძნელი სათქმელია, რუსთაველებმა ასეთი რა პირობები შესთავაზეს, მაგრამ ფაქტია - „ოლიმპის“ გამო, კვარაცხელიამ ისრაელის რამდენიმე წამყვან კლუბსა და ავსტრიის ბუნდესლიგის ბინადარ „ვინერ ნოიშტადზე“ თქვა უარი.

„ოლიმპის“ პოტენციურ შენაძენთა სიაში კვარაცხელია ერთადერთი ქართველი არ გახლავთ - ყაზახეთის თასის მფლობელ „ატირაუს“ ნახევარმცველ **გიორგი ფეიქრიშვილისადმი** ინტერესზე „ლელო“ უკვე წერდა. რუსთაველებს სერბეთიდან „ვოევოდინას“ (ნოვი სადი) პლეიმეიკერ **მიხეილ ხუციშვილის** ჩამოყვანაც სურს, მაგრამ 29 წლის ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და რუსთაველთა ფორმას, ალბათ, ვერ მოირგებს.

შესაძლოა, მეორე ეტაპზე კლუბმა **რევაზ გეწაძეც** დაიმატოს. 24 წლის მარცხენა ნახევარმცველი 3 წლის წინანდელი „ოლიმპის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, ბოლო დროს კი ბაქოს „ოლიმპიკის“ ღირსებას იცავდა.

ეს ინფორმაციები „ოლიმპის“ ვიცეპრეზიდენტ **ზურაბ ჯაფარიძესთან** გადავამოწმეთ.

**- ბატონო ზურაბ, როგორც გავიგეთ, საკმაოდ სერიოზულ საკადრო ცვლილებებს გეგმავთ...**

- ეს ბუნებრივიცაა, რადგან „ოლიმპს“ ჩემპიონობა სურს და გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა.

**- როგორც შევიტყვეთ, „ოლიმპი“ დატოვეს ბრაზილიელებმა - სალესმა, ჯონატასმა და ჯერონიმომ...**

- დიახ, ბრაზილიელებიდან ამჟამად მხოლოდ აკინო და ფრაგა დარჩნენ.

**- სამი ბრაზილიელის ჩამოყვანაზეა ლაპარაკი - რა პოზიციაზე?**

- ჯერ არ ვიცით, კლუბის ხელმძღვანელობა უახლოეს დღეებში სწორედ ამ საკითხებზე დავილაპარაკებთ. ჯერ დასადგენია, რა შესაძლებლობები გვაქვს და გადაწყვეტილებებს აქედან გამომდინარე მივიღებთ.

**- გია გურული რა ამპლუის ფეხბურთელებს გზავნის?**

- ერთი მცველი იქნება, ორი თავდამსხმელი და ორიც, ალბათ, მარჯვენა და მარცხენა ნახევარმცველი. როგორც გიასგან ვიცით, ორ მათგანს საკუთარი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.

**- კვარაცხელიას დამატება გადაწყვეტილია?**

- დიახ, ეს საკითხი შეთანხმებულია.

**- ფეიქრიშვილის, ხუციშვილისა და გეწაძის ტრანსფერებთან დაკავშირებით რა ხდება?**

- ხუციშვილს „ვოევოდინასთან“ კონტრაქტი აქვს და ვერ გეტყვით, ჩამოვა თუ არა. ფეიქრიშვილს ვერ შევუთანხმდით. გეწაძესაც სიამოვნებით დავიმატებდით, მაგრამ საამისოდ, გათავისუფლების ფურცელი უნდა მოიტანოს. ამას გარდა, კიდევ 2-3 ქართველის დამატებაც გვსურს. ზოგიერთი საზღვარგარეთ თამაშობს, ზოგიც საქართველოს პირველობაზე, მაგრამ სანამ საკითხი არ გადაწყდება, დაკონკრეტებას ნუ მთხოვთ.

**- გიორგი ჭედია ბელარუსის კლუბ ჟოდინოს „ტორპედოს“ ეკუთვნის - მას იჯარას უხანგრძლივებთ?**

- ბელარუსებთან მოლაპარაკება დაწყებულია. ჩვენი სურვილია, გამოსყიდვაზე შევთანხმდეთ, ან უარეს შემთხვევაში, იჯარა მაინც გავახანგრძლივოთ.

**- სამი ბრაზილიელის გარდა, ვინ დატოვა კლუბი?**

- წავიდნენ თავდამსხმელი გია თოდუა და მცველები - ვალერი აბრამიძე და დაჩი ფოფხაძე. ოლეგ გველესიანიც აპირებს წასვლას და, ალბათ, წავა კიდეც.

**- სად და როდიდან მოემზადება გუნდი?**

- ანთალიაში ვგეგმავთ მომზადებას, მაგრამ ესეც ამ დღეებში გადაწყდება, როცა კლუბის ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართება.

**- ანთალიაში წასვლას რაიმე აბრკოლებს?**

- საფიქრალი მხოლოდ ისაა, რომ ანთალიაში უცხოელთა ერთდროულად გასინჯვა დიდ ხარჯებს მოითხოვს და არ არის გამორიცხული, საქართველოში ვივარჯიშოთ. გუნდი 24 დეკემბერს შეიკრიბება, ახალ წელს რამდენიმე დღით შევისვენებთ და მზადებას 3 იანვარს გავაგრძელებთ. თუ მაინც გადაწყდა ანთალიაში შეკრება, იქ 15 იანვარს გავემგზავრებით.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და ფეხბურთი

# მილიონები ქართული ფეხბურთისთვის

როგორც იცით, ფეხბურთის ფედერაციას დიდი ვალი აქვს და მიმდინარე პრობლემების მოსაგვარებლად, სახელმწიფოსგან დახმარება სჭირდება, თორემ ნაკრები გუნდების, საფეხბურთო ინფრასტრუქტურისა და სხვა პროექტების განხორციელება კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასულ საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა **გიორგი დევდარიანმა** ფედერაციის ხელმძღვანელობას ფინალისწინა რაუნდისთვის მოსამზადებელი გეგმა უკვე წარუდგინა. როგორც გავიგეთ, ეს პროექტი ჩვენი მასშტაბებით იაფი ნამდვილად არ ჯდება, მაგრამ თუ შედეგი გვინდა, მაშინ საამისოდ პირობებიც უნდა შეიქმნას. ზერელე დაანგარიშებით, 17-წლამდელთა ნაკრების საელიტრაუნდოდ მომზადებისთვის ნახევარ მილიონზე მეტი ლარია საჭირო. გარდა ამისა, 19 და 21-წლამდელთა ამხანაგური თუ ოფიციალური მატჩების ორგანიზებასაც ფინანსები სჭირდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ეროვნულ გუნდზე, რომლის ახალი თავკაცი **თემურ ქეცბაია** 1 იანვრიდან ოფიციალურად შეუდგება მუშაობას...

ფულია საჭირო ტექნიკურ ცენტრ „ბასას" რეკონსტრუქციისა და აღჭურვისთვის, სადაც სამუშაოები უკვე დაწყებულია. ერთი სიტყვით, თანამედროვე ფეხბურთი ძვირი სიამოვნებაა და ქართული მასშტაბებითაც კი სერიოზული თანხები სჭირდება.

როგორც გავიგეთ, ამ პრობლემის მოგვარებაზე ხელისუფლებაშიც იმსჯელეს და მომავალი წლისთვის გარკვეული თანხაც გამოიყო. ჩვენი ინფორმაციით, ლაპარაკია 5 მილიონი ლარის სახელმწიფო ინვესტიციაზე. თუმცა ეს არ არის სრული თანხა, რასაც ხელისუფლება ფეხბურთისთვის გაიღებს - კერძოდ, ეს იქნება 7 200 ათასი ლარი. ინფორმაცია ხელისუფლების წარმომადგენელმაც დაგვიდასტურა.

*„დიახ, როგორც უკვე არაერთხელ ითქვა, ქართულ ფეხბურთთან მიმართებაში სახელმწიფოს კურსი უცვლელია. ხელისუფლება კვლავაც მხარში უდგას ფეხბურთს და აქტიურადაც დაეხმარება. 2010 წლისთვის ქართული ფეხბურთის მხარდაჭერისთვის 7.2 მილიონი ლარი იქნება გამოყოფილი. ეს თანხა ნაკრებ გუნდებსაც მოხმარდება და სხვადასხვა პროექტზეც გადანაწილდება"*, - თქვა „ლელოსთან" საუბარში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა**.

**დავით ცაბაძე**

ფლაგმანის მომავალი

# დინამოს საკითხი იანვარში გაირკვევაო...

## მერაბ ჟორდანია პატარკაციშვილის ქვრივს შეხვდა

**მერაბ ჟორდანია** და მისი მეგობრები „დინამოს" დაბრუნებისთვის ბრძოლას აგრძელებენ. როგორც გავიგეთ, ისინი **ბადრი პატარკაციშვილის** ქვრივს, ქალბატონ **ინა გუდავაძეს** შეხვდნენ. თბილისის „დინამო" ხომ სწორედ პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრებაა და ბუნებრივია, ზემოთ ნახსენები შეხვედრაც ამ კლუბის მომავალს ეხებოდა. ჟორდანიამ ორი თვის წინ განაცხადა, რომ მისი მეგობრები სამართლიანობის აღდგენისა და წართმეული კლუბის დასაბრუნებლად ბოლომდე იბრძოლებდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ თავად მერაბ ჟორდანიას დავუკავშირდით. თბილისის „დინამოსა" და ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა არც უარყო და არც დაადასტურა ქალბატონ ინასთან შეხვედრის ფაქტი.

*„ერთი რამ შემიძლია გითხრათ - როგორც ადრე აღვნიშნე, ჩემი მეგობრები სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძვიან. ისინი მალე წარადგენენ სათანადო დოკუმენტაციას ფეხბურთის ფედერაციაში, ხოლო ფედერაცია, თავის მხრივ, ამ საკითხს ობიექტურად გადაწყვეტს. ვფიქრობ, ეს პროცესი იანვარს არ გასცდება"*, - გვითხრა გუშინ ჟორდანიამ.

**დავით ცაბაძე**



მერაბ ჟორდანია

ბენდელას თასი




# ტურნირი დიდ მოედანზე

## ...მაგრამ მასპინძელი ჯერ ისევ საბურთალოა

**წელს „ბენდელას თასი" მეთვრამეტედ გაიმართება. აფხაზეთში გმირულად დაღუპული ზაზა ბენდელიანის ხსოვნის ტურნირს 1993 წლიდან მისი მეგობრები, ქართლოს და კახა ჭუმბურიძეები ატარებენ. მიუხედავად ამ წლების განმავლობაში გადატანილი უამრავი სირთულისა, ძმებმა ტურნირი დღემდე მოიტანეს. ეს კი არა, ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების შემდეგ, საქართველოში „ბენდელა" ყველაზე ტრადიციული ტურნირია. მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი ქართლოს ჭუმბურიძე „ლელოს" კითხვებს პასუხობს:**

- ტურნირი 24 დეკემბრიდან საფეხბურთო სკოლა „საბურთალოს" მოედანზე გაიმართება. ტრადიციულად, მასში მონაწილეობას დიდებისა და ბავშვთა გუნდები მიიღებენ. ორივე ტურნირში 12-12 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. აი, სამომავლოდ კი „ბენდელა" ალბათ ახალი ფორმატით, ჩვეულებრივ საფეხბურთო მოედანზე გაიმართება და წესისამებრ, თითოეულ გუნდში 11-11 მოთამაშე იქნება.

**- ეს როდიდან მოხდება?**

- სავარაუდოდ, ახალი წლიდან. ამ ფორმატით უკვე იანვარში, ან თებერვალში სტანდარტულ მოედანზე დავიწყებთ.

**- თამაშები სად გაიმართება?**

- ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით კირკიტაძემ თავად გამოხატა თანადგომის სურვილი და ტურნირის რუსთავში გამართვა შემოგვთავაზა. სხვათა შორის, კირკიტაძე ჩვენი ტურნირის ხშირი მონაწილე გახლდათ და წლებია, გვეხმარება კიდეც. წინასწარი ვარაუდით, ერთი ჯგუფის მატჩები რუსთავში გაიმართება, მეორე - საგურამოში ან „ამერის" სტადიონზე, ფინალი კი რუსთავში.

**- ასეთ შემთხვევაში, „ბენდელაზე" რომელი გუნდები ითამაშებენ?**

- უმაღლესი ლიგის დუბლშემადგენლობები და უგუნდო ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდები. არაა გამორიცხული, პირველი და რეგიონალლიგის კლუბებიც მოვიწვიოთ.

**- წელს ვინ იქნება სპონსორი?**

- „იბერიაბიზნესჯგუფი" და მისი პრეზიდენტი, რომელთა თანადგომის გარეშე, ტურნირი დიდი ხნის წინ მოკვდებოდა. ჩვენ გვერდით არიან აგრეთვე ფეხბურთის ფედერაცია, სპორტის დეპარტამენტი, „მაკდონალდსი", „ყაზბეგი", „ჯეოსელი", ყავა „პელე"... საკმაოდ ბევრი პრიზის დაწესებას მოვახერხებთ.

**- ტურნირი დარბაზს როდის დაუბრუნდება?**

- ახლაც სიამოვნებით დავუბრუნდებით, მაგრამ ჩვენი ბიუჯეტით სპორტის სასახლის დარბაზის იჯარით აღება შეუძლებელია. ახლა საკმაოდ კარგი ამინდებია და მგონი, გაგვიმართლა...

**- მაგრამ თოვლი რომ წამოვიდეს?**

- იმედია, მოვა დრო და დარბაზს დავუბრუნდებით. ეს ჩვენი ოცნებაა.

**- ცნობილი ფეხბურთელებიდან ვინ ითამაშებს?**

- წინასწარ ბევრი მათგანი გავაფრთხილეთ და პასუხიც მალე გვეცოდინება.

**მერაბ მამულაშვილი**

[illegible] ბლოკნოტი

# 11-20 დეკემბერი ლელოში

**11 დეკემბერი.** „ლელოში" წავიკითხე, მახაჭყალის „ანჟის" „დინამოს" ფეხბურთელებისთვის დაუდგამს თვალიო და, მეწყინა. აბა, რა უნდა „დინამოს" ფეხბურთელს „ანჟიში"?! მაგრამ ბედის უკუღმართობით, რუსულ პროვინციაში უკეთესი ფინანსური პირობებია ვიდრე საქართველოს დედაქალაქსა და მის ყველაზე ტიტულოვან კლუბში. რუსული პრემიერლიგაც ბევრად აღემატება დონით საქართველოს უმაღლეს ლიგას.

...თუმცა მახაჭყალა მაინც ძალიან ცუდად ხვდება ყურს.

**12 დეკემბერი.** გიორგი ჭელიძის ინტერვიუ წავიკითხე და, წინა დღეს თუ „ანჟის" ამბავი მეწყინა, ამ ინტერვიუმ შემაშინა. ქართველი ფეხბურთელისთვის „სამსუნს" რა ხანია, ხელფასი ვერ გადაუხდია, კლუბს ფინანსური კრიზისი აქვს და როგორც თავად ჭელიძე ამბობს, ეს ამბავი გულშემატკივრებმა რომ გაიგონ, იქაურობას გადაატრიალებენ, მანქანებს დალეწავენ და ეგებ კლუბის პრეზიდენტიც მოკლანო.

ჰოდა, ვაითუ, სამსუნელმა მოქალაქეებმა კლუბის გაჭირვების ამბავი „ლელოდან" შეიტყონ-მეთქი და ვინერვიულე.

კიდევ ჭელიძე ამბობს, ორი ვარიანტი მაქვს კარიერის გაგრძელებისო. ისევ თურქეთშიო. იმ ორი კლუბიდან ერთი დავიმახსოვრე - „დარდანელი", რაკიღა სრუტის სახელი ბავშვობიდან ვიცი, მეორე გუნდის სახელი კი ვერ დავიხსომე და გასახსენებლად „ლელოში" ჩახედვაც დამეზარა. აზრი რომ ჰქონოდა, კი, მაგრამ რად გინდა?! დაბალ თურქულ ლიგაში თამაშით ფეხბურთელი კმაყოფილი როგორ უნდა იყოს...

**13 დეკემბერი.** დღეს კვირაა, გაზეთის კითხვისგანაც ვისვენებ.

**14 დეკემბერი.** ორშაბათის გაზეთში შაბათ-კვირის ანგარიშებს გადავხედე და კინაღამ ვირწმუნე ბუქმეკერთა მსოფლიო შეთქმულების შესახებ არსებული თეორია. აბა, სხვა რა უნდა მეფიქრა, როდესაც „ჩელსიმ", „მანჩესტერმა", „ინტერმა", „მილანმა", „იუვენტუსმა" და კიდევ ბევრმა უდავო ფავორიტმა თამაში ვერ მოიგო. ოღონდ, ამ შეთქმულების მექანიზმი გამაგებინა და მომკალი მერე...

**5 დეკემბერი.** დიმიტრი რამიშვილი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტობიდან გადადგა. ეს სულაც არ ყოფილა მოულოდნელი და გასაკვირი ამბავი, წინაისტორიას თუ გავითვალსწინებთ. ჯერ იყო და, ზვიად სიჭინავამ რამიშვილი თავის გუნდში არ მოიხსენია. მერე ალმასკომის არჩევნებზე პროფლიგის პრეზიდენტმა საკმარისი ხმები ვერ მიიღო. განახლებულ ფედერაციაში ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც დაკარგა, რაც პროფლიგის პრეზიდენტს, წესით, ეკუთვნოდა. თბილისის პატრულის შეფისგანაც მასზე არასასიამოვნო ინფორმაცია გამჟღავნდა. მოკლედ, ყველაფერი დიმიტრი რამიშვილის გადადგომისკენ მიდიოდა. ჰოდა, ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო და გადადგა.

**16 დეკემბერი.** ირაკლი თავაძემ ქუთაისის სპორტის სასახლე მოინახულა და ფრიად მოეწონა, მაგრამ საკუთარი, ანუ ჟურნალისტის სამუშაო ადგილი რომ მოიკითხა, აღმოაჩინა: დამპროექტებლებს პრეს-ლოჟა გამორჩენოდათ. სხვა წყაროდან ვიცი: იპოდრომი ლისის ტბის მიდამოებში რომ გადაიტანეს, არც მისი დამპროექტებლები დაინტერესდნენ, სადოლე ტრასის პარამეტრებით. ერთი სიტყვით, ჩვენ გვაქვს ძვირადღირებული და კარგად გარემონტებული სპორტული ობიექტები, რომლებსაც ერთი მცირე ნაკლი აქვთ - საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამებიან. ეჭვი მაქვს, რომ არც მათი დამპროექტებლების კვალიფიკაცია შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ეჰ, რა ცუდია, „ლელო" მხოლოდ სპორტზე რომ წერს, თორემ „სექსი შორენასთან" სცენარისტების კვალიფიკაციაზეც ვიტყოდი ორიოდე სიტყვას.

**17 დეკემბერი.** გადავშალე გაზეთი და მეორე გვერდზევე წაკითხულმა ხასიათი წამიხდინა. სუპერთასის ანონსი ეწერა და იქვე წინარე ისტორიაც იყო მოთხრობილი თავისი ყველა მატჩით.

სუპერთასი ხომ ის ჯილდოა, ჩემპიონი და თასის მფლობელი რომ ებრძვიან ერთმანეთს და საქართველოს ჩემპიონები და თასის მფლობელები რომ გავიხსენე, ხასიათიც ამან წამიხდინა. ქუთაისის „ტორპედო", ბათუმის „დინამო", ლანჩხუთის „გურია", თბილისის „ამერი"... ახლა არავინ იკითხოს, ამ გუნდების გახსენებამ რატომ დაგანაღვლიანაო...

**18 დეკემბერი.** ლევან მჭედლიძემ ტრავმა მოიშუშა, მაგრამ „ლივორნოში" დაბრუნებას ფიქრობს, რაკი „პალერმოში" თამაში არ უწევსო. რასაკვირველია, ფეხბურთელს იქ უჯობს ყოფნა, სადაც მეტი პრაქტიკა ექნება, მაგრამ მაინც მგონია, რომ თავად ლევანმაც დააკლო საკუთარ თავს მუშაობა და ცოტათი მეტად გაერთო იტალიური საამო ცხოვრებით. არ ვიცი, შესაძლოა ვცდები, მაგრამ ასე მგონია.

**19 დეკემბერი.** ცხინვალის „სპარტაკს" გოგონათა გუნდი ჩამოუყალიბებია. ძალიანაც კარგი, მაგრამ ერთი კითხვა არ მასვენებს - ამ გოგონათა გუნდმა სად უნდა ითამაშოს? საქართველოს ჩემპიონატში? კი, ასეთი ჩემპიონატი ტარდება, მაგრამ სულ 5-დღიანია და წელიწადის დანარჩენი 360 დღე? თქვენმა მტერმა ივარჯიშა 360 დღე იმისთვის, რომ მერე სამი მატჩი ჩაატაროს და ისევ 360-დღიან მუხლჩაუხრელ ვარჯიშს შეუდგეს.

**20 დეკემბერი.** დღეს კვირაა, ორშაბათი კი მძიმე დღეა.

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგა — სუპერთასი 2009

დებულების თანახმად, სუპერთასისთვის წინა სეზონის ოთხი საუკეთესო გუნდი იბრძოდა - სუპერლიგის და უმაღლესი ლიგის გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები. ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „საქართველოს უნივერსიტეტი" (უმაღლესი ლიგის გამარჯვებული)-„საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი" (სუპერლიგის მეორეადგილოსანი); „ალგორითმი" (სუპერლიგის გამარჯვებული)-„ცხუმი" (უმაღლესი ლიგის მეორეადგილოსანი, რომელმაც წინა სეზონში „აფხაზეთის" სახელით ითამაშა).

**ნახევარფინალი**

**ს/უნივერსიტეტი-სეუ 2:1**

გოლები: 0:1 გოგოლაძე (11), 1:1 მახარაშვილი (29), 2:1 კობახიძე (33)

გაფრთხილება: ჭოხონელიძე (ს/უ), რევაზიშვილი (სეუ), ნ. ჯანგავაძე (ს/უ)

**ალგორითმი-ცხუმი 4:1**

გოლები: 1:0 სეფერთელაძე (4), 1:1 კვარაცხელია (11), 2:1 ლუკავა (31-პენ), 3:1 ჩანთლაძე (34), 4:1 ჩანთლაძე (36)

*39-ე წუთზე კვარაცხელიამ (ცხუმი) ვერ გაიტანა პენალტი*

გაფრთხილება: ისაკაძე (ალგორითმი)

**ფინალი**

**ს/უნივერსიტეტი-ალგორითმი 2:4**

გოლები: 0:1 ჩანთლაძე (3), 0:2 ლუკავა (11), 1:2 კობიძე (12), 1:3 ლუკავა (16), 2:3 ჭოხონელიძე (26), 2:4 ისაკაძე (35)

გაფრთხილება: ჭოხონელიძე (ს/უ), ქემოკლიძე (ს/უ), ჭოხონელიძე (ს/უ), ხუციშვილი (ალგორითმი)

ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის 2009 წლის სუპერთასის მფლობელი „ალგორითმი" გახდა. ფინალურ შეხვედრას საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური** ესწრებოდნენ. გუნდებს პრიზებიც სწორედ მათ გადასცეს.

# მარადიული ფავორიტი

## დინამო

| სულ | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 18 | 9 | 5 | 4 | 29-11 | 32 |
| **შინ** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 7 | 1 | 1 | 17-2 | 22 |
| **სტუმრად** | | | | | |
| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 9 | 2 | 4 | 3 | 12-9 | 10 |

**დინამოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დინამო-გაგრა | 2:0 |
| II ტური | სიონი-დინამო | 0:0 |
| III ტური | დინამო-სპარტაკი | 5:0 |
| IV ტური | დინამო-ვიტ ჯორჯია | 0:0 |
| V ტური | ზესტაფონი-დინამო | 4:1 |
| VI ტური | დინამო-ოლიმპი | 4:0 |
| VII ტური | ბაია-დინამო | 0:6 |
| VIII ტური | დინამო-ლოკომოტივი | 1:0 |
| IX ტური | სამტრედია-დინამო | 3:1 |
| X ტური | გაგრა-დინამო | 0:0 |
| XI ტური | დინამო-სიონი | 0:2 |
| XII ტური | სპარტაკი-დინამო | 1:1 |
| XIII ტური | ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:1 |
| XIV ტური | დინამო-ზესტაფონი | 2:0 |
| XV ტური | ოლიმპი-დინამო | 1:0 |
| XVI ტური | დინამო-ბაია | 1:0 |
| XVII ტური | ლოკომოტივი-დინამო | 0:3 |
| XVIII ტური | დინამო-სამტრედია | 2:0 |

მეკარეები: გიორგი ლორია - 17, გიორგი სომხიშვილი - 1;

მცველები: გურამ კაშია - 17 (4), გულვერდ თომაშვილი - 15, ლევან კაკუბავა - 14, ლევან ხმალაძე - 13, გიორგი ნერგაძე - 11 (1), გიორგი ქავთარაძე - 5, ლაშა ჩადუნელი - 3, გიორგი გეთიაშვილი - 2;

ნახევარმცველები: შოთა კაშია - 18 (1), გიორგი მერებაშვილი - 16 (7), ვაჟა ნემსაძე - 14, გიორგი მამუჩაშვილი - 14 (1), ალექსანდრე კოშკაძე - 12 (6), დავით დილმელაშვილი - 10 (1), შოთა ლომია - 6, ირაკლი ლეკვთაძე - 4, ნიკა ფირცხალავა - 3 (1), ედნილსონი - 2, ნიკოლოზ ჯიშკარიანი - 2;

თავდამსხმელები: ჯორჯ აკირემი - 16 (3), მათე ვაწაძე - 11 (4), დონალდ ჯუისი - 8, ირაკლი სიხარულიძე - 8, ზვიად ქანთარია - 3.

გოლები: გიორგი მერებაშვილი - 7, ალექსანდრე კოშკაძე - 6, მათე ვაწაძე - 4, გურამ კაშია - 4, ჯორჯ აკირემი - 3, შოთა კაშია - 1, ნიკა ფირცხალავა - 1, დავით დილმელაშვილი - 1, გიორგი ნერგაძე - 1, გიორგი მამუჩაშვილი - 1.

მთავარი მწვრთნელი: კახა კაჭარავა

**...რა დროც** უნდა იყოს და ვინც უნდა იყოს ამ გუნდის ხელმძღვანელი (მმართველი დირექტორი იქნება თუ პრეზიდენტი) და მთავარი მწვრთნელი, „დინამოს“ წინაშე ყოველი სეზონის დაწყების წინ ერთი და იგივე მიზნები იქნება - ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მაქსიმალური მიზნის მიღწევა! ასე იყო, არის და, ალბათ, კიდევ დიდხანს იქნება; ჰოდა, ამიტომაც ყოველთვის „ჩვეულებრივ ამბად“ უნდა მივიჩნიოთ „დინამოს“ მუდმივი და შეუცვლელი სტატუსი, „მარადიულ ფავორიტობას“ რომ გულისხმობს. ახლა კი, პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, „დინამოს“ ერთგულ ქომაგებს კმაყოფილების საბაბი ნამდვილად ვერ ექნებათ - ზამთრის პაუზას ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი პირველ სამეულს მიღმა მყოფი შეხვდა. წინ კიდევ ორი წრეა და უნდა ვივარაუდოთ, რომ „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელები საგაზაფხულოდ ამ შედეგის გაუმჯობესებას შეეცდებიან; სხვანაირად ვერც იქნება - წინა ოცი ჩემპიონატის განმავლობაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, „დინამო“ რომ საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩენილიყო; ანუ, კლუბის ანტირეკორდის საფრთხე რეალურად არსებობს, თან დღესდღეობით ყველასათვის უცნობია, თუ რა სახით წარდგება „დინამო“ მეორე ეტაპზე...

**...საშუალედო** ეტაპის მეოთხე ადგილზე დამთავრება, რალა თქმა უნდა, „დინამოსთვის“ წარუმატებლად უნდა შეფასდეს; თუმცა, ყოველივე ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზიც ჰქონდა. უპირველესად, რალა თქმა უნდა, ახალი სეზონისთვის მზადების ნაადრევად დაწყება უნდა ვახსენოთ; შეგახსენებთ, რომ ვიდრე ეროვნული ჩემპიონატი სტარტს აიღებდა, **კახა კაჭარავას** გუნდი უკვე ევროტურნირებზე ასპარეზობდა. ანუ, ფაქტობრივად, ისე მოხდა, რომ საქართველოს თასის ფინალის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა მხოლოდ ერთი კვირა დაისვენეს და ახალი სეზონისათვის მზადებაც დაიწყო. რაც შეეხება ევროტურნირებზე „დინამოს“ გამოსვლას, მთლად წარუმატებელს ვერ დავარქმევთ: ლატვიური „მეტალურგსის“ ბარიერი კი გადალახა, მაგრამ ორრაუნდიან პაექრობაში სერბულ „ცრვენა ზვეზდასთან“ ვერაფერს გახდა.

სამწუხაროდ, სწორედ ბელგრადურ მატჩში გამოჩნდა, რომ „დინამოს“ შემადგენლობა, რბილად რომ ვთქვათ, გაძლიერებას საჭიროებდა. ანუ, გუნდის ფეხბურთელთა დიდი ნაწილი აშკარად არ იყო მზად საერთაშორისო დონეზე საასპარეზოდ. საერთოდაც, საკადრო საკითხი ერთობ აქტუალური იყო „დინამოსთან“ მიმართებაში - პირველი ეტაპის მიწურულს პორტუგალიელი **ედნილსონის** გამოჩენას თუ არ ვიგულისხმებთ, წინა სეზონთან შედარებით ჩვენ ყველაზე ტიტულოვან გუნდს ახალი ფეხბურთელი არავინ დაუმატებია! უფრო ზუსტად, ერთი ახალწვეული კი იყო, მაგრამ აზერბაიჯანიდან სამშობლოში დაბრუნებულმა **გრიგოლ დოლიძემ** ერთ-ერთ ვარჯიშზე უმძიმესი ტრავმა მიიღო და ამ სწრაფი მარჯვენა გარემარბისთვისაც სეზონი ნაადრევად დასრულდა. საერთოდაც, ტრავმების გამო თუ რომელიმე გუნდი დაზარალდა უმაღლეს ლიგაში, უპირველეს ყოვლისა, „დინამოზე“ ითქმის: წინა ორი ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მცველი **მილოშ კრშკო** ისე დაბრუნდა მშობლიურ სლოვაკეთში, რომ ჩემპიონატში ერთი მატჩის ჩატარებაც ვერ მოახერხა.

საკმაოდ დიდხანს მკურნალობდა ნიჭიერი ნახევარმცველი **ნიკა ფირცხალავა**; თუმცა, ჩემპიონატის მსვლელობაში ყველაზე დიდი დანაკლისი **ალექსანდრე კოშკაძისა** და **მათე ვაწაძის** არყოფნა იყო - ორივე ფეხბურთელი „დინამოს“ ლიდერად მიიჩნევა და მათი ხშირი ტრავმიანობა გუნდის ასპარეზობაზეც ერთობ ნეგატიურად აისახა. ნურც **დონალდ ჯუისის** მიმართ გატარებულ „აღმზრდელობით“ სანქციას დავივიწყებთ - კლუბის უნებართვოდ დატოვებისათვის ახალგაზრდა კამერუნელი გარკვეული პერიოდი ძირითად გუნდს იყო ჩამოშორებული. ფაქტობრივად, უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ტრავმებმა ყველაზე მეტად სწორედ „დინამო“ დააზარალა, ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ ძირითად შემადგენლობაში ხშირად ვხედავდით 18-19 წლის ბიჭებს; ამ უკანასკნელებს კი, მართლაც, სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუხდათ - გამოცდილ მეტოქეებთან პაექრობებს ვგულისხმობთ.

## არასტაბილური გარემო

**რა თქმა უნდა,** ხანგრძლივ სეზონს „ერთი ამოსუნთქვით“ ვერ ჩაატარებ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ „დინამო“ პირველ ეტაპზე ერთობ არასტაბილური იყო. ამის მიზეზი კი. ისევ და ისევ, საკადრო პრობლემები იყო: თვრამეტი ჩატარებული მატჩიდან, ალბათ, ერთი თუ ორი შეხვედრა იქნებოდა, კახა კაჭარავა ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა რომ მოახერხა. დანარჩენ შემთხვევებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოედანზე... „ექსპერიმენტულ-გაახალგაზრდავებული“ გუნდი ასპარეზობდა და სწორედ ამ გამოუცდელობასაც უნდა დავაბრალოთ „დინამოს“ არასტაბილური თამაში.

„დინამო“ ჩემპიონატში სხვებზე გვიან ჩაერთო - ევროტურნირებზე ასპარეზობის გამო პირველი და მეორე ტურის შეხვედრები გადაუდეს. აი, მესამე ტურში კი (ანუ, ჩემპიონატის სადებიუტო შეხვედრაში), „დინამომ“ პირწმინდად დაჯაბნა ცხინვალის „სპარტაკი“, მანამდე ორივე მატჩი მოგებული რომ ჰქონდა. ამას პრინციპულ მეტოქე „ვიტ ჯორჯიასთან“ ფრე და „გაგრასთან“ გამარჯვება მოჰყვა, მაგრამ აგვისტოში მჭიდრო გრაფიკით (ყოველ მესამე-მეოთხე დღეს თამაში უწევდათ) ასპარეზობამ მაინც დაღი დაასვა „დინამოს“ გამოსვლას - „ზესტაფონთან“ სტუმრად დიდი ანგარიშით წაგებას ვგულისხმობთ. აი, მაშინ იყო, ბევრი „დინამოს“ კრიზისზე რომ ალაპარაკდა და ამ დროს კი გუნდმა... ზედიზედ სამი მატჩი მოიგო! განსაკუთრებით შთამბეჭდავი, რალა თქმა უნდა, ჩემპონატის ერთპიროვნულ ლიდერთან „ოლიმპთან“ ჩატარებული ჩინებული მატჩი იყო, კახა კაჭარავას გუნდმა 4:0 რომ მოიგო (არადა, მანამდე „ოლიმპს“ ხუთიდან ხუთივე შეხვედრა მოგებული ჰქონდა).

25 სექტემბერს კი „ლოკომოტივის“ დამარცხებით „დინამო“ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერად მოგვევლინა - პირველად... წელიწად-ნახევრის შემდეგ! ჰოდა, ყველას რომ ეგონა, „დინამო“ აღებულ ტემპს არ დააგდებდა, აი, სწორედ მაშინ დაიწყო გუნდისთვის მართლაც, კოშმარული სერია - ხუთ შეხვედრაში ორი წაგება და სამი ფრე ნამდვილად ვერ იქნებოდა სასურველი შედეგი ამბიციური გუნდისთვის. ყველაზე მტკივნეული, ალბათ, „სიონთან“ საშინაო მარცხი იყო; თანაც, ბოლნისურმა კლუბმა არსებობის განმავლობაში პირველად შეძლო სტუმრად „დინამოს“ დამარცხება...

...იმ მატჩის მერე „დინამოში“ სერიოზული საკადრო „წმენდა“ მოხდა: გუნდი ორ წამყვან ფეხბურთელს (**დავით დილმელაშვილი, გიორგი ნერგაძე**) შეელია, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ძირითადში უფრო მეტი ახალგაზრდა უნდა გამოჩენილიყო. თუმცა, პირველი ეტაპი „დინამომ“ მაინც მეტ-ნაკლებად ღირსეულად დაამთავრა - უკანასკნელ ხუთ შეხვედრაში ოთხი გამარჯვება მოიპოვა და მესამე ადგილზე მყოფ „ვიტ ჯორჯიასთან“ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. განსაკუთრებით აღსანიშნავი კი „ზესტაფონთან“ გამარჯვება იყო, იმერულ კლუბს... ერთპიროვნული ლიდერობის დაკარგვად რომ დაუჯდა. „სამტრედია“, „სიონი“, „გაგრა“ - ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ გუნდებთან „დინამოს“ ქულები რომ არ დაეკარგა, დღესდღეობით, ალბათ, საჩემპიონო კანდიდატადაც შეგვეძლო მოგვეხსენიებინა. თუმცა, არასტაბილურმა ასპარეზობამ და წამყვანი ფეხბურთელების ხშირმა ტრავმიანობამ გუნდზე აშკარად უარყოფითად იმოქმედა. სამწუხაროდ, არავინ იცის, თუ რა ან როგორ იქნება გაზაფხულზე: კულუარებში იმასაც საუბრობენ, რომ გუნდიდან წასვლას რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აპირებს. ჰოდა, მხოლოდ ახალგაზრდა ბიჭებით ევროტურნირების საგზურის მოპოვება მეტისმეტად ძნელი საქმე რომ იქნება, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება...



პირველ ეტაპზე დინამოელთაგან საუკეთესო გურამ კაშია იყო

## მეკარე

პირველ ეტაპზე უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ყველაზე ნაკლები ბურთი (11) „დინამოს“ აქვს გაშვებული და ეს, რალა თქმა უნდა, ამ გუნდის მეკარის **გიორგი ლორიას** დამსახურებაა. ლორია ორი სეზონის განმავლობაში **დიდიე ოვონოს** დუბლიორი გახლდათ და მხოლოდ გაბონელი მეკარის წასვლის შემდეგ გახდა ძირითადის სრულფასოვანი მოთამაშე (უფრო ზუსტად, წინა სეზონის ბოლოდან, როცა თასის ფინალში ივაჟკაცა). უნდა ვაღიაროთ, რომ 23 წლის მეკარეს ფიზიკური მონაცემებიც ხელს უწყობს, უფრო მაღალ დონეზე რომ იასპარეზოს. თუმცა, ისე როგორც მთლიანად გუნდი, ლორიასაც სტაბილურობა აკლია; ყოველ შემთხვევაში, „ზესტაფონთან“ და „ოლიმპთან“ სტუმრად წაგებულ მატჩებში ისეთი გოლები გაუშვა, აუღებელთა კატეგორიას ნამდვილად არ მიეკუთვნებოდა. ისე, „დინამოს“ მწვრთნელ-ხელმძღვანელებს მეორე ეტაპის წინ სერიოზული საფიქრალიც აქვთ: მეორე მეკარემ **გიორგი სომხიშვილმა** გუნდი ხომ ჯერ კიდევ დეკემბრის დასაწყისში დატოვა...

## მცველები

ის ფაქტი, რომ „დინამომ“ ყველაზე ცოტა გოლი გაუშვა, ლორიასთან ერთად, რალა თქმა უნდა, მცველების დამსახურებაც იყო. არადა, კახა კაჭარავას ყველაზე მეტი საკადრო პრობლემა სწორედ ამ რგოლში ჰქონდა: კრშკოს მსგავსად, ჩემპიონატში ვერც ერთი მატჩი ვერ ჩაატარა არგენტინელმა **მარკო ჩარასმა (გახსოვთ, ასეთი ფეხბურთელი? - გ.ტ.)**, გიორგი ნერგაძე მეორე გუნდში გადაიყვანეს და მთელმა პირველმა ეტაპმა ახალგაზრდებზე „გადაიარა“: 22 წლის **გურამ კაშიაზე**, 21 წლის **გულვერდ თომაშვილზე** და 19 წლის **ლევან კაკუბავაზე**; კიდევ კარგი, გუნდის კაპიტან ლევან ხმალაძეს „საყრდენის“ გარდა, მარცხენა მცველადაც ჩვეულ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში, თორემ ამ რგოლში „დინამოს“ პრობლემები კიდევ მოემატებოდა. სამწუხაროდ, პირველი ეტაპის ფინიშისკენ, ხმალაძეც დაშავდა და მის ადგილზე თომაშვილი ასპარეზობდა, ხოლო დაცვის მარჯვენა ფლანგზე ან დებიუტანტ **გიორგი გეთიაშვილს** ვხედავდით, ან - უნივერსალ **შოთა კაშიას**. მეკარის პოზიციის არ იყოს, ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმ ფაქტსაც, რომ მეორე ეტაპისთვის გუნდმა ერთი-ორი გამოცდილი მცველი უნდა დაიმატოს.

სხვა შემთხვევაში კი მხოლოდ გურამ კაშიას იმედზე უნდა იყვნენ - პირველ ეტაპზე „დინამოს“ შემადგენლობაში, უდავოდ, საუკეთესო ფეხბურთელზე! ლიდერობის თვისებით დაჯილდოებული მცველი თავის უშუალო მოვალეობებსაც ჩინებულად ართმევდა თავს და საკუთარი გუნდის იერიშებშიც მუდამ აქტიურად იყო ჩართული. საერთოდაც: უმცროსი კაშია არა მარტო „დინამოში“ გახლდათ საუკეთესო, არამედ ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ ფეხბურთელადაც შეგვიძლია დავასახელოთ.

## ნახევარმცველები

კახა კაჭარავა უმეტეს შემთხვევაში, ორი „საყრდენითა“ და სამი შემტევით თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. სამწუხაროდ, ზემოთ-ნახსენები საკადრო პრობლემების გამო, თითქმის თითზე ჩამოსათვლელი იყო შემთხვევები, ამ რგოლშიც ერთსა და იმავე ფეხბურთელებს რომ ეთამაშათ. არადა, ისიც ვაღიაროთ, წესითა და რიგით, ყველაზე ძლიერი რგოლი სწორედ ნახევარდაცვა უნდა ყოფილიყო: ბოლოს და ბოლოს, ბევრი გუნდი ვერ დაიკვეხნის ისეთი ფეხბურთელებით, საკუთარი ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე თამაშის ბედის გადაწყვეტა რომ შეუძლიათ. **ალექსანდრე კოშკაძე** და **გიორგი მერებაშვილი** - „დინამოს“ ამ ორ ლიდერს აშკარად არაერთგვაროვანი სეზონი ჰქონდა: კოშკაძეს ტრავმის გამო ბევრი გაუცდა, თუმცა რაც ითამაშა, მოედანზე მუდამ ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

აი, ბოლო წლების „დინამოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი მერებაშვილმა კი სეზონი, ცოტა არ იყოს, „მძიმედ“ დაიწყო; სამაგიეროდ, დეკემბერში ჩვეულად ათამაშდა და მისი უდიდესი დამსახურებაც იყო, გუნდმა ზედიზედ სამი მატჩი რომ მოიგო. საკმაოდ დიდი ტვირთი დააწვათ ნახევარმცველებს: **ვაჟა ნემსაძესა** და **გიორგი მამუჩაშვილს** - 19 წლის ბიჭები უკვე „დინამოს“ შეუცვლელ ფეხბურთელებად ჩამოყალიბდნენ. აღარაფერს ვამბობთ „დინამოს“ ყველაზე სტაჟიან წევრ შოთა კაშიაზე, გუნდის ერთადერთ ფეხბურთელზე, ყველა მატჩში რომ მონაწილეობდა. თანაც, უფროს კაშიას... მეკარის გარდა, ლამის ყველა პოზიციაზე უწევდა თამაში.

## თავდამსხმელები

ძნელი სათქმელია, როგორი იქნებოდა „დინამოს“ შედეგები, მათე ვაწაძეს ქრონიკული ტრავმები რომ არ აწუხებდეს. სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ტრავმებმა გააწამა და ამის გამო ბევრი გაუცდა. არადა, „დინამოს“ თავდასხმაში სერიოზული პრობლემები აქვს: ცენტრფორვარდმა ჯორჯ აკირემიმ მხოლოდ სამი გოლი გაიტანა, ჯუისი კი სულაც უგოლოდ დარჩა. პერსპექტიული ბიჭები არიან **ირაკლი სიხარულიძე** და **ზვიად ქანთარია**, მაგრამ მათაც გარკვეული დრო სჭირდებათ ოსტატობის დასახვეწად და გამოცდილების მისაღებად.

**გია ტუხაშვილი**

# ძველი მიზანი უკეთესი პერსპექტივით


გიორგი გაბედავა

თავიდანვე ნათელი იყო, რომ ამ სეზონში „გაგრას“ ერთადერთი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნებოდა. ასე რომ, ამ ახალგაზრდული გუნდის დღევანდელი სატურნირო მდგომარეობა ზუსტად ისეთია, როგორსაც სეზონის წინ ველოდით. უფრო საინტერესო ისაა, როგორ ვითარდება კლუბი, რომლის ისტორიაც სულ რამდენიმე წელიწადს ითვლის, უმაღლეს ლიგაში კი მხოლოდ მეორე სეზონს ატარებს.

ქულათა მოკრძალებული მარაგისა და რამდენიმე აშკარად ჩაგდებული მატჩის მიუხედავად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „გაგრას“ გარკვეული პროგრესი აქვს. ჩემპიონატის პირველ ეტაპზე გუნდმა შთამბეჭდავი თამაშებიც შემოგვთავაზა და პოტენციალიც დაგვანახა. კლუბის საკადრო პოლიტიკა უცვლელია, წინსვლა კი, ალბათ, უფრო იმიტომ იგრძნობა, რომ „გაგრას“ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილება ნელ-ნელა ემატებათ, ბევრ მათგანს კი აშკარა პროგრესიც ეტყობა.

უდავოა, რომ „გაგრას“ უძლიერესთა შორის დასარჩენად დიდი ბრძოლა ელის, რომელშიც უშანსოდ სულაც არ გამოიყურება.

## კონსულტანტი სამშობლოში დაბრუნდა

**ვიქტორ კაჩშეი** „გაგრაში“ გასული სეზონის მიწურულს გამოჩნდა და კონსულტანტის თანამდებობა ჩაიბარა. თუმცა ეს პირობითი პოსტი უფრო იყო, რადგან რეალურად, მთავარი მწვრთნელი სწორედ უკრაინელი სპეციალისტი გახლდათ. კაშჩეი გუნდის საწვრთნელ პროცესსაც თავად წარმართავდა და ფეხბურთელებს თამაშის დროსაც იგი აძლევდა მითითებებს. ასე გაგრძელდა მიმდინარე სეზონის თითქმის მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში, სანამ „გაგრას“ ხელმძღვანელობამ მასთან თანამშრომლობის შეწყვეტა არ გადაწყვიტა. ამის შემდეგ უკვე „ნამდვილ“ მთავარ მწვრთნელად იქცა **კახა კარანაძე**, რომელიც მართალია, აქამდეც ამ თანამდებობაზე მუშაობდა, მაგრამ „დე ფაქტო“ კაშჩეის ასისტენტი იყო.

ვნახოთ, რას გადაწყვეტენ კლუბის მესვეურები და ვინ იქნება „გაგრას“ თავკაცი სეზონის მეორე ნახევარში. როცა ხელმძღვანელობა მწვრთნელით კმაყოფილია, ბუნებრივია, მას შუა სეზონში არ ემშვიდობება. როგორც ჩანს, „გაგრას“ მეპატრონეებისთვის გუნდის განვითარების კაჩშეის დროინდელი ტემპი დამაკმაყოფილებელი არ იყო.

## ჩემპიონი ნოკაუტში

სეზონის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი და სენსაციური მატჩი მეორე ტურში ჩატარდა, როცა „გაგრამ“ საქართველოს მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას“ ყველა კომპონენტში აჯობა და ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა. მართალია, მეორე ტური იყო, მაგრამ ეს ჩემპიონატში პირველი მატჩი გახლდათ ვეტერინართათვის, რომლებმაც პირველი ტური ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობის გამო გამოტოვეს. „მარიბორთან“ მარცხით გუნებაწამხდარ ჯორჯიელებს წინ არანაკლებ უსიამოვნო სიურპრიზი ელოდათ.

4:0 „გაგრას“ სასარგებლოდ ნამდვილად არ იყო შემთხვევითი, მაგრამ გაგრელთა სამწუხაროდ და ჯორჯიელთა სასიხარულოდ, ამის შემდეგ ასე კარგად ალარ უთამაშია „გაგრას“ და ასეთი ცუდი ამბავი ალარ შემთხვევია „ვიტ ჯორჯიას“...

„ვიტ ჯორჯიას“ განადგურებასთან ერთად, აღსანიშნავია „დინამოსთან“ მიღწეული ფრე და უშუალო კონკურენტ „ბაიასთან“ ორ მატჩში მოპოვებული ოთხი ქულა. „გაგრამ“ კარგად ითამაშა პირველი ეტაპის ბოლო ტურშიც, ბოლნისში „სიონთან“, სადაც უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა, გოლი საეჭვო თერთმეტმეტრიანით მიილო და ფრეს დასჯერდა.

კარგთან ერთად, ცუდი მატჩებიც უნდა ვახსენოთ. „ვიტ ჯორჯიამ“ მეორე წრეში სრულფასოვანი რევანში აიღო და „გაგრას“ 5:1 სძლია, კაშჩეის გუნდი „ოლიმპთან“ 0:5 განადგურდა, ყველაზე მწარედ კი გაგრელებს, ალბათ, „ლოკომოტივთან“ განცდილი მარცხი აგონდებათ. რკინიგზელებისთვის ხომ ეს მიმდინარე ჩემპიონატში ჯერჯერობით, ერთადერთი გამარჯვებაა.

**გაგრა**

**სულ**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | 3 | 5 | 10 | 18-30 | 14 |

**შინ**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 3 | 3 | 3 | 10-6 | 12 |

**სტუმრად**

| თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 9 | 0 | 2 | 7 | 8-24 | 2 |

**გაგრას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | დინამო-გაგრა | 2:0 |
| II ტური | გაგრა-ვიტ ჯორჯია | 4:0 |
| III ტური | ზესტაფონი-გაგრა | 1:0 |
| IV ტური | გაგრა-ოლიმპი | 0:1 |
| V ტური | ბაია-გაგრა | 2:2 |
| VI ტური | გაგრა-ლოკომოტივი | 2:0 |
| VII ტური | სამტრედია-გაგრა | 4:3 |
| VIII ტური | სპარტაკი- გაგრა | 3:1 |
| IX ტური | გაგრა-სიონი | 1:1 |
| X ტური | გაგრა-დინამო | 0:0 |
| XI ტური | ვიტ ჯორჯია- გაგრა | 5:1 |
| XII ტური | გაგრა-ზესტაფონი | 0:1 |
| XIII ტური | ოლიმპი-გაგრა | 5:0 |
| XIV ტური | გაგრა-ბაია | 1:0 |
| XV ტური | ლოკომოტივი-გაგრა | 1:0 |
| XVI ტური | გაგრა-სამტრედია | 1:1 |
| XVII ტური | გაგრა-სპარტაკი | 1:2 |
| XVIII ტური | სიონი-გაგრა | 1:1 |

მეკარეები: რევაზ თევდორაძე - 14, ლადო ნადირაშვილი - 5;

მცველები: თორნიკე შალიკაშვილი - 15, ლაშა თოთაძე - 14 (1 გოლი), ჯემალ გაბუნია - 13 (1 გოლი), დავით გიგაური - 13, აკაკი კუპრეიშვილი - 10, ვალტერ ხორგუაშვილი - 6, გიორგი ელბაქიძე - 4, ნემო შელია - 2;

ნახევარმცველები: მიხეილ კობერიძე - 15 (2 გოლი); ლევან შარიქაძე - 13, თემურ რაქვიაშვილი - 11, პავლე ხორგუაშვილი - 10, გურამ გოგიჩაიშვილი - 9 (1 გოლი), თორნიკე ოქრიაშვილი - 8, გიორგი ტყეშელაშვილი - 8, გიორგი ჭაავა - 8, სერგეი ბერბატი - 4, გიორგი ბაგალიშვილი - 2, ირაკლი შალიკაშვილი - 2, გიორგი ცაავა - 1, მოიზესი - 1;

თავდამსხმელები: გიორგი გაბედავა - 18 (9 გოლი), ილია პავლიაშვილი - 16 (3 გოლი), ოვონიკოკო აბაიომი სეუნი - 14 (1 გოლი), თორნიკე თუხარელი - 9, შალვა კვანტალიანი - 1, მიხეილ ჯიშკარიანი - 1.

მწვრთნელი: კახა კარანაძე (მე-17 ტურამდე ვიქტორ კაშჩეი)

## ორი ფიგურა

„ვიტ ჯორჯიას“ განადგურებაში ლომის წილი **გიორგი გაბედავამ** დაიდო, რომელმაც იმ შეხვედრაში პოკერი შეასრულა. „გაგრას“ ფორვარდი თავისი გუნდის მსგავსად, უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს ატარებს და თვალსაჩინო პროგრესი აქვს. მართალია, გიორგის არასტაბილურობაც ახასიათებს, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ეს ჩვეული მოვლენაა. სამაგიეროდ, როცა თამაში მისდის, მეტოქის მცველებისთვის მისი შეჩერება ურთულესი საქმეა. გაბედავას თანამედროვე ფორვარდისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს - სწრაფია, ტექნიკური, ჯანიანი, სწორად აზროვნებს, ურტყამს ყველა პოზიციიდან, რაც განსაკუთრებული დეფიციტია ქართველ მოთამაშეებში. ერთი სიტყვით, თუ საკუთარ თავზე მუშაობა გააგრძელა, დიდი მომავალი ექნება.

უმაღლესი ლიგის გამორჩეულ ფეხბურთელთა შორის ელვისებური სისწრაფით შეიჭრა **თორნიკე ოქრიაშვილი**, რომელიც „გაგრას“ ძირითად შემადგენლობაში პირველი ეტაპის მიწურულსლა დამკვიდრდა და უმალ იქცა თავისი გუნდის ნახევარდაცვის ლიდერად. სწრაფმა და ტექნიკურმა შუახაზელმა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღებაც მიიქცია და გაბედავასთან ერთად, იქაც რიგიანი შთაბეჭდილება დატოვა. წინა სეზონში ასეთი გამოკვეთილი ლიდერები „გაგრას“ არ ჰყოლია და თუნდაც მხოლოდ ოქრიაშვილი-გაბედავას ეფექტური დუეტი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ „გაგრა“ ამჟამად უფრო საინტერესო გუნდია.


თორნიკე ოქრიაშვილი

## მეკარეები

„გაგრას“ ახალგაზრდა მეკარეები კი ჰყავს, მაგრამ ორივე მათგანს უმაღლეს ლიგაში თამაშის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს. გოლკიპერის პოზიციაზე გუნდს ყველაფერი რიგზე აქვს, რამდენიმე გამონაკლის შემთხვევას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, **რევაზ თევდორაძემაც** და **ლადო ნადირაშვილმაც** ჩემპიონატის პირველი ეტაპი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს. სეზონი ძირითადი მეკარის სტატუსით თევდორაძემ დაიწყო, „ვიტ ჯორჯიასთან“ 1:5-ის შემდეგ კარში ნადირაშვილი ჩააყენეს, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველი ეტაპის მიწურულს დაშავდა და ბოლო მატჩებში „გაგრას“ კარი კვლავ თევდორაძემ დაიცვა. მეკარის ცალკეული გმირობის მაგალითია თევდორაძის მიერ მოგერიებული პენალტი „დინამოსთან“, რამაც „გაგრას“ ქულა მოუტანა.

## მცველები

18 მატჩში გაშვებული 30 გოლი რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო შედეგია, მაგრამ ამის გამო ჯოხს მხოლოდ დაცვის ხაზზე ვერ გადავტეხთ. რატომღაც, მთელი პირველი ეტაპის განმავლობაში ვერაფრით ჩამოყალიბდა უკანა ხაზის სტაბილური ოთხეული, როტაცია კი დაცვას, დაგვეთანხმებით, ნაკლებად უხდება. ბოლო ტურებში თითქოს ამ რგოლში „გაგრას“ პროგრესი შეეტყო, ხუთ ტურში მიღებული ამდენივე ბურთი უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლი გუნდისთვის ნორმალური შედეგია.

## ნახევარმცველები

პირველი ეტაპის განმავლობაში „გაგრას“ ღირსება 29 ფეხბურთელმა დაიცვა და აქედან ყველაზე მეტი ნახევარმცველი იყო. კაშჩეი და კარანაძე ოპტიმალურ შუა ხაზს გამალებით ეძებდნენ და ბოლო ტურებში „გაგრას“ ნახევარდაცვამ მეტ-ნაკლებად სტაბილური სახე მიიღო. ოქრიაშვილის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. მის გარდა, **მიხეილ კობერიძის** გამორჩევა შეიძლება, რომელიც ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად ხვდებოდა და თავის გუნდს ბოლო ტურებში ორი გოლით შეეწია. ბოლო ხუთი მატჩი ტრავმის გამო გაუცდა **ლევან შარიქაძეს**, რომელიც იქამდე „გაგრას“ ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრი იყო. გუნდის შუა ხაზში ორი ლეგიონერიც ვიხილეთ, ოღონდ ეპიზოდურად. უკრაინელმა **სერგეი ბერბატმა** საქართველო ადრეულ შემოდგომაზევე დატოვა და ჩვენი ინფორმაციით, ამავე გზას გაუდგება ბრაზილიელი **მოიზესიც**, რომელმაც პირველი ეტაპის მიწურულს „გაგრას“ შემადგენლობაში ერთი მატჩი ჩაატარა და თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინა.

## თავდამსხმელები

„გაგრას“ მთავარი დამრტყმელი ძალა, რაღა თქმა უნდა, გაბედავაა. იგი გუნდის ერთადერთი გამოკვეთილი თავდამსხმელია, რომელსაც სიღრმიდან **ილია პავლიაშვილი** ეხმარება. პერსონალურად აღნიშვნას ეს ახალგაზრდა ფეხბურთელიც იმსახურებს. პავლიაშვილი წინა სეზონში „ბორჯომის“ რიგებში გამოირჩეოდა და „გაგრამ“ მისი დამატებით სწორი ნაბიჯი გადადგა. იგი ტიპური უკანა თავდამსხმელია, რომელიც საფეხბურთო აზროვნებითაც გამოირჩევა, საგოლე მომენტის შექმნა ეხერხება და საჭიროების შემთხვევაში, შეტევის დაგვირგვინებაც რიგიანად გამოსდის. მონდომებული ბიჭია ნიგერიელი ოვონიკოკო, რომელიც „გაგრას“ ყველაზე წარმატებული ლეგიონერია და პავლიაშვილის მსგავსად, სიღრმიდან უტევს.

ლევან ჯანეზაშვილი

# უცხოური ფეხბურთი

## ამბები

უკრაინაში საქმიანობას შეუდგა „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი ნოდარ ჩოლარია. მას კარგად იცნობს საქართველოს სპორტული და საფეხბურთო საზოგადოება. სპორტის ოსტატი წყალბურთში, წარმატებით ასპარეზობდა თბილისის „დინამოსა" და „ბურევესტნიკში", სანკტ პეტერბურგის „ბალტიკაში", ჰამბურგის „ოსეიდონსა" (გერმანია) და იავასკულას „საუკოტში" (ფინეთი). არის საქართველოს და ფინეთის ჩემპიონი, ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. მუშაობდა საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტის თანაშემწედ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საკლუბო ლიცენზირების მენეჯერად.

„ლელოს" თხოვნით, ნოდარ ჩოლარია აკრედიტირებულია უკრაინის ფეხბურთის ფედერაციისა და საფეხბურთო კლუბ კიევის „დინამოს" ყველა ღონისძიებაზე, საიდანაც ოპერატიულად მივიღებთ და მოგაწვდით უახლეს ინფორმაციებს ევროპის მომავალ საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით, რომლის თანამასპინძელი (პოლონეთთან ერთად) უკრაინაცაა. რა თქმა უნდა, „ლელოში" ოპერატიულად გაშუქდება უკრაინაში ჩატარებული ყველა სპორტული ღონისძიება ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობით.

დღეს გთავაზობთ ნოდარ ჩოლარიას პირველ რეპორტაჟს კიევიდან...

*ევრო 2012*

### უკრაინა ემზადება

### დავით პეტრიაშვილი და მამუკა კვარაცხელია საორგანიზაციო კომიტეტში

ხმაურიანად და დაძაბულად ჩაიარა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის (უფფ) მეთერთმეტე კონგრესმა კიევში. განიხილეს 2009 წლის განეული მუშაობის შედეგები, დაამტკიცეს აუდიტის ანგარიში. სიამაყით აღინიშნა, რომ წლეულს სტადიონებზე 250 ათასით მეტი გულშემატკივარი დაესწრო ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებს. ხმაური და ვნებათაღელვა კი გამოიწვია პრემიერ-ლიგის პრეზიდენტის გამოსვლამ, რომელმაც მოითხოვა დღის წესრიგში შეეტანათ უფფ-ის ყველა ლიგის 50 საფეხბურთო კლუბის პირდაპირი წევრობის საკითხი, რაც კონგრესმა არ დააკმაყოფილა. ამით შეურაცხყოფილმა პრემიერ-ლიგის თავკაცმა შემდეგ გამოსვლისას, როგორც იტყვიან, მიწასთან გაასწორა ფედერაციის, განსაკუთრებით მსაჯთა კორპუსის და კლუბების საქმიანობა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ დაპირისპირება შორს წავა, თუ მხარეები მოლაპარაკების მაგიდას არ მიუსხდებიან უკრაინული ფეხბურთის სასიკეთოდ. დავძენთ, რომ დაპირისპირებაში აშკარად იკითხება მომავალი არჩევნებისთვის გარანტირებული ხმების ქვეტექსტი.

კონგრესმა ფიფა-უეფასთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომავალი საანგარიშო-საარჩევნო კონგრესი გაიმართოს არა 2011, არამედ 2013 წელს, ევრო 2012-ის შემდეგ. როგორც ცნობილია, უკრაინა და პოლონეთი ერთობლივად უმასპინძლებენ ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატს.

რაც შეეხება ევრო 2012-ისთვის მზადებას, აქ ყველაფერი წესრიგშია. ჩემპიონატს უკრაინის და პოლონეთის 4-4 ქალაქი უმასპინძლებს. საზეიმო გახსნა შედგება ვარშავაში, დახურვა - კიევში. უკრაინის კიდევ სამი ქალაქის ხარკოვის, ლვოვის და დონეცკის არენები სრულად აკმაყოფილებენ უეფას მოთხოვნებს. ძირითადად ესაა: VIP-ლოჟები, საპრეზიდენტო ლოჟა, ადგილები ინვალიდებისთვის, ადგილები პრესის და ელექტრონული მედიის ჟურნალისტებისთვის და, რალა თქმა უნდა, კეთილმოწყობილი ტრიბუნები კომფორტული სავარძლებით. სულ დაიხარჯება 56 მილიონი გრივენი (1 აშშ დოლარი 8 გრივენია).

ხარკოვისა და დონეცკის სტადიონები საექსპლუატაციოდ უკვე მზადაა. 2011 წლის ივნისისთვის კი მწყობრში ჩადგება ლვოვისა და კიევის არენები. ევრო 2012-ის საორგანიზაციო კომიტეტში უფფ-ის წარდგინებით უეფას მიერ დანიშნული 30 თანამშრომელია. მათ შორისაა ჩვენი ორი თანამემამულე - დავით პეტრიაშვილი და მამუკა კვარაცხელია.

UEFA EURO2012 POLAND-UKRAINE

## კრიზისი ტურინში

# ფერარა რჩება. როდემდე?



ჩირო ფერარა ფანების რისხვას ვერსად წაუვა

ბოლო ექვსი თამაშიდან „იუვენტუსმა" ხუთი წააგო, ასეთი რამ ბოლოს როდის მოხდა, სტატისტიკოსებიც კი ვერ ამბობენ. შეგახსენებთ: „ვეკია სენიორა' სერია A-ში „კალიარიმ", „ბარიმ" და „კატანიამ" დაამარცხეს, ჩემპიონთა ლიგაში კი „უმოტივაციო „ბორდომ" და მიუნხენის „ბაიერნმა". ამ თამაშებს შორის იყო მნიშვნელოვანი გამარჯვება „ინტერთან" - თუმცა აღნიშნულ წარმატებას ტურინელებმა თავად დაუკარგეს ფასი, რადგან შემდეგ გაცილებით სუსტ მეტოქეებთან მოეცარათ ხელი და „ნერაძური" სატურნირო ცხრილში კიდევ უფრო წინ გაუშვეს.

ჯერჯერობით, პოსტზე რჩება **ჩირო ფერარა**, არადა, ბევრს ეგონა, რომ „კატანიასთან" განცდილი მარცხის შემდეგ, მას კარისკენ მიუთითებდნენ. მით უფრო, რომ გულშემატკივართა მხრიდან კლუბის მესვეურებზე ზეწ...ლა სულ უფრო და უფრო იზრდება. კვირას გამართული პაექრობის შემდეგ გულშემატკივრებმა უკმაყოფილება ხმაურიანად გამოხატეს და გუნდის ავტობუსს სხვადასხვა საგანი დაუშინეს. თავად ფერარა ცდილობს, რომ მაგრად დადგეს, თუმცა სახეზე აწერია, რომ შობა-ახალი წლის სადღესასწაულო დღეების წინ ასეთ მძიმე მდგომარეობაში არასდროს ყოფილა. მიუხედავად ამისა, საკუთარი თავის ხელში აყვანა შეძლო და მასმედიასთან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა:

*„ძალიან რთული დღეები გვიდგას. არაერთხელ დავფიქრდი იმაზე, რომ პოსტი დამეტოვებინა, მაგრამ ამ ნაბიჯზე არ წავედი. ჩემი ღრმა რწმენით, კრიზისის დაძლევა მხოლოდ ერთად დგომით არის შესაძლებელი და მინდა ეს გულშემატკივრებმაც გაითვალისწინონ. მათი შესანიშნავად მესმის, მაგრამ თუ გვინდა, რომ მომავალზე ვიფიქროთ, ბევრად უფრო რაციონალურად უნდა ვიმოქმედოთ. ერთმანეთის დადანაშაულება არაფერს მოგვცემს, უმჯობესია ერთად დავდგეთ და წინ გავიხედოთ".*

ფერარა აშკარად არეული და არაადეკვატურია: ის ამბობს, ერთმანეთი არ უნდა დავადანაშაულოთო - მაგრამ, რა შუაშია აქ სიტყვა ერთმანეთი? - რეალურად, კრიტიკის მთავარი ობიექტი თავად ფერარაა და გულშემატკივრებიც მის გადადგომას ითხოვენ. და რაში ხედავს ჩირო გამოსავალს? - ამაზე თავად გიპასუხებთ:

*„როგორც ზემოთ აღვნიშნე, მთავარია ერთად დავდგეთ და არ გავტყდეთ, დანარჩენს კი მოევლება. ბევრი ფიქრობს, რომ გამოსავალი ახალი ფეხბურთელების შეძენაშია, მაგრამ მე ასე არ მგონია. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩემს განკარგულებაში არიან, გაცილებით მეტი შეუძლიათ, ვიდრე აჩვენებენ. ჩემი მიზანია, მათგან მაქსიმუმი გამოვიღო და თუ ეს შევძელი, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყეფს. დამერწმუნეთ, პოტენციალით არც „ინტერს" ჩამოუვარდებით და არც „მილანს". ერთი მოგებული შეხვედრა და ყველაფერი შეიცვლება. მთავარია, არ გავტყდეთ და სეზონის განახლებას იმედით დაველოდოთ".*

არა გვგონია, ფერარას სიტყვებმა ტიფოზები დაამშვიდოს, პროტესტი გაგრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით კლუბის მესვეურებზე ეს გავლენას ვერ ახდენს. თუმცა, გუშინ გვიან საღამოს კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც კულუარული ინფორმაციით სწორედ ფერარას ბედ-იღბალზე იმსჯელეს. ოფიციალურად საბჭოს სხდომა სულ სხვა მოტივით გაიმართა: საქმე იმაშია, რომ კლუბსა და **რობერტო ბეტეგას** შორის მიმდინარე მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა მშობლიურ „იუვენტუსში" ბრუნდება. ბეტეგა სპორტული კონსულტანტის როლს შეასრულებს და ერთი მხრივ მთავარ მწვრთნელს დაეხმარება, მეორე მხრივ სპორტულ დირექტორს, **ალესიო სეკოს**. მთავარი მწვრთნელი ჩირო ფერარა იქნება თუ სხვა, ეს უახლოეს პერიოდში უნდა გაცხადდეს. დღეს კი მართლაც რთული განსაჭვრეტია, რით დასრულდება ეს კრიზისი.

კლუბის პრეზიდენტმა **ჟან-კლოდ ბლანმა** ჩიროს მხარი დაუჭირა და შემდეგი განაცხადა:

*„გუნდის ასპარეზობით ძალიან უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ყველაფრის ერთ კაცზე გადაბრალება მაინც არ შეიძლება. ფაქტია, რომ რამდენიმე საკვანძო ფეხბურთელი ცუდ ფორმაშია და ისინი ვერ ასრულებენ სათანადოდ მწვრთნელის მითითებებს. ჯოხს მხოლოდ ფერარაზე ვერ გადავტეხავთ - მის მიმართ ნდობა დიდია და ის გააგრძელებს მუშაობას „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე".*

მთავარ მწვრთნელს მხარდაჭერა გამოუცხადა **ფაბიო კანავარომაც**. „სკუადრა აძურას" კაპიტანი იმედგაცრუებულია გუნდის ასპარეზობით და პასუხისმგებლობის თავის წილს არ გაურბის:

*„საშინლად იმედგაცრუებული ვარ იმით, რაც ჩვენს თავს ხდება. უნდა ნახოთ, როგორი მძიმე ვითარებაა გასახდელში, ყველანი განვიცდით ამდენ წარუმატებლობას. ყველაფერი ჩვენს ხელშია, უნდა მოვიკრიბოთ ძალები, ბევრი ვიშრომოთ და შედეგი აუცილებლად გვექნება. იქამდე კი პასუხისმგებლობა ყველამ თანაბრად უნდა გადავინაწილოთ - არასწორია, როდესაც წარუმატებლობაში მხოლოდ ერთ კაცს, ჩირო ფერარას ადანაშაულებენ. მარტო, მწვრთნელი ვერაფერს გახდება თუ ჩვენ, ფეხბურთელებმა ვერ ვითამაშეთ მაღალ დონეზე. პასუხისმგებლობა თითოეულმა მოთამაშემ უნდა აიღოს საკუთარ თავზე, მათ შორის მეც".*

აი, ასეთი ვითარებაა ტურინის „იუვენტუსში", ბევრ რამეს უახლოეს საათებში, დღეებში მოეფინება ნათელი და რა თქმა უნდა, ამის შესახებ ოპერატიულად გაცნობებთ.

***P.S.* *გუშინ „იუვენტუსის" დირექტორთა საბჭო საგანგებო შეხვედრისთვის შეიკრიბა. გადაწყდა, რომ ჩირო ფერარას სიტუაციის გამოსწორებისთვის ორი მატჩი ექნება. ეს ორი შეხვედრა კი „ბიანკონერის" „პარმასთან" სტუმრად და „მილანთან" საკუთარ მოედანზე უწევს...***

**ლაშა ნიკლაური**

## სტადიონები

# მივბაძოთ გერმანიას...

როგორც უკვე იცით, დიდთოვლობის გამო იტალიის სერია A-ს XVII ტურის ერთბაშად ოთხი თამაში გადაიდო. აღნიშნულმა ფაქტმა იტალიური საფეხბურთო საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა იმაზე, რომ კალჩოში ინფრასტრუქტურა სერიოზულად მისახედია. უპირველეს ყოვლისა, ეს სტადიონებზე ითქმის, რომლებიც აშკარად მოძველდნენ და თანამედროვე სტანდარტებს აღარ შეესაბამებიან. მხოლოდ სამ სტადიონს შეგვიძლია მივცეთ შედარებით მაღალი შეფასება: „სან სიროს", რომის „ოლიმპიკოს" და „სტადიო მარასის", რომელიც გენუაში მდებარეობს. სხვა სტადიონები კეთილმოუწყობელია, რამდენიმე კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

სტადიონების რეკონსტრუქციის აუცილებლობაზე ორშაბათს **ადრიანო გალიანიმ** ისაუბრა და თამაშის გადადება სწორედ აღნიშნულ პრობლემას დააბრალა. გუშინ, გალიანის ლეგა კალჩოს პრეზიდენტმაც აუბა მხარი და ჟურნალისტებს სწორედ ამ საკითხზე ელაპარაკა. მოვუსმინოთ **მაურიციო ბერეტას**:

*„სრულიად ვეთანხმები გალიანის, ვინაც სტადიონების რეკონსტრუქციის აუცილებლობაზე ისაუბრა. თამაშები იმიტომ არ გადადებულა, რომ მოედნების საფარი დაითოვლა - ამას მოევლებოდა, უბრალოდ, ტრიბუნების პარალიზება მოხდა, რამაც გულშემატკივრებს შეუქმნა პრობლემები. ფლორენციაში, ასამდე ქომაგი მაინც შევიდა სტადიონზე და როგორც მაცნობეს, რამდენიმე მათგანი დაშავდა. წარმოიდგინეთ, ტრიბუნებზე რომ ათასობით გულშემატკივარი ყოფილიყო, რაოდენ დიდ პრობლემებს გადავაწყდებოდით. ასე რომ, აბსოლუტურად სწორად მოვიქეცით, როდესაც ოთხი თამაშის გადადების გადაწყვეტილება მივიღეთ. იტალიური სტადიონები რომ გადახურული იყოს, მსგავსი პრობლემები არ შეიქმნებოდა. ამიტომ, აუცილებელია, რომ უახლოეს პერიოდში სამოქმედო გეგმა შევიმუშავოთ. შევხედოთ გერმანიას, სადაც გაცილებით უფრო ცივი კლიმატია და თოვლიც უფრო დიდი იცის. მიუხედავად ამისა, ბუნდესლიგაში არც ერთი შეხვედრა არ გადადებულა. ეს სწორედ ახალი თაობის თანამედროვე არენების დამსახურებაა".*

**ლაშა ნიკლაური**

## პალერმო

# კავანი: ინტერი? არ ვფიქრობ...

**დელიო როსის** ხელში „პალერმო" გარდაისახა და მართლაც შთამბეჭდავად ათამაშდა. სიცილიელებმა ზედიზედ სამი შეხვედრა მოიგეს, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გუნდი სატურნირო ცხრილში მეშვიდე ადგილზე წამოსკუპებულიყო. ყოველივე ამის შემდეგ სავსებით რეალური გახდა, რომ კუნძულელებმა მიმდინარე სეზონში ევროტურნირის საგზურისთვის იბრძოლონ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კლუბის მესვეურებმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვაზე წესით უარი უნდა თქვან. საქმე იმაშია, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ **ედისონ კავანის** „ინტერში" შესაძლო გადასვლის შესახებ. გუშინ, ამ საკითხზე თავად ურუგვაელმა ფორვარდმა ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:

*„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენით ასეთი დიდი ტრადიციების და ამბიციების გუნდი ინტერესდება. არა მგონია, რომ არსებობდეს ფეხბურთელი, რომელიც „ნერაძურიში" გადასვლაზე უარს იტყვის. თუმცა, დღეს „პალერმოს" მოთამაშე გახლავართ და მთლიანად ამ გუნდზე ვარ კონცენტრირებული. „ინტერი" რომ დაინტერესებულია ჩემით, ვიცი, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ამიტომ, ჯერჯერობით არსად გადასვლაზე არ ვფიქრობ და მსურს, სიცილიურ კლუბთან ერთად წარმატებებს მივაღწიოთ. საბედნიეროდ, ბოლო შეხვედრები უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ, რამაც ჩვენს მოტივაციაზე დადებითად იმოქმედა. სეზონის განახლებას მოუთმენლად ველოდებით".*

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# დიდი ვალი, საზიზღარი კუკი და სიმწრისგან მთვრალნი



კრეიგ ბელამი და მარკ ჰიუზი

არის თუ არა ერთგულება თანამდებობაზე დარჩენის გარანტია? როგორც „მანჩესტერ სიტის" ახლა უკვე ყოფილი უელსელი მწვრთნელის **მარკ ჰიუზის** მაგალითზე ვხედავთ, არა. არადა, საოცარ ამბავს აეხადა ფარდა: თურმე ნუ იტყვით და ისტლენდელთა კლუბს, რომელიც, მოგეხსენებათ, არაბმა შეიხმა შეიძინა და თავზე ნავთობის სუნით გაჟღენთილ მილიონებს აყრის, ჰიუზის ვალი აქვს - 250 ათასი ფუნტი. როგორც გაზეთმა „სანმა" შეიტყო ჰიუზმა კვირას ორი საათი ბრიტანეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ვექილ **პოლ გილროისთან** გაატარა. გილროი ის კაცია, რომელმაც თავის დროზე **ალან კერბიშლის** „ვესტ ჰემთან" მოაგებინა საქმე. კერბიშლიც, ჰიუზისა არ იყოს, თავს უსამართლოდ გაგდებულად გრძნობდა.

როგორც ირკვევა, „სიტის" მეპატრონენი უელსელის მოხსნასა და მის ნაცვლად „ინტერის" ყოფილი თავკაცის, **რობერტო მანჩინის** მოყვანას რამდენიმე კვირის განმავლობაში ამზადებდნენ. მანჩინი ისტლენდზე სამ წელიწადში 10, 5 მილიონ ფუნტს მიიღებს, ხოლო თუ ამ სეზონის ბოლოს მანჩესტერელები პრემიერლიგის ცხრილის ოთხეულშიც მოხვდებიან, დამატებით მილიონსჩაიჯიბავს.

საინტერესოა, რომ მოხსნის თუ შესაძლო მოხსნის შესახებ ჰიუზმა შაბათ დილას „სანიდან" შეიტყო - ყოვლისმცოდნე გაზეთში ეწერა, რომ „სიტის" ბოსებს ის ფაქტობრივად უკვე გაშვებული ჰყავდათ და მართლაც, „სანდერლენდთან" იმდღევანდელი გამარჯვება (4:3) „სპარკისთვის" ამ თანამდებობაზე ბოლო აღმოჩნდა.

ახლა კი, მოდი ზემოთ ნახსენებ 250 ათასს დავუბრუნდეთ. ეს მაშინდელი ამბავია, როდესაც 2009 წლის იანვარში „სიტი" **კრეიგ ბელამის** ყიდულობდა. ფეხბურთელის სატრანსფერო ფასი 14 მილიონი ფუნტი გახლდათ. „სიტი" და „ვესტ ჰემი" ყველაფერზე შეთანხმებულები იყვნენ, მაგრამ მოულოდნელად გაირკვა, რომ ისტლენდელებს 250 ათასი ფუნტი აკლდებოდათ. „სიტის" აღმასრულებელი შეფი **გერი კუკი** ჰიუზთან მივიდა და უთხრა, რომ სატრანსფერო ოპერაცია იშლებოდა. ეს რომ გაიგო, მწვრთნელმა ბანკს მიაშურა და ზემოთ ნახსენები თანხა თავისი ანგარიშიდან ანუ, უბრალო ენით რომ ვთქვათ, ჯიბიდან დაამატა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მას მერე, რაც „მანჩესტერ სიტი" არაბებმა იყიდეს და ახალი ფეხბურთელების შეძენაში დაახლოებით 250 მილიონი ფუნტი დახარჯეს, გუნდისთვის ყველაზე სარგებლიანი ხსენებული ბელამისა და მეკარე **შეი გივენის** ტრანსფერი გახლდათ. აღსანიშნავია, რომ შაბათ საღამოს, ჰიუზის მოხსნის შემდეგ, ხმა სწორედ ამ ორმა ფეხბურთელმა ამოიღო. ისინი მოთამაშეთა ექვსკაციან დელეგაციას გაუძღვნენ და კუკთან ილაპარაკეს - ეს იყო პროტესტი.

აღსანიშნავია, რომ ჰიუზი და მისი ასისტენტი **მარკ ბოუენი** მათ თავს შეკრებილ საავდრო ღრუბლებს ოთხშაბათის შემდეგ გრძნობდნენ, მას მერე, რაც „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" 3:0 მოუგო. კაცმა, რომ თქვას, ეს ღრუბლები ძალიან ძნელი დასანახავიც არ იყო, მაგრამ ის, რომ „სიტის" შეფებს ამასობაში რობერტო მანჩინისთან მოლაპარაკება უკვე დასრულებული ჰქონდათ და იტალიელი, ფაქტობრივად, თანამდებობაზე იყო დანიშნული, წყვილმა ნამდვილად არ იცოდა. თარიღების დაზუსტებაც შეიძლება: თურმე „სიტის" ბოსებსა და მანჩინის ხელი ხელს 2 დეკემბერს დაურტყამთ, ჰიუზი კი ცხრამეტში მოხსნეს. საინტერესოა, რომ 2 დეკემბერს, იმ დროს, როდესაც მანჩინისთან საიდუმლო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, ჰიუზის ხელმძღვანელობით „სიტიმ" „ქარლინგის თასის" მეოთხედფინალში „არსენალს" 3:0 მოუგო და 28 წელიწადში პირველად გავიდა ამა თუ იმ თასის ნახევარფინალში.

ასე იყო თუ ისე, როდესაც შაბათ დილას ჰიუზმა „სანი" გადაშალა და წაიკითხა, რომ ის მოხსნილია, მყისვე გერი კუკს გადაურეკა. მას აინტერესებდა, საიდან მოიტანეს ჟურნალისტებმა ეს ამბავი. როგორც ირკვევა, დიალოგი საკმაოდ ცხარე იყო და კუკმაც მოხსნის ამბავი უხეშად დაუდასტურა. ჰიუზის პირველი რეაქცია ბუნებრივი იყო - ისტლენდის დატოვება დაუყოვნებლივ გადაწყვიტა, მაგრამ საქმეში ლიგის მწვრთნელთა ასოციაცია ჩაერია (როგორც ჩანს „პროფკავშირს" თავად ჰიუზმა შეატყობინა) და „სპარკის" წასვლა „სანდერლენდთან" თამაშის შემდეგ ურჩია. შემდეგ, უელსელი კლუბის თავმჯდომარეს, **ხალდონ ალ მუბარაქს** შეხვდა, რომელთანაც, ყველაფერზე გულწრფელად ილაპარაკა.

მოგეხსენებათ, მარკ ჰიუზმა თანამდებობა მართლაც „სანდერლენდთან" გამარჯვების შემდეგ დატოვა, ინგლისურმა ტაბლოიდებმა კი მას თანადგომა გამოუცხადეს და დაწერეს, რომ უელსელის ნაცვლად ისტლენდზე მოჰყავთ მწვრთნელი, რომელსაც ორი წელიწადია გუნდი არ გაუწვრთნია და ინგლისურად ერთ სიტყვასაც ვერ ამბობს. „სანმა" შეიტყო, რომ ბოლო სამი დღეა მანჩინი კუკის სახლში ცხოვრობს.

და რას ამბობს ამ ყველაფერზე ჰიუზი? ის ამბობს, რომ მისი მოხსნა ყველაზე მეტად ორ ადამიანს, უკვე ბევრჯერ ხსენებულ კუკსა და მის მარჯვენა ხელს **ბრაიან მერვუდს** უნდოდათ. უელსელი მწვრთნელის მავანმა მეგობარმა ჟურნალისტებს უთხრა:

*„მარკი დარწმუნებულია, რომ ხალდონს მისი ბოლომდე სწამდა, მაგრამ კუკმა და მერვუდმა ძირი გამოუთხარეს. მისი დღევანდელი მდგომარეობა თავიდან ბოლომდე ამ ორი ადამიანის გამოწვეულია".*

აი, კიდევ ვინ ველარ იმეგობრებს მარკ ჰიუზთან - „მანჩესტერ იუნაიტედის" ოდინდელი მწვრთნელი **ბრაიან კიდი**. კიდი „სიტიში" სამი თვის წინ მივიდა - ჰიუზმა მიიყვანა - და ყმაწვილთა აკადემია ჩააბარა, მან კი თურმე მანჩინის ასისტენტობაზე დაიწყო ფიქრი და სამი კვირაა უელსელის ზურგს უკან მოლაპარაკებებშია ჩაბმული. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი „სპარკისთან" ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია.

ზემოთ, რამდენჯერმე ბრაიან მერვუდი ვახსენეთ. ახლავე აგიხსნით, ვინ არის ეს კაცი და რატომ არ უყვარს მას მარკ ჰიუზი. საქმე ის გახლავთ, რომ მერვუდი კუკის კაცია. კუკს თავის დროზე მისი საფეხბურთო საქმეთა დირექტორად მოყვანა უნდოდა, მაგრამ ჰიუზი ამის წინააღმდეგი წავიდა - როგორც ჩანს, მერვუდის ასეთ თანამდებობაზე დანიშვნაში თავისი უფლებების შეზღუდვა დაინახა. ერთი სიტყვით, „სპარკიმ" მერვუდი დიდ თანამდებობას არ მიაკარა და „ოპერაციათა მენეჯერობა" აკმარა. კუკი, თავის მხრივ, მერვუდის საფეხბურთო საქმეთა დირექტორად დანიშვნას იმიტომ ითხოვდა, რომ თავად ფეხბურთისა არაფერი გაეგება და სჭირდებოდა კაცი, რომელიც ამ სფეროს გაუკონტროლებდა. ასე და ამგვარად, რაკილა მერვუდს „ოპერაციათა" მენეჯერობაზე" უკეთესი არაფერი ხვდა, განაწყენებულს სამსახურში არც უვლია - ჰიუზს ის სულ ერთი-ორჯერ ჰყოლია ნანახი. სამაგიეროდ (ყოველ შემთხვევაში ასე სწამს „სიტის" ყოფილ თავკაცს"), მათ ხალდონ ალ მუბარაქთან იარეს და იგი სამსახურიდან გააგდებინეს.

როგორც ირკვევა, უელსელის საწინააღმდეგოდ პირველი ნაბიჯი „ჰალთან" ფრის შემდეგ გადაიდგა - ეს გახლდათ ზედიზედ მეშვიდე ფრე შინ, „სიტი ოფ მანჩესტერ სთედიუმზე". მეორე დღეს ჰიუზს ხალდონთან ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი ჰქონდა - ხალდონს აინტერესებდა, ხომ არ ჩაიშალა ის გეგმები, რომლებიც სეზონს დაწყებამდე ერთობლივად დასახეს. საუბრისას თავმჯდომარე და მწვრთნელი შეთანხმდნენ, რომ გეგმები არ არეულა... თუმცა, ხალდონმა პარალელურად მანჩინისთან მოლაპარაკებები მაინც დაიწყო. მათ იტალიელს ჰკითხეს, რას იტყოდა, მისთვის „სიტის" თავკაცობა რომ შეეთავაზებინათ და თან დასძინეს, შენ გარდა **გუს ჰიდინკსა** და **ჟოზე მოურინიოსაც** ველაპარაკებითო. მოურინიოს ამბავი ტყუილი იყო, რადგან ნებისმიერი ინგლისელი ჟურნალისტისგან განსხვავებით „განსაკუთრებულთან" (უფრო სწორად მის გონებასა და გულთან) დაკავშირების გზები „სიტის" შეფობამ არ იცოდა. აი, ჰიდინკი კი სხვა ამბავია, რადგან ჰოლანდიელის აგენტი კუკის მეგობარი გახლავთ. მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ ისტლენდზე ჩასვლა არც ჰიდინკს აინტერესებდა, „სიტის" შეფებმა არჩევანი მანჩინიზე შეაჩერეს, რაც, როგორც მოგახსენეთ, „არსენალთან" 3:0 მოგების დღეს მოხდა. სრულიად გაუგებარია, რატომ მალავდნენ ხალდონი და კომპანია მანჩინის ამბავს ამდენი ხნის განმავლობაში - მას მერე „სიტიმ" ხომ სამი შეხვედრა მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთიც წააგო. ამ შედეგთა შორის იყო თვით ლიდერის, „ჩელსის" დამარცხება 2:1. დავიმახსოვროთ: მარკ ჰიუზმა „მანჩესტერ სიტი" პრემიერლიგის ცხრილში მეექვსე ადგილზე დატოვა.

ამბობენ, შაბათ საღამოს, „სპარკის" ერთგული ხალხი მასთან სახლში დასალევად შეიკრიბაო. „მანჩესტერ სიტის" ფეხბურთელები კი, თურმე, მაინც აპირებენ საშობაო ქეიფის გადახდას, რა თქმა უნდა, „სპარკისთან" ერთად.

თაღლითობა



ჯონ ტერი

# გეგონა, შეგრჩებოდა?!

## უკანონო შემოსავლები: ტერი ჩელსის ტერიტორიაზე ექსკურსიებს აწყობდა

**ჯონ ტერის** საქმე მთლად კარგად არ არის. ის, მოგეხსენებათ, როგორც „ჩელსის" ასევე ინგლისის ნაკრებს კაპიტნობს, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული სამკლავური ორივეგან ჩამოართვან. მიზეზი: ტერის ფეხბურთელის ვეება ხელფასი, როგორც ჩანს, არ ყოფნის და დამატებითი ბიზნესი წამოიწყო, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ბიზნესიც არის და ბიზნესიც.

შეგახსენებთ, რომ „ლურჯების" კაპიტნის ჯამაგირი კვირაში 170 ათასი ფუნტია. დამალული არ არის, რომ ბურთაობით ტერიმ 17 მილიონი ფუნტი დააგროვა და სწორედ ამიტომ ჰგავდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ის, რაც გაზეთებმა კვირა დილით დაწერეს: თურმე, „მისტერ ჩელსიმ" 10 ათას ფუნტად თავისი კლუბის საწვრთნელ ბაზაზე არაოფიციალური ტურისტული ექსკურსია მოაწყო და ხსენებული თანხა მავანს პირდაპირ გუნდის სასადილოში გამოართვა, მაშინ, როცა ერთ-ერთ მაგიდასთან მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** შეექცეოდა.

ბრალდებას კლუბმა, რასაკვირველია, უარყოფითი უპასუხა, ასეთი არაფერი ყოფილაო, მაგრამ, როგორც ამბობენ, სინამდვილეში შიდა გამოძიება წამოუწყიათ. ძალიან შეწუხდა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაც, ოღონდ ასოციაციის შეწუხების მიზეზი სხვა გახლდათ - ნაკრების მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად კაპიტანს თადარიგი დაუჭერია და სამხრეთ აფრიკაში, კერძოდ კი სან სიტიში, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებისთვის საცხოვრებელი დაუქირავებია, სადაც ოჯახს უპირებს დაბინავებას.

თუმცა, დავუბრუნდეთ არალეგალურ ექსკურსიებს „ჩელსის" ბაზაზე, რომელთა მოწყობაშიც ტერის, თურმე, ცნობილი ლონდონელი ბილეთების გადამყიდველი **ტონი ბრუსი** ეხმარებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ ექსკურსანტებს შორის საკვირაო გაზეთ News of the world-ის მიერ შეგზავნილი რეპორტიორებიც ყოფილან, რომელთაც ფეხბურთელთან გაისაუბრეს (რასაკვირველია, ტერიმ არ იცოდა, რომ ისინი ჟურნალისტები იყვნენ) და შეიტყვეს, რომ იგი ამ ტურების არსებობას მალავდა, რათა „ჩელსის" შეფებს არაფერი გაეგოთ. მეტიც, ბრუსმა „ექსკურსანტებს" უთხრა: *„თუ საქმე ცუდად წავა, თქვენ იტყვით, რომ ჯონმა ამის შესახებ არაფერი იცოდა".*

საინტერესოა, რომ მოგვიანებით ტერიმ განაცხადა, ეს ბიზნესი საქველმოქმედო საქმიანობისთვის მჭირდებოდაო. „ჩელსიმ" კი კაპიტნის დასაცავად კომიკური განცხადება გააკეთა, მაგრამ ის ვერ დამალა, რომ „ექსკურსიების" შესახებ არაფერი იცოდა.

ამასობაში საქმეში „დეილი მეილიც" ჩაერთო და მარკეტინგული კომპანიის „რივიერა ენტერტაიმენტის" კვალზე გავიდა - ეს ის კომპანიაა, რომელმაც ტერის სამხრეთ აფრიკაში დაუქირავა საცხოვრებელი.

რასაკვირველია, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი „ჩელსის" თავკაცს კარლო ანჩელოტისაც სთხოვეს, რომელმაც თავისი ფეხბურთელი დაიცვა.

*„ეს ყველაფერი ტყუილია, - ბრძანა იტალიელმა, - კლუბი, ფეხბურთელები და პირადად მეც ჯონს თავიდან ბოლომდე ვენდობით და ვიცით, რომ მას ცუდი არაფერი გაუკეთებია. იმ ალიაქოთმა, რაც ჩვენ გარშემო ატყდა, ვერც მე გამომიყვანა წყობიდან და ვერც ჯონი. მან მითხრა, რომ ცუდი არაფერი გაუკეთებია და ამით ყველაფერი ამოწურულია. ამბობენ, თითქოს, „ექსკურსიების" ისტორიამ კვირას „ვესტ ჰემთან" ჩვენს თამაშზე იმოქმედა. ვიმეორებ, ტყუილია. „ვესტ ჰემთან" კიდევ კაცმა არ იცის, ჩვენ ორი ქულა დავკარგეთ თუ ერთი მოვიპოვეთ. ცუდი არაფერი მომხდარა. ლიდერობა კიდევ ერთი ქულით განვიმტკიცეთ და შობას ჩინებულ გუნებაზე ვხვდებით".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



იოან გურკუფის აკრობატული დარტყმა

# ცივი ზამთარი და ცხელ-ცხელი ბორდო

ტემპერატურა ნულს ქვემოთაა, მაგრამ ჩემპიონი „ბორდო" მაინც „ცხელ-ცხელია" - **ლორან ბლანის** გუნდი დამაჯერებლად ამთავრებს საფრანგეთის პირველობის პირველ წრეს, ჟირონდელებს უკვე 8-ქულიანი უპირატესობა აქვთ მეორე ადგილზე მყოფ „მარსელზე", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული. დღეს-ხვალ ლიგა 1-ში კიდევ ერთი ტური გაიმართება და სამი კვირით შესვენებაც გამოცხადდება.

„ბორდომ" „ლორიანს" უმასპინძლა, რომელსაც არცთუ ურიგო სეზონი აქვს, და 4:1 გაანადგურა. ამ შეხვედრაში გოლებით თავი იმ შემტევებმა გამოიჩინეს, რომლებიც ახალ სეზონში დაიჩაგრნენ და მეორე პლანზე გადაინაცვლეს. **დავიდ ბელიონის** ადგილი დიდი ხანია **იოან გურკუფმა** დაიბევა, თუმცა ამჯერად ორივე ფეხბურთელი სასტარტოში იყო, **ფერნანდო კავენაგიც** უფრო ხშირად **მარუან შამახს** ცვლის, „ლორიანთან" კი პირიქით მოხდა. ბელიონმა დუბლი შეასრულა, კავენაგიმ ერთი გოლი გაიტანა და ერთიც გუნდის ლიდერ გურკუფის ანგარიშზეა.

მატჩი „ლორიანის" შეტევებით დაიწყო, **იონას საკუჰავამ** და **ჯეიმს ფანშონმა** ხელსაყრელი მომენტები გაანიავეს, ხოლო მალე **სედრიკ კარასომ მორგან ამალფიტანოს** დარტყმული მოიგერია. „ლორიანის" შეტევებმა გადაიარა და დავიდ ბელიონმაც გაიტანა, მან მე-12 წუთზე **ფაბიენ ოდარს** შანსი არ დაუტოვა. ტაიმის მიწურულს კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ფორვარდმა შეგვახსენა თავი, შესვენებამდე სამი წუთით ადრე ის მეკარესთან პირისპირ კავენაგიმ გაიყვანა. ბელიონმა სეზონში პირველი დუბლი შეასრულა.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, „ბორდომ" მატჩის ბედი გადაწყვიტა, ჟირონდელებმა სტუმრები სწრაფ კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, იოან გურკუფის პასით არგენტინელმა ფორვარდმა ცაციათი გაიტანა. 75-ე წუთზე უკვე გურკუფის ჯერი დადგა, მან საკმაოდ მახვილი კუთხიდან გაიტანა. „ლორიანი" მოედნიდან უგოლოდ მაინც არ გასულა, მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე **კევინ გამეირომ** პრესტიჟის გოლი გაიტანა - 4:1. „ბორდოს" 40 ქულა დაუგროვდა.

**იოან გურკუფი** (ბორდო): *„ძალიან მოხარული ვარ ფერნანდოს და დავიდის წარმატების გამო. მიხარია, რომ მათ ასისტენტობა მე გავუწიე, ბოლოს კი თავადაც შევძელი გოლის გატანა. ბელიონი და კავენაგი მაღალი დონის შემსრულებლები არიან, მათ დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ „ბორდოს" აუცილებლად გამოადგებიან".*

**ლორან ბლანი** (ბორდო): *„ჩვენ დღეს შემტევი სტილი ავირჩიეთ და შედეგში ეს კარგად აისახა. „ბორდოში" არ არის შეუცვლელი ფეხბურთელი, დღეს ეს კარგად გამოჩნდა. „ზამთრის ჩემპიონობა" ძალიან კარგია, ეს იმას ნიშნავს, რომ საკმაოდ დავაგროვეთ ქულები. მაგრამ მეორე ეტაპზე, გაისად, ამდენივე ქულა უნდა მოვიპოვოთ, თუკი ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება გვსურს".*

ევროპაში უამინდობაა, ამან ნაწილობრივ საფრანგეთის პირველობაც დააზარალა, თოვლის გამო „ბულონი"-„სოშოს" თამაში გადაიდო, მატჩის ორგანიზატორებმა დროულად ვერ შეძლეს მოედნიდან თოვლის საფარის გადახვეტა.

მარსელის „ოლიმპიკი" „სენტ ეტიენს" ეწვია, **დიდიე დეშამის** გუნდმა ვერ შეძლო გამარჯვება - 0:0. *„სენტ ეტიენთან" სტუმრობა ნებისმიერ დროს ურთულესია, ამიტომ ფრე თავისთავად კარგი შედეგია. მაგრამ მათ ხომ თავიდანვე დაკარგეს ტავლარიდისი, ჩვენ კი დაახლოებით 18 საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. ეტყობა საკმარისი სიმწვავით ვერ ვუტევდით",* - განაცხადა დიდიე დეშამმა.

„ლუი მეორეზე" „მონაკომ" ქულები დააკარგვინა „ლიონს" - 1:1. 21-ე წუთზე ბრაზილიელმა **ბაშტოშმა** უძლიერესი დარტყმით გაიტანა, პირველი ტაიმის ბოლომდე 10 წუთით ადრე კორეელმა **ჩუ-იუნ პარკმა** გაათანაბრა.

დაბოლოს, ტრადიციულად, „ეკიპის" მიერ შედგენილ ტურის სიმბოლურ ნაკრებს გთავაზობთ შეფასებებითურთ: **ჟანო** (სენტ ეტიენი, 8.0) - **ბონარი** (მარსელი, 7.0), **ნუნკეუ** (ტულუზი, 6.0), **ჩედჯუ** (ლილი, 7.0), **დანზე** (რენი, 6.0) - **მალონგა** (ნანსი, 8.0), **დიარა** (ბორდო, 7.0), **ჰაზარდი** (ლილი, 8.0) - **ბელიონი** (ბორდო, 8.0), **გურკუფი** (ბორდო, 8.0), **ბაკარი** (ნანსი, 7.0).

### მომდევნო ტური

22 დეკემბერი. **ლანსი-სენტ ეტიენი.** 23 დეკემბერი. **ლე მანი-მონაკო, ლორიანი-ვალანსიენი, ლიონი-მონპელიე, მარსელი-ოსერი, ნანსი-ლილი, ნიცა-ბულონი, პსჟ-გრენობლი, სოშო-რენი, ტულუზი-ბორდო.**

### ბორდო-ლორიანი 4:1

**ბორდო (4-4-2):** კარასო - შალმე, ტრაორე (74. გუფრანი), სანე, ტრემულინასი - პლაშილი, დიარა, ფერნანდო, გურკუფი - ბელიონი (66. ჟუსიე), კავენაგი (65. შამახი).

**ლორიანი (4-4-2):** ოდარი - სოსა, მარშალი, კოშილნი, ბაკა - ამალფიტანო, დიუკასე, მანსური (56. ვაირუა), დიარა (74. მონტერუბიო) - საკუვაჰა (56. გამეირო), ფანშონი.

**გოლები:** 1:0 ბელიონი (13), 2:0 ბელიონი (42), 3:0 კავენაგი (52), 4:0 გურკუფი (75), 4:1 გამეირო (88)

**გაფრთხილება:** 1-0; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 19-14 (9-2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 27 599

### მონპელიე-ნანსი 0:2

**მონპელიე (4-3-3):** ჟურდრენი - კოლენი (69. ლაკომბი), სპაჰიჩი, ელ-კაუტარი, ჟენეშამი - მარვო, პიტო, ბელჰანდა (47. მონტანიო) - კომპანი, აიტ-ფანა, დერნისი (47. კამარა).

**ნანსი (4-1-4-1):** ბრასილიანო - შრეტიე, ოადუ, ანდრე ლუისი, მარანჟი - ბერენგერი - დია (83. კა), ფერე, მალონგა, ტრაორე - ბაკარი.

**გოლები:** 0:1 ბაკარი (32), 0:2 ბერენგერი (39)

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 15-12 (5-4); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 10 000

### ვალანსიენი-ლანსი 0:0

**ვალანსიენი (4-3-2-1):** ნდი ასემბე - მატერი, ბიზევაცი, აბარდონადო, ტიენე - კოადი, გომისი, სანჩესი - დიუკურტუა (62. ბენ ხალფალაჰი), ოდელი - პუჟოლი (75. დანიჩი).

**ლანსი (4-3-1-2):** რუნიე - - დემონი, იაჰია, შელი, რამოსი - სოუ, კოვაჩევიჩი, ერმაში - რუდე (86. აკალე) - მონე-პაკე (80. ბუკარი), ჟემაა (73. მაულიდა).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 15-6 (6-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 13 720

### რენი-პარი სენ ჟერმენი 1:0

**რენი (4-3-3):** დუშეზი - ფანი, მანგანე, ჰანსონი, დანზე - მვილა, ლეროა, ტეტეი - ბანგურა (88. სოუ), ასამოა გიანი (76. ბრიანდი), მარვო (84. ლემონანი).

**პსჟ (4-2-3-1):** ედელი - ჟალე, კამარა, ტრაორე, სახო - ნგოი, შანტომი (68. მორისი) - ჟიული, სესენიონი (68. ლუინდულა), სანხარე - ერდინგი (83. ბურილიონი).

**გოლი:** 1:0 ბანგურა (40)

**გაფრთხილება:** 0-1; **კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 19-8 (6-0); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 26 621

### გრენობლი-ნიცა 1:1

**გრენობლი (4-2-3-1):** ლე კრომი - კალვე, სესარი, პაილო, სოჟე (76. ბატლე) - დიოზი, რომაო - კურტუა, ბოია (66. აკრური), მატსუი (57. რავე) - ლიუბოია.

**ნიცა (4-2-3-1):** ოსპინა - დიაკიტე, მაბიალა (59. გასე), პეისლი (46. სიდი), კანტარეილი (79. მულუნგუი) - კულიბალი, საბლე - რემი, ტრაორე, მუნიე - ბენ საადა.

**გოლები:** 1:0 დიოზი (74), 1:1 ბენ საადა (84)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 11-18; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 21-15 (6-8); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 13 623

### სენტ ეტიენი-მარსელი 0:0

**სენტ ეტიენი (4-3-2-1):** ჟანო - ვაროლი, ტავლარიდისი, ბენალუანი, დაბო (84. მონსორო) - მატუიდი, ნდავი, საკო (70 პაიე) - ლანდრინი, ილანი (56. ფერნანდესი) - ბერხესიო.

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ბონარი, დიავარა, ჰაინცე, ტაივო - კაბორე (58. ბენ არფა), მბია (58. სისე), აბრიელი (83. აიე) - კონე, გონსალესი, ბრანდაო.

**გაძევება:** ტავლარიდისი (8. სენტ ეტიენი)

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 10-26 (2-8); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 27 614

### ლილი-ლე მანი 3:0

**ლილი (4-3-3):** ლანდრო - დებიუში, ბერია, ჩედჯუ, ემერსონი - ბალმონი (82. ვანდამი), მავუბა, დიუმონი - ჰაზარდი (77. აუბამეიანგი), დე მელო, ჟერვინიო (66. ფრო).

**ლე მანი (4-4-2):** ოვონო - კამარა, ანდრადე, სერდანი, ბაალი - სენე, გულონი (56. ლანდელი), ტომასი, ლორიო - მაიგა (76. ლე ტალეკი), ჰელსტადი (73. დოსევი)

**გოლები:** 1:0 ჩედჯუ (12), 2:0 ჟერვინიო (27), 3:0 ჰაზარდი (29)

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 16-25; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 15-3 (8-1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 13 501

### ოსერი-ტულუზი 1:1

**ოსერი (4-4-2):** სორენი - ენგბარი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი (79. ნიკულაე) - შაფნი, პედრეტი, ნდინგა (59. ბურჟუა), კაპუე (64. ოლიეჩი) - ჟელენი, კონტუტი.

**ტულუზი (4-3-2-1):** ვალვერდე - ებონდო, ნუნკეუ, ფოფანა, მბენგე - სისოკო, კაპუე, ლუანი (67. ტაბანუ) - ბრაატენი, დიდო - ჟინიაკი.

**გოლები:** 0:1 ლუანი (20), 1:1 კონტუტი (90)

**გაძევება:** დიდო (87. ტულუზი)

**გაფრთხილება:** 1-5; **კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-25; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17-8 (5-5); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 6 677

### მონაკო-ლიონი 1:1

**მონაკო (4-4-1-1):** რუფიე - მოდესტო, მონგონგუ, პიუგრენიე, ტრაორე - ალონსო (73. პინო), გოსო, ნკულუ ნდუბენა, მოლო (90. ლეკო) - ნენე - პარკი.

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რეველიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო - გონალონსი, მაკუნი (59. დელგადო) - გოვუ (85. გომისი), პიანიჩი, ბაშტოში (74. ტულალანი) - ლოპესი.

**გოლები:** 0:1 ბაშტოში (22), 1:1 პარკი (35)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 13-12 (6-5); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 8 620

### ბულონი-სოშო გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორდო | 18 | 13 | 1 | 4 | 30-11 | 40 |
| 2. მარსელი | 17 | 9 | 5 | 3 | 30-18 | 32 |
| 3. ლილი | 18 | 9 | 4 | 5 | 33-19 | 31 |
| 4. ლიონი | 18 | 8 | 6 | 4 | 30-24 | 30 |
| 5. მონპელიე | 17 | 9 | 3 | 5 | 24-20 | 30 |
| 6. რენი | 18 | 8 | 5 | 5 | 24-16 | 29 |
| 7. ოსერი | 18 | 8 | 5 | 5 | 17-15 | 29 |
| 8. ვალანსიენი | 18 | 8 | 4 | 6 | 28-23 | 28 |
| 9. პსჟ | 18 | 7 | 5 | 6 | 27-18 | 26 |
| 10. ლორიანი | 18 | 7 | 5 | 6 | 26-20 | 26 |
| 11. ნანსი | 18 | 8 | 2 | 8 | 26-25 | 26 |
| 12. მონაკო | 17 | 8 | 2 | 7 | 19-21 | 26 |
| 13. ტულუზი | 18 | 7 | 4 | 7 | 18-14 | 25 |
| 14. ლანსი | 18 | 6 | 5 | 7 | 18-24 | 23 |
| 15. სოშო | 16 | 7 | 1 | 8 | 15-21 | 22 |
| 16. ნიცა | 18 | 6 | 3 | 9 | 18-30 | 21 |
| 17. სტ. ეტიენი | 18 | 4 | 4 | 10 | 11-25 | 16 |
| 18. ლე მანი | 18 | 4 | 3 | 11 | 16-27 | 15 |
| 19. ბულონი | 17 | 3 | 3 | 11 | 13-33 | 12 |
| 20. გრენობლი | 18 | 1 | 4 | 13 | 10-29 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - ნენე (მონაკო); 9 - ჟერვინიო (ლილი); 8 - ფრო (ლილი), გამეირო (ლორიანი), ასამოა გიანი (რენი), ლოპესი (ლიონი); 7 - ნიანგი (მარსელი), რემი (ნიცა), ვაირუა (ლორიანი), ჰაჯი (ნანსი).

## ლიგა 2

### XVIII ტური

**ვანი-ბასტია** 3:0

გოლები: 1:0 კამისოკო (11), 2:0 ლიაბო (52), 3:0 ჟიმბერი (67)

**სედანი-დიჟონი** 2:1

გოლები: 1:0 მოკაკი (1), 2:0 ალარი (20-პენ), 2:1 მანდანე (58-პენ)

**ბრესტი-ნიმი** 1:0

გოლი: გრუჟი (23)

**არლი-შატორუ** 3:0

გოლები: 1:0 პსაუმი (6), 2:0 დიავარა (46), 3:0 ნდიაიე (49)

**აიაჩო-ნანტი** 2:1

გოლები: 0:1 ბა (10), 1:1 პიერაცი (16), 2:1 მედჯანი (90)

**სტრასბური-გენგამი** 2:1

გოლები: 1:0 გუიე (11), 2:0 ბესა (59), 2:1 მატისი (73)

გაძევება: სუმა (84. გენგამი)

**კლერმონი-ლე ავრი** 1:0

გოლი: 1:0 სალსე (39)

გაძევება: ფოფანა (26. ლე ავრი)

**კაენი-ლავალი** 1:1

გოლები: 1:0 ლანჟილი (1), 1:1 დო მარკოლინო (83)

**ანჟერი-მეცი** გადაიდო

**ტური-ისტრი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კაენი | 18 | 11 | 5 | 2 | 29-14 | 38 |
| 2. ბრესტი | 18 | 9 | 5 | 4 | 24-16 | 32 |
| 3. არლი | 18 | 8 | 6 | 4 | 23-19 | 30 |
| 4. მეცი | 17 | 8 | 5 | 4 | 21-18 | 29 |
| 5. ლე ავრი | 18 | 8 | 4 | 6 | 21-19 | 28 |
| 6. ნანტი | 18 | 7 | 6 | 5 | 25-25 | 27 |
| 7. ტური | 17 | 6 | 8 | 3 | 22-16 | 26 |
| 8. ლავალი | 18 | 5 | 9 | 4 | 24-20 | 24 |
| 9. ვანი | 18 | 6 | 6 | 6 | 25-26 | 24 |
| 10. ნიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 18-23 | 23 |
| 11. კლერმონი | 18 | 6 | 4 | 8 | 22-23 | 22 |
| 12. სედანი | 18 | 5 | 7 | 6 | 21-24 | 22 |
| 13. აიაჩო | 18 | 5 | 6 | 7 | 20-18 | 21 |
| 14. დიჟონი | 18 | 4 | 9 | 5 | 18-20 | 21 |
| 15. შატორუ | 18 | 5 | 6 | 7 | 25-28 | 21 |
| 16. გენგამი | 18 | 5 | 6 | 7 | 18-21 | 21 |
| 17. ანჟერი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-21 | 20 |
| 18. სტრასბური | 18 | 4 | 7 | 7 | 20-24 | 19 |
| 19. ისტრი | 17 | 4 | 5 | 8 | 13-23 | 17 |
| 20. ბასტია | 18 | 2 | 4 | 12 | 14-24 | 10 |

ალმერია

# გალკა სანჩესის ნაცვლად

„ესპანიოლთან" მარცხი ძვირად დაუჯდა „ალმერიას" მექსიკელ თავკაც **უგო სანჩესს**. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის" ერთ-ერთი ლეგენდა, წაგების გამო დაკავებული თანამდებობიდან გადააყენეს. უგო სანჩესი სამხრეთულ კლუბს ზუსტად 363 დღის განმავლობაში წვრთნიდა. ბოლო 11 მატჩში „ალმერიამ" 7 წააგო და გათამაშების ცხრილშიც თავქვე დაეშვა, ეს კი კლუბის ხელმძღვანელობას არ აკმაყოფილებდა. ამ სეზონში მექსიკელის თავკაცობით „ალმერიამ" 8 მატჩი წააგო და ახლა ანდალუსიური კლუბი გავარდნის ზონას მხოლოდ 1 ქულით უსწრებს. შარშან უგო სანჩესმა **გონსალო არკონადა** შეცვალა. „ესპანიოლთან" მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობა სახელდახელოდ შეიკრიბა და მწვრთნელის გაშვება გადაწყვიტა.

უგო სანჩესს ცნობილი რუმინელი ფეხბურთელი **კონსტანტინ გალკა** შეცვლის. 37 წლის გალკას რუმინეთის ნაკრებში 68 თამაში აქვს ჩატარებული და 4 გოლი გატანილი (გახსოვთ ალბათ 1996 წელს რუმინელებმა 5:0 მოგვიგეს, ერთი გოლი სწორედ გალკამ გაგვიტანა). გალკამ ორი წლის წინათ „ხიმნასტიკში" თამაშისას დაასრულა კარიერა, წლეულს კი სამწვრთნელო მოღვაწეობას მიჰყო ხელი, „ალმერიას" (სადაც ფეხბურთელობისას სამი სეზონი გაატარა) B გუნდი ჩაიბარა. რუმინელი „ალმერიას" დროებითი თავკაცია, თუმცა, თუ თავს გამოიჩენს, შეიძლება მისი შემცვლელის ძებნა შეწყვიტონ კიდეც.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




უგო სანჩესის ბოლო მატჩი ალმერიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალია

# ბენფიკამ ტესტი ჩააბარა

**ბენფიკა-პორტუ 1:0**

**ბენფიკა:** კიმი, მაქსი პერეირა, ლუიზაო, დავიდ ლუისი, პეიშოტო, ხავი გარსია, რამირესი (74. მენეზეში), მარტინში (65. ლუიშ ფელიპე), ურეტა (65. ველდონი), სავიოლა, კარდოსო.

**პორტუ:** ელტონი, ფუჩილე, როლანდო, ბრუნო ალვეში, ალვარო პერეირა, ფერნანდო, გუარინი (46. ვარელა), მეირელეში (78. ბელუში), როდრიგესი, ჰალკი (77. ფარიასი), ფალკაო.

**გოლი:** 1:0 სავიოლა (23)

მთელი პორტუგალია ამ შეხვედრას ელოდა. ყველას აინტერესებდა „ბენფიკას" რეალური ძალის შემოწმება და ამისთვის „პორტუ" შესანიშნავი საშუალება იყო, რადგან „სპორტინგი" წელს არ ვარგა, „ბრაგასთან" წაგება კი შემთხვევითობას მიაწერეს. ასე რომ, **ჟესუსის** გუნდს სწორედ ამ ტურში უწევდა მთავარი ტესტის გავლა. ლისაბონელებმა ის „ფრიადზე" ჩააბარეს.

სხვა საკითხია, რომ ასეთი სუსტი „პორტუ" კარგა ხანია არ გვინახავს. ორი მომენტი მთელი მატჩის განმავლობაში, გამოკვეთილი ლიდერის გარეშე თამაში, პასებსა და მოქმედებებში არანაირი აზრი. ამას გარკვეულწილად ხელი შეუწყო თოვლით გაფუჭებულმა მინდორმაც. თუმცა მასპინძლები სწრაფად შეეწყვნენ ასეთ პირობებს და მალე ერთადერთი საგოლე შეტევაც განახორციელეს.

სტუმრებმა მხოლოდ დებიუტში ივარგეს. მე-12 წუთამდე ინიციატივა „პორტუს" ჰქონდა, თუმცა მხოლოდ ნახევარმომენტებს ქმნიდა. ჟესუსს ბევრი ყვირილი მოუხდა თავისი შეგირდების გამოსაცოცხლებლად. საბოლოოდ, „ბენფიკა" ინიციატივას დაეუფლა და ის ფინალურ სასტვენამდე არ დაუთმია.

თუმცა ლისაბონელთა გოლი არასწორი გამოვიდა. მასპინძელთა დომინაციისთვის ლამაზი გოლი უფრო გამოდგებოდა, სინამდვილეში კი ბურთი ორი ოფსაიდიდან გავიდა. ეს იყო „არწივების" პირველი შტურმი მატჩში. „პორტუს" მცველმა **ალვარო პერეირამ** ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი, მაგრამ „ბენფიკამ" შეტევა შემოაბრუნა. **სავიოლა** მცველებს ზურგს უკნიდან გაექცა და ზუსტად დაურტყა **ელტონს**.

საგოლე მომენტზე დაწვრილებით შევჩერდეთ. პირველი მომენტი: გადაცემა. **მარტინშის** პასის მომენტში სავიოლა ნახევარმეტრიან თამაშგარეში იყო. იმ 2-3 წამში, სანამ ბურთი მისკენ მიფრინავდა, არგენტინელმა მცველებთან ერთ რიგში ჩადგომა და შემდეგ ბურთზე გასვლა მოასწრო, მაგრამ ყველამ იცის, რომ თამაშგარე გადაცემის მომენტში ფიქსირდება. მეორე - სავიოლას დარტყმის მომენტში ელტონის კარის ხაზზე იჯდა **ოსკარ კარდოსო**, რომელიც წინა შეტევისას ჩარჩა მეტოქის მეკარის საჯარიმოში. იყო თუ არა ეს ოფსაიდი? შესაძლოა, პასიური, მაგრამ თამაშგარე ნამდვილად იყო. მატჩის არბიტრმა **ლუსილიუ ბაპტიშტამ** გოლი ჩათვალა.

ამის შემდეგ „დრაკონების" თამაში საერთოდ მოიშალა. ისინი უკვე საკუთარ ნახევარზე საჰაერო დუელსაც აგებდნენ, რაც ადრე არასოდეს მომხდარა. მთლიანად ჩააგდო თამაში **გუარინმა**, რომელიც პირველ ტაიმში ათჯერ მაინც დაჯარიმდა. დაკარგული იყო მოედნის ცენტრი, ფლანგები, არ ჩანდა **ჰალკი**. აი, სად გამოჩნდა **ლუჩო გონსალესის** არყოფნა. ის ჯერ კიდევ ახსოვთ „პორტუში". **ბელუშიმ** თავისი მეგობარი ჯერ ვერ შეცვალა.

სტუმრებმა ორივე მომენტი 60-დან 70 წუთამდე შექმნეს. პერეირას დარტყმა ძლივს მოიგერია **კიმმა**, **მეირელეშის** დარტყმას კი მეკარე ვერ აილებდა - ბურთი სულ სხვა კუთხეში წავიდა, მაგრამ კარს ასცდა. ამის შემდეგ მატჩზე კონტროლი სამუდამოდ დაიკარგა და ანგარიშის გათანაბრების მცდელობაც ვერ ვიხილეთ. მეკარე ელტონი კი ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ არც აქედან გამოვიდა არაფერი, რადგან კუთხური ცუდად იქნა ჩაწოდებული.

ჟორჟე ჟესუსმა კი იყოჩაღა. მასპინძლების დამრიგებელმა „პორტუს" მომენტების შემდეგ მოედნის ცენტრში თამაში დაალაგა და დაცვაში გაამწესა **ლუიშ ფელიპე**. ეს სწორი ნაბიჯი იყო, რადგან ამის შემდეგ „ბენფიკამ" ისევ დაიბრუნა თამაშზე კონტროლი. კარდოსოს, **დავიდ ლუისსა** და ფელიპეს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ვერ მოახერხეს. თუმცა ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდა მოსაგებად.

■ ■ ■

ამ გამარჯვების მიუხედავად, „ბენფიკა" მაინც ვერ გახდა ერთპიროვნული ლიდერი, რადგან „ბრაგამ" პარასკევს სტუმრად „ფერეირა" დაამარცხა, თუმცა მეტოქისგან დიდ წინააღმდეგობას წააწყდა.

უფრო მეტიც, მასპინძლები მომენტების რაოდენობით ჭარბობდნენ მეტოქეს. განსაკუთრებით სახიფათო იყო მათი სტანდარტები, რომელსაც მეტად უცნაური ხერხით ათამაშებდნენ: პასი და ძლიერი დარტყმა საჯარიმოს კუთხიდან, ან 30 მეტრიდან ჩაწოდების ნაცვლად კარში დარტყმა. კუთხურებიდანაც ბევრი ხიფათი იქმნებოდა და მეკარე **ედუარდოს** მუდმივად მუშაობა და საკუთარი მცველებისთვის საყვედურის თქმა უწევდა.

ვერ ვიტყვით, რომ „ბრაგას" მომენტი საერთოდ არ ჰქონია და ლიდერმა შემთხვევით გაიმარჯვა. შესაძლებლობები სტუმრებსაც ჰქონდათ და სწორედ მათ გაიტანეს მატჩში ერთადერთი გოლი - კლასიკური კონტრშეტევა მარცხენა ფლანგზე გასვლით, ჩაწოდებითა და მცველებზე დასწრებით... 45-ე წუთზე გოლის ავტორი **მეიონგი** გახდა.

უმძიმესი გამარჯვება მოიპოვა „სპორტინგმა". უფრო ზუსტნი ვიქნებით თუ ასე ვიტყვით - ტრადიციულად უმძიმესი მატჩი მოიგო ლისაბონურმა კლუბმა. უჭირს წელს თამაში პორტუგალიურ გრანდს, თუმცა ამჟამინდელი შემადგენლობა და სხვებზე მეტი ოსტატობა ჰყოფნის ცხრილის ზედა ნაწილში პოზიციების შესანარჩუნებლად.

„სპორტინგის" დამრიგებელმა **კარლოს კარვალიალმა** ისევ გადააწყო შუა ხაზი და ის ორი ცენტრალური ნახევარმცველისა და **მარატ იზმაილოვისგან** დააკომპლექტა, შეტევაში **ლიედსონს** **კარლუშ სალეირა** შეუწყვილა. სწორედ ამ რეზერვისტმა მოუტანა გამარჯვება „სპორტინგს" „ნავალთან" გასვლით მატჩში. **ველოზოს** ჩაწოდება, ლიედსონის თავით დაგდებული ბურთი და სტუმრების „ცხრიანის" ზუსტი დარტყმა.

მეორე ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა „სპორტინგის" შეტევები უფრო მწვავე იყო. განსაკუთრებით მატჩის ბოლოს, როცა ვალდებულნი იყვნენ გაეტანათ იზმაილოვს, **პოშტიგასა** და **ადრიენს**.

**XIV ტური**

| | |
|---|---|
| ფერეირა-ბრაგა | 0:1 |
| გიმარაეში-რიუ ავე | 1:0 |
| ნავალი-სპორტინგი | 0:1 |
| ნასიონალი-აკადემიკა | 4:3 |
| ლეირია-ბელენენსეში | 1:0 |
| სეტუბალი-მარიტიმუ | 3:2 |
| ბენფიკა-პორტუ | 1:0 |
| ლეიქსოეში-ოლანენსე | 2:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 14 | 10 | 3 | 1 | 38-9 | 33 |
| 2. ბრაგა | 14 | 10 | 3 | 1 | 19-6 | 33 |
| 3. პორტუ | 14 | 9 | 2 | 3 | 27-11 | 29 |
| 4. ნასიონალი | 14 | 7 | 3 | 4 | 22-24 | 24 |
| 5. სპორტინგი | 14 | 5 | 6 | 3 | 15-11 | 21 |
| 6. ლეირია | 14 | 5 | 5 | 4 | 17-13 | 20 |
| 7. მარიტიმუ | 14 | 5 | 4 | 5 | 23-19 | 19 |
| 8. რიუ ავე | 14 | 4 | 7 | 3 | 13-11 | 19 |
| 9. გიმარაეში | 14 | 5 | 4 | 5 | 13-15 | 19 |
| 10. ნავალი | 14 | 4 | 3 | 7 | 9-17 | 15 |
| 11. ფერეირა | 14 | 3 | 5 | 6 | 12-15 | 14 |
| 12. აკადემიკა | 14 | 3 | 4 | 7 | 18-23 | 13 |
| 13. ლეიქსოეში | 14 | 2 | 5 | 7 | 13-25 | 11 |
| 14. სეტუბალი | 14 | 3 | 2 | 9 | 7-27 | 11 |
| 15. ოლანენსე | 14 | 1 | 7 | 6 | 11-21 | 10 |
| 16. ბელენენსეში | 14 | 1 | 7 | 6 | 7-17 | 10 |

**ბომბარდირები:** 14 - კარდოსო (ბენფიკა); 9 - ედგარი (ნასიონალი); 8 - ფალკაო გარსია (პორტუ); 7 - სავიოლა (ბენფიკა), სოუგუ (აკადემიკა); 6 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოლანდია



# ალკმაარი დალაგდა

ევროპულმა დიდთოვლობამ ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერებს მეორე წრის დაწყების საშუალება არ მისცა. გადაიდო შეხვედრები „ტვენტეს", „ეინდჰოვენისა" და „აიაქსის" მონაწილეობით. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მე-18 ტური მომავალ წელს დასრულდება, ასე რომ, ერედივიზიონის ზამთრის ჩემპიონად „ტვენტე" უნდა გამოვაცხადოთ, რომელიც კვლავინდებურად ორი ქულით უსწრებს „ეინდჰოვენს".

შაბათს მოასწრო თავისი მატჩის ჩატარება „ალკმაარმა". ამ გუნდის ახალმა მწვრთნელმა **დიკ ადვოკაატმა** წინა ტურში სადებიუტო მატჩი წააგო „ეინდჰოვენთან", რაც სავსებით ლოგიკური იყო, „დენ ჰააგთან" წაფორხილება კი ადვოკაატისა და მისი გუნდისთვის უპატიებელი საქციელი იქნებოდა.

ეს კარგად გაითვალისწინეს მასპინძლებმა და სამი უპასუხო ბურთი გაიტანეს. ადვოკაატმა უკვე დაატყო თავისი ხელი „ალკმაარს". გუნდი აშკარად უფრო მშვიდად თამაშობს, ვიდრე ეს **კუმანის** დროს ხდებოდა. სწორედ ასე აუღელვებლად გაიტანა 30-ე წუთისთვის მასპინძელმა ორი გოლი და მეორე ტაიმი ფორმალობად აქცია. ბოლო წერტილი შეხვედრაში **მარტენ მარტენსმა** დასვა, რომელმაც მეკარესთან პირისპირ გასვლა გამოიყენა. რაც მთავარია, „ალკმაარმა" პირველად ამ სეზონში კლასის ხარჯზე მოიგო შეხვედრა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ფეიენოორდმა" მნიშვნელოვანი სამი ქულა აიღო „ვილემთან" მატჩში და მაქსიმალურად მიუახლოვდა „აიაქსს", რომელსაც ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**ბეენის** შეგირდებმა **სეკუ სისეს** გოლით მოიგეს. **მაკაიმ** შესანიშნავი გადაცემით შეიყვანა კოტდივუარელი მეტოქის საჯარიმოში და სისემ შანსი არ გაუშვა.

**XVIII ტური**

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-ვენლო | 1:0 |
| ალკმაარი-დენ ჰააგი | 3:0 |
| ფეიენოორდი-ვილემი | 1:0 |
| ვაალვიკი-სპარტა | 4:1 |

*სხვა მატჩები გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტვენტე | 17 | 15 | 2 | 0 | 38-15 | 47 |
| 2. ეინდჰოვენი | 17 | 14 | 3 | 0 | 43-13 | 45 |
| 3. აიაქსი | 17 | 12 | 2 | 3 | 53-15 | 38 |
| 4. ფეიენოორდი | 18 | 11 | 4 | 3 | 29-15 | 37 |
| 5. ჰერაკლესი | 18 | 10 | 2 | 6 | 26-24 | 32 |
| 6. უტრეხტი | 17 | 8 | 6 | 3 | 23-16 | 30 |
| 7. ალკმაარი | 18 | 9 | 1 | 8 | 32-21 | 28 |
| 8. ბრედა | 17 | 6 | 4 | 7 | 24-28 | 22 |
| 9. ვენლო | 18 | 4 | 8 | 6 | 25-26 | 20 |
| 10. ვიტესი | 17 | 5 | 3 | 9 | 20-30 | 18 |
| 11. სპარტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19-35 | 18 |
| 12. გრონინგენი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-28 | 17 |
| 13. როდა | 17 | 4 | 5 | 8 | 23-33 | 17 |
| 14. ჰერენვეენი | 17 | 5 | 2 | 10 | 17-30 | 17 |
| 15. ვილემი | 18 | 4 | 2 | 12 | 20-34 | 14 |
| 16. დენ ჰააგი | 18 | 3 | 5 | 10 | 18-35 | 14 |
| 17. ნაიმეგენი | 17 | 2 | 7 | 8 | 19-31 | 13 |
| 18. ვაალვიკი | 18 | 4 | 0 | 14 | 16-36 | 12 |

**ბომბარდირები:** 18 - სუარესი (აიაქსი); 13 - რუისი (ტვენტე); 9 - იუნკერი (როდა); 8 - ჯუჯაკი (ეინდჰოვენი), ნკუფო (ტვენტე), დოსტი (ჰერაკლესი), ტოივონენი (ეინდჰოვენი), შტოხი (ტვენტე).

ბელგია

# გენტის ზედიზედ მეექვსე

ჰოლანდიის მსგავსად, ბელგიაშიც ვერ ითამაშეს კვირას და ამის გამო გადაიდო ტურის მთავარი მატჩი: „ანდერლეხტი"-"ბრიუგე".

შაბათს ჩატარებული მატჩებიდან ერთის გამოყოფა ნამდვილად ღირს. „გენტმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება „ლოკერენთან" სტუმრად ურთულეს თამაშში მოიპოვა. ერთადერთი გოლი **სტიიენ დე სმეტსმა** მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაიტანა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ფორვარდი ამ ზამთარს „ბლექბერნში" ვიხილოთ - ინგლისურ კლუბს სერიოზულად აქვს განზრახული დე სმეტსის შეძენა.

„გენტის" ამ გოლამდეც მინდორზე მოვლენები დრამატულად ვითარდებოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მეტოქეებმა გაფუჭებული პენალტები გაცვალეს. ჯერ 33-ე წუთზე **მარიო კარევიჩმა** დუელი ვერ მოუგო „გენტის" მეკარე **ბოიან იოგაჩევიჩს**. 82-ე წუთზე პენალტის შესრულების უფლება უკვე სტუმრებმა მიიღეს და აქაც მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე - **იუგოსლავ ლაზიჩმა ბერნდ ტიისს** აულო.

როგორც გითხარით, „გენტმა" ზედიზედ მეექვსე მოიგო და ახლა მხოლოდ ქულით ჩამორჩება „ბრიუგეს", რომელსაც მოგვიანებით მოუწევს „ანდერლეხტთან" გადატანილი შეხვედრის თამაში.

**XIX ტური**

| | |
|---|---|
| სერკლი-მუსკრონი | 5:0 |
| კორტრიიკი-ვესტერლო | 1:1 |
| ლოკერენი-გენტი | 0:1 |
| გენკი-ვარეგემი | 2:2 |
| რუზელარე-სტ. ტრუიდენი | 1:2 |

*სხვა მატჩები გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 18 | 14 | 2 | 2 | 35-13 | 44 |
| 2. ბრიუგე | 18 | 11 | 4 | 3 | 33-21 | 37 |
| 3. გენტი | 19 | 11 | 3 | 5 | 36-21 | 36 |
| 4. ბეერსხოტი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-21 | 32 |
| 5. ვარეგემი | 19 | 8 | 6 | 5 | 31-25 | 30 |
| 6. კორტრიიკი | 19 | 7 | 7 | 5 | 22-18 | 28 |
| 7. სტანდარდი | 18 | 6 | 8 | 4 | 27-19 | 26 |
| 8. სტ. ტრუიდენი | 19 | 7 | 4 | 8 | 22-26 | 25 |
| 9. ვესტერლო | 19 | 6 | 5 | 8 | 20-27 | 23 |
| 10. მუსკრონი | 19 | 6 | 5 | 8 | 22-32 | 23 |
| 11. მეხელენი | 18 | 7 | 1 | 10 | 23-32 | 22 |
| 12. სერკლი | 19 | 5 | 5 | 9 | 29-30 | 20 |
| 13. გენკი | 19 | 4 | 7 | 8 | 22-25 | 19 |
| 14. შარლერუა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-30 | 16 |
| 15. ლოკერენი | 19 | 4 | 3 | 12 | 21-28 | 15 |
| 16. რუზელარე | 19 | 3 | 4 | 12 | 22-41 | 13 |

**ბომბარდირები:** 10 - იოვანოვიჩი (სტანდარდი); 9 - სიდიბე (სტ. ტრუიდენი), ლუკაკუ (ანდერლეხტი), შევალიე (ვარეგემი); 8 - ტერეო (შარლერუა), ოკვუნვანე (მუსკრონი), ჰარუნი (ბეერსხოტი), იანჩუკი (ლოკერენი).

შოტლანდია

# რეინჯერსი გაიქცა

შოტლანდიაში გაიზარდა „რეინჯერსის" უპირატესობა. **უოლტერ სმიტის** შეგირდებმა საშინელი დღე აყარეს „მოზერველს", რომელიც არცთუ ისე ხელწამოსაკრავი მეტოქეა, რაც წინა ტურში დაამტკიცა, როცა სულ ცოტა დააკლდა „სელტიკის" დასამარცხებლად.

გლაზგოში დიდთოვლობის გამო შეხვედრის გამართვა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, მაგრამ თამაში მაინც ჩატარდა. მატჩი ახალი დაწყებული იყო, როცა მასპინძლებმა პირველი გოლი იზეიმეს. **სტივენ დევისმა** შესანიშნავი პასი მისცა **კენი მილერს** და მანაც თავი არ შეირცხვინა. პირველ ნახევარში ბურთი აღარ გასულა, სამაგიეროდ მეორეში მაყურებელმა ექვსი გოლი იხილა და მათ გასახარად, აქედან ხუთი გლაზგოელებისა იყო.

„რეინჯერსის" ფანებისთვის კიდევ უფრო სასიხარულო იყო კვირას „სელტიკის" წაგება. ამის წყალობით ორ გრანდს შორის ქულათა სხვაობა უკვე ოთხამდე გაიზარდა.

არადა სტუმრად „ჰართსთან" შეხვედრაში „კელტებისთვის" ყველაფერი კარგად დაიწყო. **გეორგიევ სამარასმა** ჯერ აშკარა მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ 21-ე წუთზე გამოასწორა შეცდომა და „სელტიკი" დააწინაურა. ბერძენმა **ბარი რობსონისა** და **სკოტ მაკდონალდის** კომბინაცია დაასრულა.

ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა „სელტიკი" ათი კაცით დარჩა მოედანზე - **გარი კოლდუელი** ბოლო იმედის ჯარიმისთვის წითელი ბარათით დაისაჯა, **ჯეიმი მოლის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი კი **მაიკლ სტიუარტმა** გამოიყენა.

მეორე ტაიმში მეტოქეებს ბევრი შანსი არ ჰქონდათ, რისი ბრალიც მინდვრის ცუდი მდგომარეობა იყო. ორი რეალური მომენტიდან გლაზგოელმა **აიდენ მაკგიდიმ** ძელს გაარტყა ბურთი, სამაგიეროდ ზუსტი იყო „ჰართსის" ფორვარდი **ისმაელ ბუაზიდი**, რომელმაც **დევიდ ტემპლტონის** პასი გამოიყენა.

**XVI ტური**

| | |
|---|---|
| აბერდინი-ჰიბერნიანი | 0:2 |
| კილმარნოკი-ფალკირკი | 1:2 |
| რეინჯერსი-მოზერველი | 6:1 |
| სტ. ჯონსტონი-სტ. მირენი | 1:0 |
| ჰართსი-სელტიკი | 2:1 |
| ჰემილტონი-დანდი იუნ | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 16 | 11 | 4 | 1 | 35-10 | 37 |
| 2. სელტიკი | 16 | 10 | 3 | 3 | 34-18 | 33 |
| 3. ჰიბერნიანი | 16 | 9 | 5 | 2 | 24-10 | 32 |
| 4. დანდი | 15 | 7 | 6 | 2 | 21-15 | 27 |
| 5. მოზერველი | 16 | 4 | 8 | 4 | 20-25 | 20 |
| 6. აბერდინი | 16 | 4 | 6 | 6 | 12-18 | 18 |
| 7. ჰართსი | 16 | 4 | 5 | 7 | 15-19 | 17 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 16 | 4 | 4 | 8 | 21-29 | 16 |
| 9. ჰემილტონი | 15 | 4 | 4 | 7 | 15-24 | 16 |
| 10. სტ. მირენი | 16 | 3 | 5 | 8 | 18-25 | 14 |
| 11. კილმარნოკი | 16 | 3 | 4 | 9 | 12-22 | 13 |
| 12. ფალკირკი | 16 | 2 | 6 | 8 | 14-26 | 12 |

**ბომბარდირები:** 13 - ბოიდი (რეინჯერსი); 10 - კ. მილერი (რეინჯერსი); 8 - მაკდონალდი (სელტიკი); 7 - იუტკევიჩი (მოზერველი), რაიორდანი (ჰიბერნიანი), 6 - სამარასი (სელტიკი), სტოუკსი (ჰიბერნიანი).

ამბები

## იონინგი ნიურნბერგიდან გააგდეს

„კიოლნთან" განცდილი კრახის შემდეგ (0:3), „ნიურნბერგის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **მიხაელ იონინგი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს ინფორმაცია გუშინ ფრანკების პრეზიდენტმა **ფრანც შეფერმა** დაადასტურა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ „ნიურნბერგის" თავკაცად „ჰანოვერის" ყოფილი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი** დაინიშნოს. ლაპარაკია „ბოხუმის" ყოფილი დამრიგებლის, **მარსელ კოლერის** კანდიდატურაზეც. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ახალ მწვრთნელს მოუწევს იმ ფაქტთან შეგუება, რომ იანვარში გუნდის ლიდერი **პეერ კლუგე** „ნიურნბერგს" დატოვებს. ეს უკანასკნელი თითქმის ყველაფერზე შეუთანხმდა „შალკეს" და იანვრიდან კარიერას გელზენკირხენში გააგრძელებს.

## ვოლფსბურგი: ჰიონესი მოდის, ფეეც რჩება

მიუხედავად კატასტროფულად ჩატარებული პირველი წრისა, გერმანიის ჩემპიონის ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი და მენეჯერი **არმინ ფეე** თანამდებობიდან არ დაითხოვეს. სამაგიეროდ, შეიცვალა სტრუქტურა: ფეე მენეჯერი აღარ იქნება და მხოლოდ სამწვრთნელო საქმიანობით დაკავდება. სპორტულ მენეჯმენტს კი „ჰერტას" ყოფილი ბოსი, **დიტერ ჰიონესი** მიხედავს, რომელსაც ზაფხულში ბერლინში იმპიჩმენტი მოუწყვეს. ჰიონესი „ვოლფსბურგის" სპორტული დირექტორი იქნება, ფეე კი მწვრთნელი. შეგახსენებთ, რომ აქამდე ფეეს ორივე თანამდებობა შეთავსებული ჰქონდა (როგორც **ფელიქს მაგათს** წინა სეზონში).

## ჰერტა ძლიერდება: ჰუბნიკი კობისთან!




**თეოფანის გეკასისა** და ლევან კობიაშვილის გადაბირების შემდეგ, ბერლინის „ჰერტამ", რომელმაც ბუნდესლიგის პირველი წრე ბოლო ადგილზე, უიმედო აუტსაიდერის რანგში დაასრულა, კიდევ ერთი ფეხბურთელი გადაიბირა. გუშინ გაირკვა, რომ ჩეხეთის ნაკრების მცველი **რომან ჰუბნიკი** (სიმაღლე 1.92 მეტრი) სეზონის ბოლომდე „ჰერტაში" არენდის წესით ითამაშებს. 25 წლის ჰუბნიკი ბოლოს პრაღის „სპარტაში" თამაშობდა, სადაც „მოსკვადან" იყო განათხოვრებული. ბერლინელები შვედი **დანიელ მაისტროვიჩის** გადაბირებასაც ცდილობდნენ, მაგრამ ათენის აეკ-მა 32 წლის ფეხბურთელის განათხოვრებაზე უარი თქვა, ყიდვით კი „ჰერტამ" ის ვერ იყიდა. იყო საუბარი იმის შესახებაც, რომ ბერლინელები სეზონის ბოლომდე „ბაიერნის" ბრაზილიელ მცველ **ბრენოსაც** ინათხოვრებდნენ, მაგრამ ჰუბნიკის ტრანსფერის შემდეგ ეს გარიგება ჩაიშალა.

დორტმუნდის ბორუსია. იუბილე

# მარტოობის 100 წელიწადი

**გერმანიაში ძალიან ადვილია, იყო მიუნხენის „ბაიერნის" გულშემატკივარი. როდესაც გერმანელები ფეხბურთზე ლაპარაკს იწყებენ და ერთ-ერთი იტყვის, რომ „ბაიერნის" ქომაგია, სხვებისთვის მაშინვე გაცილებით უინტერესო მოსაუბრე ხდება, ვიდრე ეს სხვა კლუბის ქომაგობის შემთხვევაში იქნებოდა. სამაგიეროდ, საკმარისია აღნიშნო, რომ შენი გული დორტმუნდის „ბორუსიას" ეკუთვნის, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცევი - იქვე აუცილებლად აღმოჩნდება „შალკეს" ფანი, რომელიც შემოგიტევს ან, უბრალოდ, ყველა დაგაფასებს. „დორტმუნდის" ფანს გერმანიაში, შეიძლება, ბევრი ვერ იტანდეს, მაგრამ ყველა აფასებს...**


დორტმუნდელთა პირველი გერმანული წარმატება

Ballspiel Verein Borussia 09 e.V. Dortmund (ბურთის თამაშის გუნდი „ბორუსია 09" დორტმუნდი), ან უბრალოდ BVB, როგორც ამ გუნდს შემოკლებით ეძახიან, შაბათს 100 წლის გახდა. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში „შავყვითლებმა" (ეს კლუბის ფერებია) ბევრი რამ გადაიტანა, იყო ზენიტში ყოფნის პერიოდები, იყო უფსკრულიც და ერთი ხანობა, სხვათა შორის, ახლო წარსულში, „ბორუსია" გაკოტრებისა და გაუქმების პირასაც იყო მისული. პირველი ამხანაგური მატჩი დორტმუნდელმა ფეხბურთელებმა 1911 წელს მეზობელი გელზენკირხენელების წინააღმდეგ ჩაატარეს. მას შემდეგ „ბორუსიასა" და „შალკეს" შორის ისეთი მტრობაა გაჩაღებული, როგორც „ბარსელონასა" და „რეალს" შორის, ან „ბოკა ხუნიორსსა" და „რივერ პლეიტს" შორის. მეორე მსოფლიო ომამდე BVB „შალკეს" ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ ომის შემდეგ ვითარება შეიცვალა.

რურის მხარეში მაცხოვრებელი ადამიანების დიდი ნაწილისთვის „ბორუსია დორტმუნდი" რელიგიასავითაა. ზუსტად 100 წლის წინათ, ლუდხანა „ვილდშიუტცში" 40-მდე დორტმუნდელი შეიკრიბა, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ დაეარსებინათ „ბურთის თამაშობების გუნდი ბორუსია 1909". ეს იყო 40 ახალგაზრდა მამაკაცი, რომლებიც კათოლიკური გაერთიანების წევრები იყვნენ და რომლებსაც ძალიან უყვარდათ ფეხბურთის თამაში. იმ დროს მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ფაქტობრივად ახალ რელიგიას ქმნიდნენ. სწორედ 1909 წლის 19 დეკემბრიდან იწყება დორტმუნდის „ბორუსიას" ისტორია. სწორედ კათოლიკური ფესვების დამსახურებაა ისიც, რომ დღეს „დორტმუნდის" ფანებს ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებთ გლაზგოს „სელტიკის" ქომაგებთან.

მას მერე ბევრი რამ მოხდა. იყო წარმატებები და კრიზისები, იყო ბევრი კურიოზული და დაუჯერებელი ამბავიც. მაგალითად, დღეს ალბათ არავინ დაიჯერებს, რომ პირველ ოფიციალურ მატჩში (9:3 „ფაუ ეფ ბე დორტმუნდთან") „ბორუსიას" ფეხბურთელებს თეთრ-ლურჯი მაისურები ემოსათ - ეს კი „შალკეს" ფერებია. შავ-ყვითელი ფორმის ისტორია კი სათავეს 1913 წლის 14 თებერვლიდან იღებს. ომამდე „ბორუსია" გელზენკირხენული მტრის ჩრდილში იყო მოქცეული. BVB-მ „შალკე" პირველად 1943 წელს დაამარცხა და იმ მატჩში ერთადერთი გოლი **აუგუსტ ლენცმა** გაიტანა - ფეხბურთელმა, რომელიც პირველი ბორუსიელი იყო, ვინც გერმანიის ნაკრებში გამოიძახეს.

1936 წლიდან „ბორუსია" უკვე ელიტაში თამაშობდა, კონკრეტულად ვესტფალიის გაულიგაში და 1937 წლიდან, ამ გუნდისთვის ისტორიულ სტადიონზე, „როთე ერდეზე" გადაინაცვლა, რადგან მოედანი, სადაც „შავ-ყვითლები" მანამდე აგორებდნენ ბურთს, ხალხს ველარ იტევდა. სერიოზული წარმატებების მიღწევა კი დორტმუნდელებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს. 1947 წლის 18 მაისს „ბორუსია" პირველად გახდა ვესტფალიის ჩემპიონი და ტახტიდან სერიული ჩემპიონი „შალკე" ჩამოაგდო. გელზენკირხენელ „მტრებთან" გადამწყვეტ მატჩს (3:2) 30 000 გულშემატკივარი დაესწრო. 1948 და 49 წლებში დორტმუნდელებმა ტიტული შეინარჩუნეს და პირველად გავიდნენ გერმანიის ჩემპიონატის ფინალში, სადაც საფინალო სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე, „მანჰაიმს" უგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე ორი გოლი გაუშვეს. მიუხედავად ამისა, დორტმუნდში დაბრუნებულ გუნდს 100 000-მდე ქომაგი ოვაციებით შეეგება.

50-იან წლებში „ბორუსიამ" ტიტულების შეგროვება დაიწყო: გუნდი ოთხჯერ გახდა აღმოსავლეთ ობერლიგის ჩემპიონი და 1956 წელს პირველად მოიპოვა გერმანიის ჩემპიონის ტიტული. ბერლინში ჩატარებულ ფინალში „დორტმუნდმა" 24 ივნისს „კარლსრუე" 4:2 დაამარცხა. ადვილი, წარმოსადგენი, მაგრამ რთული აღსაწერია, რაც მაშინ დორტმუნდში მოხდა. 1957 წელს „დორტმუნდმა" ტიტული შეინარჩუნა, დაამარცხა რა ფინალში „ჰამბურგი" (4:1). ამჯერად ბორუსიელებს დორტმუნდში 250 000 ქომაგი დახვდათ - გუნდის კაპიტანი იყო **ვილჰელმ ბურგსმიულერი**, მთავარი გოლეადორი **ალფრედ კელბასა**, წამყვანი ფეხბურთელები კი **იოკელ ბრახტი** და **ადი პრაისლერი** იყვნენ. ბუნდესლიგის დაარსებამდე (1963) ბოლო სეზონში „დორტმუნდმა" მესამე ტიტულიც მოიპოვა (კიოლნთან 3:1).

60-იან წლებში „ბორუსიას" ბუნდესლიგაში სერიოზული წარმატებისთვის აღარ მიუღწევია, პირველობისთვის ბრძოლაში არ იყო ჩაბმული, სამაგიეროდ, ორჯერ მაგრად გაამწარა „შალკე", დაამარცხა რა 7:0 და 6:2. თუმცა 1966 წელს „ბორუსია" პირველი გერმანული კლუბი გახდა, რომელიც ევროპის თასს დაეუფლა - ფინალში, „ლივერპულთან" **სტან ლიბუდამ** კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. ეს გოლი დიდხანს მიიჩნეოდა კლუბისთვის საუკუნის გოლად, მაგრამ ნამდვილი საუკუნის გოლის ავტორი 1997 წელს **ლარს რიკენი** გახდა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში „იუვენტუსს" მესამე გოლი გაუტანა.

1972 წელს „ბორუსია" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა და ელიტაში მხოლოდ 1976 წელს დაბრუნდა. მას მერე „ბორუსია" მუდმივად პირველ ბუნდესლიგაში თამაშობს და მხოლოდ ერთხელ იყო ძალიან ახლოს გავარდნასთან - 1986 წელს, როცა „შავ-ყვითლები" **იურგენ ვეგმანსმა** კიოლნის „ფორტუნასთან" საფინალო სასტვენამდე 9 წამით ადრე გაიტანა გოლი, რომელმაც „ბორუსია" კატასტროფისგან იხსნა. კაცმა არ იცის, რა ბედი ეწეოდა „დორტმუნდს" გავარდნის შემთხვევაში, გადარჩენილი გუნდი კი მოგვიანებით **ოტმარ ჰიტცფელდმა** ჩაიბარა და ეს უკანასკნელი ასწლიან იუბილეზე დორტმუნდელებმა კლუბის ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან 1995 და 1996 წლებში მან „დორტმუნდს" ბუნდესლიგა მოაგებინა. სწორედ ჰიტცფელდის ერას უკავშირდება ისეთი ფეხბურთელების დორტმუნდელობა, როგორებიც იყვნენ **მათიას ზამერი** და **ანდი მიოლერი**. 1997 წელს კი, „გენერალმა" ოტმარმა გუნდს ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასიც მოაგებინა.

ჩემპიონთა ლიგის მოგებამ დორტმუნდში ბუმი გამოიწვია. მას მერე დორტმუნდის საშინაო მატჩებს საშუალოდ 78 000 ქომაგი ესწრება და მიუხედავად იმისა, რომ ერთი ხანობა გუნდს მძიმე კრიზისი ჰქონდა და წარმატებას ვინ ჩივის, საშუალო დონის კლუბად ჩამოყალიბდა, „ვესტფალენშტადიონი" მაინც თითქმის ყოველთვის ივსებოდა. ეს არენა კი 81 000 მაყურებელს იტევს.

2000 წლის 31 ოქტომბერს „დორტმუნდი" პირველი გერმანული კლუბი გახდა, რომელმაც აქციების გაყიდვა დაიწყო. თავიდან ერთი აქციის ფასი 11 ევრო გახლდათ, დღეს კი ფასი 1.06 ევროა. 2002 წელს დორტმუნდელებმა უკანასკნელად იზეიმეს გერმანიის ჩემპიონობა, რასაც უმძიმესი ფინანსური კრიზისი მოჰყვა. მაგრამ აქციონერებმა სანაციის პრინციპით გუნდი გადაარჩინეს. სწორედ ფინანსური კრიზისის გამო გადაერქვა „ვესტფალენშტადიონს" სახელი და კომერციული მიზნით „სიგნალ იდუნა პარკი" ეწოდა, მაგრამ ოფიციალური წყაროების გარდა, სტადიონი ყველგან მაინც „ვესტფალენშტადიონად" მოიხსენიება. „დორტმუნდის" არც ერთი ქომაგი არასდროს ახსენებს „სიგნალ იდუნა პარკს" - მათთვის „ვესტფალენშტადიონი" წმინდათაწმინდა სახელია და ამიტომაცაა, რომ ყველა საშინაო მატჩის დროს, არენაზე გადმოფენილია ხოლმე უდიდესი ტრანსფარანტი წარწერით: „ვესტფალენშტადიონი ჩვენი სიამაყეა." 1998 წლის შემდეგ, გერმანიაში დორტმუნდზე უკეთესი დასწრება არც ერთ სხვა გერმანულ კლუბს აღარ ჰქონია. წელს კი, „ბორუსიამ" სეზონური აბონემენტების გაყიდვის მხრივ თავისივე და სრულიად გერმანიის რეკორდი კიდევ ერთხელ გააუმჯობესა, გაყიდა რა 50 000-ზე მეტი აბონემენტი.

გენიალურია ის, რომ მიუხედავად 7-წლიანი უტიტულობისა, დორტმუნდის „ბორუსია" წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ აბონემენტს ყიდის. გუნდი და გულშემატკივრები არიან მარტო, აბსოლუტურად მარტო - მხოლოდ სიყვარულისა და ერთგულების ამარა. 7 წლის განმავლობაში ვერ მოიგო ვერც ერთი ტიტული, მაგრამ მუდმივად ავსებდე 81 000-იან სტადიონს, ეს მართლაც განუმეორებელი მოვლენაა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


1997, ბორუსიას ევროტრიუმფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის კონცეფციის განხილვა

# ქართული კონცეფცია ევროპულ მოდელზე

ქართული სპორტული სამყარო პარალელურად განიხილავს ორ მნიშვნელოვან დოკუმენტს - საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონს „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ კანონს" და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ „სპორტის განვითარების კონცეფციას". შეიძლება ითქვას, კონცეფცია საკანონმდებლო აქტისთვის ერთგვარი სარეკომენდაციო დოკუმენტია, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ევროპულ გამოცდილებას. კონცეფციაზე ძირითადად მინისტრის მრჩეველი **თამაზ თევზაძე** მუშაობდა, რომელმაც ის გუშინ სამინისტროში ქართულ თემატიკაზე მომუშავე სპორტულ ჟურნალისტებს წარუდგინა.

ქართული სინამდვილისგან განსხვავებით, ევროპაში სპორტს უყურებენ, როგორც ერის გაჯანსაღების საშუალებას. იქ დიდი ხნის წინათ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანი ქვეყნის თავდაცვისუნარიან მოქალაქეს ნიშნავს. თანაც, დასავლეთში ურჩევნიათ, თანხა მოსახლეობის გაჯანსაღებაზე დახარჯონ, ვიდრე მკურნალობაზე - ეს ბევრად იაფიც



უჯდებათ და იმავე თავდაცვისუნარიანობიდან გამომდინარე, ქვეყნისთვის ბევრად მომგებიანიცაა. ამიტომ იქ სპორტს უყურებენ, როგორც ერის გაჯანსაღების საშუალებას, ჩვენთან კი ინტერესის უმთავრესი საგანი კვლავაც მედლებია, რაც კომუნისტურ გადმონაშთად მიგვაჩნია. ამიტომ დასავლეთში ყველანაირად ცდილობენ სპორტში მასობრიობის მიღწევას, რათა მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი ფენა ჩაერთოს მასში, მაღალი მიღწევების სპორტი კი მხოლოდ ერთი სეგმენტია. ცხადია, მასობრიობა ბაზების გარეშე არ გამოვა, ამას კი დიდძალი ფული, ანუ სახელმწიფო დაფინანსება სჭირდება. დასავლური სპორტი სწორედ აქ მიადგა პირველ რუბიკონს - როგორ დაეცვა საკუთარი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსთან ფინანსურ საკითხებში თანამშრომლობის პირობებში. დასავლური ცხოვრების წესი ჩვენში ლამის პანაცეადაა მიჩნეული, თუმცა ნუ დაგვავიწყდება ისევ დასავლეთიდან წამოსული სენტენცია - დემოკრატია არაა მმართველობის იდეალური მოდელი, მაგრამ კაცობრიობას უკეთესი არაფერი მოუგონიაო. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ცდუნებები დასავლეთშიც ბევრია, რასაც თევზაძის მიერ მოყვანილი მაგალითიც ადასტურებს, როცა ევროკავშირმა მსოფლიოს უნივერსიადის, ოლიმპიდებისა თუ რიგი დიდი სპორტული ღონისძიებების დაფინანსების სანაცვლოდ ოლიმპიადაზე ქვეყნის ემბლემების გვერდით თავისი ემბლემის გამოსახვაც მოითხოვა. იმის მიუხედავად, რომ სპორტი სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ განვითარდება, ასეთი სურვილი დასავლური სამყაროსთვის მაინც მიულებელი აღმოჩნდა და საბოლოოდ შეიმუშავეს მოდელი, რომელმაც სპორტის დამოუკიდებლობა უზრუნველყო. ევროპულმა სპორტულმა საზოგადოებამ ევროკავშირს როცა დახმარებისთვის მიმართა, მკაცრად განუსაზღვრა პრიორიტეტი - თქვენთან მხოლოდ საკანონმდებლო დახმარება გვინდა. სპორტის დამოუკიდებლობისადმი იქაური მიდგომის მაგალითად იტალიელი **მარიო პესკანტეს** სიტყვებიც გამოდგება: *„ქვეყანა, რომელსაც პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი ავტონომიური სპორტული ორგანიზაცია გააჩნია, უფრო მეტი თავისუფლებისა და დემოკრატიულობის ქვეყანას წარმოადგენს"*. თუმცა თევზაძემ ევროპული სპორტის რეფორმატორად მაინც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ამჟამინდელი პრეზიდენტი, ბელგიელი დოქტორი **ჟაკ როგი** დაასახელა, რომელიც მანამდე - 1993 წლიდან ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. რეფორმებიც იქ წამოიწყო, რასაც 1997 წელს ამსტერდამის, 2000 წელს კი ნიცას კონფერენციები მოჰყვა სათანადო დეკლარაციებით. ორივე სხდომამ მკაფიოდ განსაზღვრა სპორტის სოციალური მნიშვნელობა, მისი როლი ხალხთა დაახლოების საქმეში და მოუწოდა ევროკავშირის წევრ ორგანიზაციებს, მხედველობაში მიეღოთ სპორტთან დაკავშირებული საკითხები. ნიცას დოკუმენტმა შეამზადა ის წინაპირობა, რომელზე დაყრდნობითაც მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანაში გაჩნდა მუხლი სპორტის შესახებ.

სპორტის განვითარების თევზაძისეული კონცეფციაც ამ დასავლურ გამოცდილებას ეყრდნობა, რომლის ძირითადი პრიორიტეტებია მასობრივი სპორტისა და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების სტრატეგია, მართვის ოპტიმიზაცია, მუშაობისთვის საჭირო ეკონომიკური საფუძვლების განვითარება, სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მოდერნიზება, სპორტული ინვენტარის წარმოება, რასაც სპორტული მედიცინის, სპორტული განათლების, თანამედროვე ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდა ესაჭიროება. ცხადია, ამ პრობლემების მოგვარებაზე, კანონში მათ გათვალისწინებაზე ყველა თანხმდება, მაგრამ გარკვეული მენტალური პრობლემებისა თუ ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ზოგ საკითხებზე მსჯელობა ჭიანურდება. მაგრამ თევზაძე იმედოვნებს, რომ კანონში ყველაფერს გაითვალისწინებენ. თავის მოხსენებაში მან ყურადღება იმაზეც გაამახვილა, რომ სპორტის არაპირდაპირი ფინანსური მხარდაჭერისთვის აუცილებელია დაბეგვრის განსხვავებული სისტემა სპორტის ცალკეულ სახეობათა თავისებურებების გათვალისწინებით ანუ ყველა ერთნაირად არ უნდა დაიბეგროს. ფინანსური დახმარების ეს არადოტაციური მეთოდი დასავლეთში მიღებული და აპრობირებულია.

დასავლეთში ასევე მიღებულია სპორტის განვითარების პირამიდის სისტემა, რომელსაც საფუძვლად სპორტული კლუბები უდევს, რასაც ფედერაციები მოსდევს, წვეროს კი მაღალი მიღწევების, ანუ პროფესიული სპორტი (როგორც ჩვენში ვუწოდებთ) წარმოადგენს. თევზაძემ ყურადღება იმ უცნაურობაზეც გაამახვილა, რომ საქართველოში კლუბები, ევროპული გაგებით, არც არსებობს. ასევე არაა კონფედერაციები, რაც ფედერაციებს მართვას გაუადვილებს. თევზაძის თქმით, საამისოდ ჩვენთან არც საკანონმდებლო ბაზაა დახვეწილი. მომხსენებელი მიესალმა იმ ფაქტს, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს კონსტიტუციაში გაჩნდება მუხლი სპორტის შესახებ. შესაძლოა, ორიც კი.

გუშინდელ შეხვედრაზე ითქვა ფედერაციათა წესდებების დახვეწაზეც, სადაც დაუჯერებელ კურიოზებს ვაწყდებით, როცა პრეზიდენტები ზოგჯერ ერთპიროვნულად მოქმედებენ და აცხადებენ, ალმასკომი ჩემს გადაწყვეტილებას ვერ შეცვლისო. თევზაძემ უარესი კურიოზი გაიხსენა კრივის ფედერაციის მაგალითზე - წესდებაში ერთგან პრეზიდენტის უფლებამოსილება ორი წლით იყო განსაზღვრული, მეორეგან - ოთხით და მერე სწორედ ეს ლაფსუსი გახდა დიდი დავის საგანი. სამწუხაროდ, მსგავსი ლაფსუსები ხშირია. სპორტულ ბაზებზე საუბრისას თევზაძემ ისიც აღნიშნა, რომ ამ დარგის სპეციალისტები ბევრნი ისედაც არ არიან, მაგრამ ვინც გვყავს, იმათი ცოდნაც არაა სათანადოდ გამოყენებული. შედეგად, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი არენები კვლავაც პრობლემაა. ასევე ისაუბრეს მსაჯთა პრობლემაზეც - გაისიდან საერთაშორისო კატეგორიის არბიტრთა ანაზღაურება საშინაო ტურნირებზე 100 ლარით განისაზღვრება, რესპუბლიკური კატეგორიისაა - 50-ით. ამ კონტექსტში ისიც ითქვა, რომ ეროვნული სპორტული სახეობების მსაჯები არ უნდა დაიჩაგრონ. ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ მაღალი მიღწევების სპორტი სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არ იქნება, მაგრამ წარმატებისთვის მხოლოდ ფული არაა საკმარისი. საამისოდ არანაკლებ აუცილებელია მართვის სწორი სისტემა, რაც სახელმწიფომ უნდა შექმნას გამართული საკანონმდებლო ბაზით. წარმატებისთვის მხოლოდ ფული რომ არ კმარა, ამას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაგალითიც ადასტურებს.

ირაკლი თავაძე

ჭადრაკი

წლის მონაგარი

# როცა ოქრომდე არც ისე შორია

**სამი ოქროს, რვა ვერცხლისა და შვიდი ბრინჯაოს მედალი — ასეთია ქართველ მოჭადრაკეთა მონაგარი 2009 წლის ოფიციალურ ტურნირებში. სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში კი 55-მა ქალ-ვაჟმა ისახელა თავი.**

**გვესაუბრება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი დიდოსტატი გია გიორგაძე:**



გია გიორგაძე

— ჩვენთან გამართული მნიშვნელოვანი ტურნირებიდან განსაკუთრებით თბილისის მერიის თასის გათამაშება მინდა აღვნიშნო, რომლის საპრიზო ფონდი 64 ათასი ლარი იყო. შეჯიბრებაზე ბრწყინვალედ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატის წლევანდელმა მესამე პრიზიორმა **ბაადურ ჯობავამ**, რომელსაც პირველ ადგილთან ერთად 10 ათასი ლარი ხვდა.

დაძაბული გამოდგა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის **მაია ჩიბურდანიძის** თასის გათამაშება 28 ათასი ლარის საპრიზო ფონდით. ამ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო ათეულის ხუთი წარმომადგენელი და საქართველოს ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ, მაია ჩიბურდანიძის გარდა. ასეთ კონკურენტული კოჰორტაში თავი ისახელა ახალგაზრდა დიდოსტატმა **ბელა ხოტენაშვილმა,** რომელმაც დამსახურებულად გაიმარჯვა და ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ჩვენი მოჭადრაკეებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისში მაია ჩიბურდანიძის სახელობის ტურნირის ჩატარებას მოზარდებისთვის, 8-წლიანთა ევროპის პირველობის გამართვას ბათუმში, ბავშვთა საჭადრაკო ფესტივალს ტყიბულში, იჯი-ს თასის გათამაშებას თბილისში. იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმოს და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ეს პროქტი წლეულს მეორედ განხორციელდა და დიდი მოწონება დაიმსახურა. იმის თქმა მინდა, რომ საქართველოში ჭადრაკის გეოგრაფია ნელ-ნელა ფართოვდება, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბრძენთა თამაშის განვითარებას და პოპულარიზაციას. ჩვენი პრიორიტეტი სწორედ რეგიონებში ჭადრაკის აღორძინებაა.

ყოველივე ზემოაღნიშნულს ხელს უწყობს ისიც, რომ ბოლო დროს ქართულ ჭადრაკს თანამდგომნი მოუმრავლდნენ. უპირველესად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და მისი თავკაცი **გია ნაცვლიშვილი** უნდა დავასახელო. შარშან დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ ბატონ გიას ინიციატივით შეიქმნა ქალთა კლუბი „სამაია", რომელიც უმთავრესად საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულებით დაკომპლექტდა. კლუბის წევრებს მთელი წლის განმავლობაში დაენიშნათ სტიპენდია, ჰყავდათ საკუთარი მწვრთნელი და მონდომებით ემზადებოდნენ ევროპის საკლუბო ჩემპიონატისთვის. მაკედონიაში შეჯიბრების დაწყებამდე ჩაუტარდათ საწვრთნელი შეკრება. ყოველივე ამან დადებითი შედეგი გამოიღო — ჩვენმა მანდილოსნებმა მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს და მხოლოდ უარესი კოეფიციენტით დასჯერდნენ ბრინჯაოს მედლებს რუსეთის „სპარტაკთან" და ევროპის საკლუბო ჩემპიონატების 2007-2008 წლების გამარჯვებულ „მონაკოსთან" პაექრობაში. ჩვენს მოჭადრაკეებს მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატებით დახუნძლული გუნდები უწევდნენ კონკურენციას. მარტო ის რად ღირს, რომ „სპარტაკს" სათადარიგო დაფაზე ჰყავდა ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო, რომ არაფერი ვთქვათ ორგზის ევროპის ჩემპიონ **ტატიანა კოსინცევასა** და ევროპის ჩემპიონ **ანტუანეტა სტეფანოვაზე.**

იმედია, სეოკ-ი ამ პროექტს სამომავლოდაც განაგრძობს. ჩვენი პრინციპია, „სამაია" მხოლოდ ქართველებით დაკომპლექტდეს. საგაისოდ მის გაძლიერებას თუ მოვინდომებთ, შეგვიძლია, უცხოეთში მცხოვრები ჩვენებურებიც მოვიწვიოთ. თუმცა ამ ბოლო დროს საქართველოშიც დაწინაურდნენ ახალგაზრდა მოჭადრაკეები, რომლებიც ღირსეულ კონკურენციას უწევენ უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ბელა ხოტენაშვილზე უკვე გითხარით. აქვე უნდა დავასახელო **ქეთი წაწალაშვილი,** რომელმაც 18-წლიანებში მსოფლიოს და ევროპის პირველობებზე ვერცხლის მედლები მოიპოვა, ცოტა მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, ოქროსაც გამოჰკრავდა ხელს, მან ხომ პირველი ადგილები ორივე შემთხვევაში მხოლოდ უარესი კოეფიციენტით წააგო. საგულისხმოა, რომ ქეთიმ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურიც მოიპოვა და ქუთაისში გამოცდილ დიდოსტატებსა და საერთაშორისო ოსტატებს შეეჭიდება. ასევე, დიდ იმედს ვამყარებთ ისეთ ახალგაზრდა მოჭადრაკეებზე, როგორებიც არიან სოფიკო გურამიშვილი, თამარ წერეთელი, 16-წლიანებში წლევანდელი მსოფლიოს და ევროპის პირველობების ვერცხლის მედალოსანი **მერი არაბიძე, ნაზი პაიკიძე** და სხვები.

მოჭადრაკე ქალბატონებმა კიდევ ერთ წარმატებას წლეულს ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე მიაღწიეს. მაია ჩიბურდანიძის გარეშე ჩვენმა მანდილოსნებმა ყველაფერი გააკეთეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. მთავარი კონკურენტი რუსეთის ნაკრებიც კი დაამარცხეს, მაგრამ ოქროს მედალი ჩრდილოელ მეზობლებთან უარესი მაჩვენებლებით დათმეს, რაც გულდასაწყვეტია. ჩვენებმა შვიდი მატჩი მოიგეს და ორიც ფრედ დაამთავრეს, მათ შორის აზერბაიჯანის სუსტ ნაკრებთან, რამაც ჩემპიონობა დაგვაკარგვინა. თუმცა პირველ დაფაზე **ლელა ჯავახიშვილს** ოქროს მედალი ხვდა, ხოლო **სოფიო ხუხაშვილმა** და **ბელა ხოტენაშვილმა „ვერცხლი"** დაიმსახურეს.

>> მე-13 გვერდზე

# ლიდერმა პოზიცია განიმტკიცა



დავით ბენიძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შეჯიბრება, რომელშიც საკმაოდ გაიმაგრა პოზიციები ახალგაზრდებში წლევანდელი ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა **დავით ბენიძემ.** გუშინ მე-7 ტურში მან შავი ფიგურებით **მიხეილ ჯამაგიძეს** სძლია, 6,5 ქულა მოაგროვა და უახლოეს მდევრებს თითო ქულით უსწრებს.

მეწინავეთა ჯგუფში გუშინდელი დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **გაიოზ ნიგალიძე-მალხაზ სულაშვილი** 0,5:0,5, **ბეგლარ ჯობავა-ზურაბ ჯავახაძე** 1:0 **შოთა აზალაძე-დავით ლომსაძე** 0,5:0,5, **დავით მალალაშვილი-გიგა ყუფარაძე** 0:1, **ოთარ ჯირკვალიშვილი-ნიკოლოზ შავთვალაძე** 0,5:0,5, **ირაკლი ჯანიაშვილი-ლუკა პაიჭაძე** 0:1, **ზვიად ფაცია-გიორგი ნიკოლაშვილი** 0:1.

დღეს მე-8 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ბენიძე (6,5)-ჯობავა (5,5), ყუფარაძე (5)-ნიგალიძე (5,5), სულაშვილი (5)-ჯამაგიძე (5), ლომსაძე (5)-პაიჭაძე (5), შავთვალაძე (4,5)-სოფიო გვეტაძე (4,5), აზალაძე (4,5)-ჯირკვალიშვილი (4,5), ნიკოლაშვილი (4,5)-ჯავახაძე (4,5). თორმეტმა მოჭადრაკემ 4-4 ქულა მოაგროვა. თუმცა, ნაკლებსარწმუნოა, რომ მათგან ვინმემ საუკეთესო ხუთეულში გააღწიოს.

ვაჟა დანელია

კალათბურთი

# მანუმ 2009 წელი ბომბარდირობით დახურა



**იტალიის ჩემპიონატის მატჩები, რომლებშიც ქართველი კალათბურთელები მონაწილეობდნენ, კვირას გვიან დასრულდა. ამიტომ გუშინდელ ნომერში მოლოდ მშრალი სტატისტიკა გაგაცანით. დღეს მატჩის შემდგომ კომენტარებსაც შემოგთავაზებთ და სანიკიძე-მარკოიშვილის გარჯის შეფასებებსაც.**

■ ■ ■

მანუჩარის „კანტუმ“ სეზონში მეოთხე გასვლითი გამარჯვება მიითვალა - „ფერარა“ 84:72 დაამარცხა. წარმატებაში 18-ქულიანი წვლილი შეიტანა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელიც მატჩის ბომბარდირი გახდა. მისი სიმბოლურ ნაკრებში შეყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ იტალიელებმა ეს არ გააკეთეს.

მანუს კანტუელთა შორის ყველაზე მაღალი, 7 ბალი დაუწერეს და მისი გარჯა ასე შეაფასეს: „მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს მარკოიშვილს, რომელიც ტემპსაც კარგად აკონტროლებდა და სიზუსტითაც გამოირჩეოდა.“

ახლა რაც შეეხება სიზუსტეს: მარკოიშვილი სასტარტო შემადგენლობაში იყო და მისმა ორქულიანებმა პირველივე წუთებიდან მცირე უპირატესობა დაუბევა სტუმრებს. ხოლო, მე-16 წუთზე ორი ზუსტი საჯარიმოს შემდეგ მანუმ „კანტუ“ 27:19 დააწინაურა.

კანტუელები მეოთხე პერიოდის წინ 9 ქულით იგებდნენ, რაც 10 წუთში არცთუ ძნელი აღმოსაფხვრელია. თუმცა მანუჩარმა სწორედ მეოთხე რაუნდში გაილაღა, 18-დან 10 ქულა ბოლო ათწუთეულში ჩააგდო (ორი სამქულიანი) და კანტუელებს მე-11 მატჩში მე-7 გამარჯვება მოაპოვებინა.

მანუმ 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 18 ქულის გარდა მის ანგარიშზე თითო მოხსნა-პასი იყო.

*„მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. სტუმრად გამარჯვება ყოველთვის ძნელია, მაგრამ კალათბურთელებმა საუკეთესო მატჩი ჩაატარეს და დამსახურებულ წარმატებას მივაღწიეთ. გამოვარჩევ გრინსა და მარკოიშვილს“*, - აღნიშნა „კანტუს“ თავკაცმა **ანდრეა ტრინჩიერიმ**.

როგორც ვთქვით, მის გუნდს 7 მოგება, 4 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა.

■ ■ ■

სამიოდე ტურის წინ მეოთხეზე სანიკიძის „ვირტუსი“ იყო, თუმცა „კანტუსთან“ და „ბენეტონთან“ წაგებებმა ბოლონიელები მე-9 ადგილამდე დააქვეითა.

თუ კანტუში ბოლონიელებს პირველი ტაიმის შემდეგ თამაშის გადარჩენის შანსი არ მისცემიათ, შინ, „ბენეტონთან“ გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ. მესამე პერიოდის ბოლოს ტრევიზოელები 60:54-ს იგებდნენ. მეოთხე ათწუთეულის დაწყებისთანავე სანიკიძემ სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა, თუმცა „ბენეტონმა“ გაქცევა მოახერხა და 11 ქულით დაწინაურდა. 38-ე წუთზე ისევ ვიქტორის მეცადინეობით სხვაობა 8 ქულამდე შემცირდა. მან სამქულიანი ჩააგდო - 66:74. ამას მოჰყვა **კოპონენის, ვუკჩევიჩის** გააქტიურება და სირენამდე წუთით ადრე ვუკჩევიჩის სამქულიანის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა - 78:78. დარჩენილ ერთ წუთში ერთადერთი ორქულიანი დაფიქსირდა. იგი ბენეტონელმა **ნიკ გარიმ** ჩააგდო და სტუმრებს 80:78 მოაგებინა.

ვიქტორმა 21 წუთში 9 ქულა მიითვალა. მან თამაშიდან უშეცდომოდ ისროლა: 3-დან 3 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, ორი საჯარიმო კი მიზანს ააცილა. საბოლოოდ 9 ქულას 4 მოხსნა მიამატა.

18 ქულით „ვირტუსის“ სნაიპერი დუშან ვუკჩევიჩი გახდა. მან გამოცემა „ტუტოსპორტისგან“ 7-ბალიანი შეფასება დაიმსახურა. სანიკიძეს 6.5 ბალი ერგო: *„საქართველოს ნაკრების ფორვარდი ძველებურად ენერგიული იყო. იგი თანაგუნდელებს სათანადოდ ეხმარებოდა, განსაკუთრებით შეტევისას,“* - ვკითხულობთ *„ტუტობასკეტში“*.

■ ■ ■

„ვირტუსმა“ და „კანტუმ“ 2009 წელს გამოსვლა დაასრულეს. ისინი მომდევნო მატჩებს 3 იანვარს გამართავენ. „კანტუ“ „აველინოს“ მიიღებს, „ვირტუსი“ „კრემონას“ ესტუმრება.

■ ■ ■

იტალიის მესამე ლიგაში წარმატებით თამაშობს **ნიკა მეტრეველის** „ფერენტინო“, რომელშიც იგი იჯარის წესით თამაშობს.

ბოლო ტურში ფერენტინოელებმა „პერუჯასთან“ სტუმრად გაიმარჯვეს - 73:60.

ნიკა მეტრეველი სასტარტო ხუთეულში იყო, 31 წუთში 10 ქულა (5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო) და 3 მოხსნა მიითვალა.

სატურნირო ცხრილში „ფერენტინო“ მეორეა. იგი 2 მოგებით ჩამორჩება „ბარსელონას“, რომელსაც 11 გამარჯვება აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# შერმადინის 11

**გიორგი შერმადინმა** საბერძნეთის ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მას მწვრთნელმა სათამაშოდ 20 წუთი უბოძა და არც შემცდარა. გიორგიმ 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო ჩააგდო და 11 ქულას 5 მოხსნა, 2 დაფარება და თითო პასი-ჩაჭრა მიამატა.

პანათინაიკოსელთაგან ყველაზე მეტი, 14 ქულა **ნიკოლა პეკოვიჩმა** მიითვალა, რომელსაც სნაიპერობისთვის 12 წუთი ეყო.

„მწვანეებმა“ სტუმრად „ილისიაკოსი“ იოლად დაამარცხეს - 94:62.

ამავე ტურში „პანათინაიკოსის“ უშუალო კონკურენტმა, „ოლიმპიაკოსმა“ **ნიკა ცქიტიშვილის** ყოფილ კლუბ „პანიონიოსთან“ ოვერტაიმში 94:96 წააგო.

სადღეისოდ ორივე ლიდერს ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვს: 7-7 მოგება, თითო წაგება.

„პანათინაიკოსი“ მომდევნო მატჩს 29 დეკემბერს, **გიორგი ცინცაძის** ყოფილ კლუბ „ტრიკალასთან“ ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ჩოგბურთი



ანა ტატიშვილი

# ერთეულებში ტატიშვილი, წყვილებში კალაშნიკოვა

წლის ყველა საჩოგბურთო ტურნირი დასრულდა, გამოქვეყნდა ახალი რეიტინგლისტიც, რომელშიც 2010 წლამდე ცვლილებები აღარ მოხდება. გაგაცნობთ ჩვენებურთა საბოლოო რეიტინგებს. ქართველ ქალ ჩოგბურთელთა ათეული ასე გამოიყურება: 177 (-1) **ანა ტატიშვილი** - 328 ქულა; 180 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 320; 206 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 258; 353 (-) **სოფიო შაფათავა** - 109; 438 (-6) **სოფიო ქვაცაბაია** - 77; 475 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 66; 484 (+1) **თათია მიქაძე** - 63; 538 (-1) **ეკა გორგოძე** - 50; 1022 (-3) **მაგდა ოქრუაშვილი** - 6; 1076 (+1) **ანა ჯიქია** - 4. წყვილთა რეიტინგში ქართველთა შორის ოქსანა კალაშნიკოვა დაწინაურდა: 123 (+23) ოქსანა კალაშნიკოვა - 570; 128 (-1) ანა ტატიშვილი - 546; 173 (+5) მაკა ჩახნაშვილი - 376; 288 (-3) სოფიო შაფათავა - 198; 361 (+3) მანანა შაფაქიძე - 133; 397 (+2) ეკა გორგოძე - 116; 475 (+2) თათია მიქაძე - 82; 563 (+2) სოფიო ქვაცაბაია - 58; 745 (-19) ანა ჯიქია - 28; 750 (-2) მაგდა ოქრუაშვილი - 27; 1043 (-5) **სოფიო შარანგია** - 3.

ვაჟთა კლასიფიკაციაში შვიდი ქართველია: 558 (-) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 48 ქულა; 1006 (+3) **ლადო ჩიხლაძე** - 7; 1099 (+2) **ლაზარე კუხალაშვილი** - 6; 1511 (-2) **გიორგი ცივაძე** - 1; 1603 (-3) **სოზარ გოქაძე** - 1; 1603 (-3) **ნოდარ ითონიშვილი** - 1; 1603 (-3) **გიორგი რევაზიშვილი** - 1.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო — დეკემბრის ბანძუკე

# ტოჩინოშინი პირველი მაეგაშირაა

| აღმ. | ტიტული | დას. |
|---|---|---|
| ჰაკუჰო | იოკოძუნა | ასაშორიუ |
| კოტოოშუ | ოძეკი | ჰარუმაფუჯი |
| კოტომიცუკი | ოძეკი | კაიო |
| ბარუტო | სეკივაკე | ჩიოტაიკაი |
| კოტოშოგიკუ | კომუსუბი | კაკურიუ |
| ტოიონოშიმა | მაეგაშირა 1 | ტოჩინოშინი |
| გოეიდო | მ 2 | მიაბიამა |
| ჰოკუტორიკი | მ 3 | კისენოსატო |
| კაკიძოე | მ 4 | ტაკეკაძე |
| იოშიკაძე | მ 5 | კიოკუტენჰო |
| ბუშუიამა | მ 6 | ამინიშიკი |
| ტამავაში | მ 7 | ვაკანოსატო |
| ტოკიტენკუ | მ 8 | ასასეკირიუ |
| კოკაი | მ 9 | შოტენრო |
| ტოჩიოძანი | მ 10 | არანი |
| ტაკამისაკარი | მ 11 | მოკონამი |
| ჰომაშო | მ 12 | ტოსაიუტაკა |
| ტამანოშიმა | მ 13 | შიმოტორი |
| ივაკიამა | მ 14 | ჰაკუბა |
| კიტატაიკი | მ 15 | ტოჩინონადა |
| კორიუ | მ 16 | ტოიოჰიბიკი |

**გუშინ**, ტოკიოში წლის უკანასკნელი ბანძუკე, ანუ რეიტინგლისტი გამოქვეყნდა, რომელშიც დიდი პროგრესი აქვს ელიტის ყველაზე ახალგაზრდა სუმოისტ **ლევან გორგაძეს (ტოჩინოშინი)**. ლევანმა ნოემბრის ბაშო 12-3 ბალანსით დაასრულა, „მებრძოლი სულის“ პრიზი მიიღო და წინ მხოლოდ იმპერატორის თასის მფლობელი **ჰაკუჰო** გაუშვა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი რეიტინგში აისახა, ლევანი მე-8 მაეგაშირობიდან პირველამდე დააწინაურეს - 2010 წლის პირველ ბაშოზე ქართველი ფალავანი დასავლეთის პირველი მაეგაშირას სტატუსით იჭიდავებს. დასავლურ ყაიდაზე, რომ გამოვითვალოთ, ტოჩინოშინი მსოფლიოს მე-12 სუმოისტია.

**ლევან ცაგურიამ (კოკაი)** ბაშო დადებითი ბალანსით, 8-7 დაასრულა და რეიტინგში ოდნავ წაიწია წინ - კოკაი აღმოსავლეთის მე-9 მაეგაშირაა. დაწინაურდა ძურიოს დივიზიონის დებიუტანტი **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ)**. 8-7 ბალანსი მხოლოდ ძურიოს მე-14 ნომრობიდან მე-13 ნომრობას ეყო. ასე რომ, გაგამარუ იანვრის ბაშოზეც უნდა გაფრთხილდეს, რომ სეკიტორის (ელიტის სუმოისტი) წოდება არ დაკარგოს.

დიდი მონღოლები ჰაკუჰო და **ასაშორიუ** კვლავ დიდი ჩემპიონები (იოკოძუნა) არიან, მათ მხოლოდ დივიზიონები გაცვალეს, უფრო პრესტიჟულ აღმოსავლეთში იმპერატორის თასის მომგები ჰაკუჰო გადავიდა. ჩემპიონთა (ოძეკი) რიცხვი ერთით შემცირდა, ტიტული დაკარგა **ჩიოტაიკაიმ**, რომელიც 1999 წლის შემდეგ პირველად იჭიდავებს სეკივაკეს წოდებით. წლის პირველი, იანვრის ბაშო სუმოს მექა „რიოგოკუ კოკუგიკანში“ 10-24 იანვარს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



www.sport.gov.ge
DEPARTMENT OF SPORT AND YOUTH AFFAIRS OF GEORGIA

წყალხტომა

# საფეხურით წინ წაიწიეს



უკრაინის დედაქალაქ კიევში დამთავრდა წყალმხტომელთა მე-4 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 8 ქვეყნის ორასამდე ათლეტი მონაწილეობდა, მათ შორის 3 სპორტის დამსახურებული ოსტატი და 12 საერთაშორისო ოსტატი.

შეჯიბრებაში მეორედ იასპარეზეს ქართველმა წყალმხტომელებმა — **ჭოლა ჭანტურიამ** და **შოთა კორახაშვილმა.** შარშან მათ სამმეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში მესამე ადგილი დაიკავეს, ხოლო ჭანტურია ინდივიდალურ ხტომებში მეცხრე ადგილს დასჯერდა. გუშინ კიევიდან დაბრუნებულმა საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, წყალმხტომელთა ნაკრების მწვრთნელმა **ირაკლი ბართაიამ** გვითხრა, რომ ჩვენმა სპორტსმენებმა გასულ უქმეებზე უკრაინის დედაქალაქში ბევრად უკეთ იასპარეზეს. სინქრონულ ხტომებში ჭანტურია-კორახაშვილის დუეტმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 361 ქულა მოაგროვა და ფინალში მესამე შედეგით შევიდა, იქ კი საგრძნობლად გაზარდა მონაგარი — 385 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენებურები პოლონელთა გამარჯვებულ წყვილს (ახალგაზრდებში ევროპის მეორე პრიზიორი **ანჟეი ჟემუტეკი** და **გრეგორჟ შეპეკი**, ორივე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია) მხოლოდ ქულით ჩამორჩნენ. რაც მთავარია, ჭოლამ და შოთამ წლეულს თებერვალში მსოფლიოს გრან-პრიზე (ჩინეთი) დამყარებული პირადი რეკორდი ხუთი ქულით გააუმჯობესეს.

პირად პირველობაში ჭანტურია სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ცდიდა ძალებს. საკვალიფიკაციოში მან 342 ქულა მოაგროვა და ფინალში შევიდა. გადამწყვეტი ხტომებისას კი 361 ქულა მოაგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა. კორახაშვილი მე-13 ადგილით დაკმაყოფილდა, თუმცა თავისი ასაკის სპორტსმენებში მას ყველაზე რთული პროგრამა ჰქონდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა უკრაინელი სპორტის დამსახურებული ოსტატი, პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ორგზის ოქროსმედალოსანი **ილია კვაშა.** გამარჯვებულები და პრიზიორები უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, სახელოვანმა სპორტსმენმა **სერგეი ბუბკამ** დააჯილდოვა.

— ბიჭების გამოსვლით კმაყოფილი ვარ, — მითხრა ირაკლი ბართაიამ. — ჯერჯერობით მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს, ამის მიუხედავად, ჩვენმა სპორტსმენებმა საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სირთულის კოეფიციენტის გაზრდის შემდეგ ხტომების უზადოდ შესრულებას ჯერ კიდევ დახვეწა სჭირდება. საამისოდ დრო საკმაოა, რადგან, უახლოესი შეჯიბრება 1-7 თებერვალს ეინდჰოვენში გველის. ეს იქნება ძალთა ბოლო შემოწმება სარეიტინგო მსოფლიოს გრან-პრის სერიების წინ, რომლებსაც 23 თებერვალიდან 7 მარტამდე გერმანია და რუსეთი უმასპინძლებენ. ვეცდებით, იქაც ვისახელოთ თავი. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სეოკ-ის ხელმძღვანელობას, რომელმაც კიევში ჩვენი მგზავრობა დააფინანსა. სასტუმროსა და კვების ხარჯები უკრაინის ოლიმპიურმა კომიტეტმა გაიღო.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

წლის მონაგარი

# როცა ოქრომდე არც ისე შორია

« მე-11 გვერდიდან

წლევანდელი სურათი სრულყოფილი არ იქნება, ჩინეთში გამართულ გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატზე თუ არაფერს ვიტყვით. არადა, ყველაზე მეტად ამ შეჯიბრებამ დაგვწყვიტა გული. ტურნირი კარგად დავიწყეთ და, ეტყობა, ნაადრევად ვირწმუნეთ გამარჯვება და დავისაჯეთ კიდეც — გაუთვალისწინებელი მარცხი ვიწვნიეთ სომხებთან. შემდეგ კიდევ ორი მატჩი დავთმეთ და საბოლოოდ მე-4 ადგილზე გავედით — ჩემპიონებსა და პრიზიორებს მხოლოდ ქულით ჩამოვრჩით. ამგვარი შედეგი სხვა ქვეყნისთვის, შესაძლოა, საამაყოც იყოს, მაგრამ არა ქართველი ქალებისთვის, რომლებიც ყველა შეჯიბრებაში მედლებისთვის იბრძვიან. გულსატკენია თუნდაც იმიტომ, რომ ჩიბურდანიძემ პირველ დაფაზე მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო **ნანა ძაგნიძეს** მეორე დაფაზე ბრინჯაო ხვდა. ასეთ შემთხვევაში წარუმატებლობა ცოტა უცნაურიცაა.

**— ბატონო გიორგი, სულ ქალებზე ვლაპარაკობთ. ვაჟებზე არაფერს გვეტყვით?**

— უპირველესად ბაადურ ჯობავა უნდა გამოვყო, რომელმაც წლეულს ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. მერე, როგორც გითხარით, თბილისის მერიის თასი მოიგო, ამას წინათ კი ხანტი-მანსიისკში ფიდეს მსოფლიოს თასზე ორი წრე წარმატებით გავლო. შეჯიბრებაზე მას ახლდა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ალექსანდრ ბელიავსკი. მათი თანამშრომლობა შარშან დაიწყო. ჭადრაკის ფედერაცია მომავალშიც დაეხმარება ჯობავას, რომელმაც 2700-იანთა კლუბში შეაბიჯა. ეს კი ელიტარულ ჭადრაკში შეღწევის გასაღებია.

**— თქვენ საწვრთნელი შეკრებები ახსენეთ...**

— დიახ, ამ მხრივაც გვაქვს სიახლეები. რომ არაფერი ვთქვათ ქალთა და ვაჟთა გუნდების საწვრთნელ შეკრებებზე, რომლებიც მნიშვნელოვანი შეჯიბრებების წინ გაიმართა ურეკში, მაკედონიასა და სერბეთში, ნანა ძაგნიძე ინდივიდიალურად მოემზადა ბაკურიანში ლაშა ჯანჯღავას ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა მოჭადრაკეები კი მსოფლიოს და ევროპის პირველობების წინ ქუთაისში შევკრიბეთ, სადაც თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ჩაუტარეს დავით გურგენიძემ, ხვიჩა სუპატაშვილმა, ლაშა ჯანჯღავამ, ალეკო არსენიძემ. დიდი ყურადღება ექცეოდა მოზარდთა ფიზიკურ მომზადებას, ერთიანი სულისკვეთებით აღზრდას, რასაც დადებითი შედეგი მოჰყვა.

**— ულტრათანამედროვე კომპიუტერული სისტემის განვითარებამ დღის წესრიგში მწვავედ დააყენა მაღალკვალიფიციური მწვრთნელებისა და არბიტრების მომზადების საკითხი. ამ მხრივ, ჩვენთან რა ცვლილებები იგეგმება?**

— გადაწყვეტილი გვაქვს, გაისად რამდენიმე უცხოელი თეორეტიკოსი სპეციალისტი მოვიწვიოთ როგორც მოჭადრაკეების, ისე მწვრთნელთა კორპუსის პროფესიული დონის ასამაღლებლად. წლეულს დავიწყეთ ატესტაციის პროგრამა, ჩავატარეთ ლექციები, გაისად გამოცდებს მოვაწყობთ და შესაბამის დოკუმენტებსაც გავცემთ. ასე რომ მალე სერთიფიცირებული მწვრთნელები გვეყოლება. მსგავსი პროგრამის განხორციელებას ვაპირებთ მსაჯთა კორპუსისთვის. მოგეხსენებათ, ჭადრაკში ხშირად იცვლება თამაშის წესები. ერთ მაგალითს დავასახელებ: უწინ შეჯიბრებაზე ალმის ჩამოვარდნამდე თუ შეგეძლო დაგვიანება, ახლა წუთსაც არავინ გაპატიებს — ტექნიკურ წაგებას ჩაგითვლიან, როგორც ეს მოუვიდათ მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატზე რუს გუნინას და ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს თასზე ჩინელ მოჭადრაკეებს. მსაჯთა მაღალ დონეზე მომზადება თუნდაც იმიტომ გვჭირდება, რომ გაისად ბათუმი ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს და არ უნდა შევრცხვეთ.

**— რადგან სიტყვა მომავალ შეჯიბრებაზე ჩამოვარდა, იქნებ გვითხრათ, საგაისოდ რას გეგმავთ?**

— ქუთაისში 8 იანვარს ქალთა საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება. ჩვენს იდეას ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ფრთები შეასხა და ამ მნიშვნელოვანი ტურნირის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. 12 მოჭადრაკე წრიული სისტემით იბრძოლებს მედლებისთვის. მათ საასპარეზოდ და აქტიური დასვენებისთვის ყოველგვარი პირობები ექნებათ. მსგავსი შეჯიბრება ვაჟებისთვის თბილისში 11 იანვარს აიღებს სტარტს. ასეთი ნაადრევი ორთაბრძოლები იმით არის განპირობებული, რომ ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატები 5 მარტიდან დაიწყება და ევროპის ჭადრაკის ფედერაციას შეჯიბრებაში მონაწილეთა სია თებერვალში უნდა წარვუდგინოთ. როგორც წლეულს, გაისადაც, პირველ-მესამე ადგილებზე გასულ ქალებსა და ვაჟებს ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად დავაფინანსებთ. შესაძლოა, შეჯიბრების წინ მათთვის შეკრებაც მოვაწყოთ.

წლეულს ნანა ძაგნიძემ წარმატებით იასპარეზა ფიდეს გრან-პრის გათამაშებაში, რომელსაც ჩინეთმა უმასპინძლა — მეორე ადგილი დაიკავა. გაისად მაია ჩიბურდანიძე და ძაგნიძე მსგავს სამ-სამ შეჯიბრებაში გამოვლენ. ყოველივე ეს დიდი პატივია ჩვენთვის, რადგან ამ ტურნირის გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად იბრძოლებს.

2010 წელს ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა იქნება, რომელსაც ხანტი-მანსიისკი უმასპინძლებს. რუსები ყოველმრივ შეეცდებიან, ჩემპიონის ტიტული ჩამოგვართვან, რადგან ჭადრაკი ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა პოლიტიკის დონემდე აიყვანეს, შემთხვევითი არ იყო, რომ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე გამარჯვებისთვის რუს ქალებს წარმატება ქვეყნის პრეზიდენტმა მიულოცა. ოლიმპიადა გაისად 19 სექტემბერს დაიწყება. ცუდია, რომ ამ თარიღს ემთხვევა ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა ბათუმში, რომლის ტენდერში ესპანეთი და ბულგარეთი დავამარცხეთ. აჭარის დედაქალაქში 1000-ზე მეტი სტუმარი გვეწვევა. ყველას ტრადიციულად უნდა გავუმასპინძლდეთ.

სპორტის დეპარტამენტის, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და კერძო სპონსორთა თანადგომით, ალბათ შევძლებთ, რომ 2010 წელი ქართული ჭადრაკისთვის უფრო უხვმოსავლიანი იყოს.

ვაჟა დანელია

რაგბი

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# საქართველო კიდევ ერთხელ ვასახელოთ



**საქართველოში სარაგბო სეზონი ოფიციალურად IRB-ის მაღალჩინოსანის ბრუს კუკის ვიზიტით დასრულდა. მან საქართველოს რაგბის კავშირის საქმიანობა შეამოწმა და შოტლანდიელი სპეციალისტის რიჩი დიქსონის ნამუშევარსაც გაეცნო. სტუმარმა თბილისი კმაყოფილმა დატოვა. იმის შესახებ, იზიარებს თუ არა კუკის განწყობას და რას გეგმავს სამომავლოდ რაგბის კავშირი, პრეზიდენტს, გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**

- რიჩი დიქსონმა და ქართველ სპეციალისტთა ჯგუფმა საკმაოდ ნაყოფიერად იშრომეს. პირველ ეტაპზე მათ თითქმის მთელი საქართველო მოიარეს, ადგილზე გაეცნენ მწვრთნელების საქმიანობას, ვერჯიშების მეთოდიკას, არსებულ პრობლემებს. გააანალიზეს შექმნილი მდგომარეობა და მასზე დაყრდნობით შექმნეს ბავშვთა და მოზარდთა რაგბის განვითარების პროგრამა, რომელიც თითოეული მწვრთნელისთვის სახელმძღვანელო გახდება. ამავე ჯგუფმა შექმნა ფილმი, სადაც სახელმძღვანელოში მოცემული ვარჯიშებია ასახული. ერთი სიტყვით, მათ მიერ გაწეული სამუშაოთი კმაყოფილნი ვართ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, რიჩი დიქსონი სხვა პროგრამების შექმნაზეც აპირებს მუშაობას. მისი თანამშრომლობა საქართველოს რაგბის კავშირთან ხანგრძლივი იქნება?**

- რიჩი დიქსონთან მალე გავაფორმებთ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ის საკმაოდ დიდხანს იმუშავებს ჩვენთან. რიჩი ოფიციალურად იქნება საქართველოს რაგბის კავშირის მთავარი მრჩეველი. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება, განვითარების სხვადასხვა პროგრამის შექმნა და მათი განხორციელება. ამასთან, დარწმუნებული ვარ, შოტლანდიელი სპეციალისტის კონსულტაციები სხვა მიმართულებითაც საკმაოდ სასარგებლო იქნება.

**- კიდევ რა სახის პროგრამების შექმნაზე იმუშავებს შოტლანდიელი?**

- ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური მსაჯთა კორპუსის დონე და ფიზმომზადების მწვრთნელთა დეფიციტია. სწორედ ამ სფეროების განვითარების პროგრამის შექმნა იქნება რიჩი დიქსონის საქმიანობის მეორე ეტაპი. მისი რეკომენდაციით მოვიწვევთ მაღალი დონის სპეციალისტებს როგორც მსაჯთა სემინარების, ისე ფიზმომზადების მწვრთნელთა კურსების გასამართად. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი სპეციალისტი ისეთ მაღალ დონეზე მოვამზადოთ, რომ უკვე სხვა ქვეყნებს დავეხმაროთ, ვასწავლოთ. მალე სათანადო ბაზა, ინფრასტრუქტურა გვექნება და შესაძლებლობა მოგვეცემა საერთაშორისო სემინარები აქვე, თბილისში გავმართოთ.

**- თვეზე ოდნავ მეტი დარჩა ევროპის ერთა თასის გათამაშების დაწყებამდე, რომლის შედეგების მიხედვითაც მსოფლიო თასის ორი საგზურის მფლობელი გაირკვევა. ჩვენი ეროვნული ნაკრების სამზადისში რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

- სიახლე არაფერია. საქართველოს ეროვნული ნაკრების სამივე მწვრთნელი თბილისში იანვრის ბოლოს ჩამოვა. ერთა თასის წლევანდელი გათამაშების მნიშვნელობაზე დიდხანს არ შევჩერდები. ჩვენი მთავარი მიზანია მსოფლიო თასზე გასვლა. ვფიქრობ, ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება, რითაც კიდევ ერთხელ ვასახელებთ ჩვენს ქვეყანას.

ამასთან, ძალზედ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტორიც. მსოფლიო თასზე გასვლით საშუალება მოგვეცემა მომდევნო ოთხი წლიწადი ჩვენი პროექტების, გეგმების განხორციელებისთვის გამოვიყენოთ. რის შემდეგაც, მომდევნო მსოფლიო თასზე 2015 წელს გარწმუნებთ ყველასათვის ანგარიშგასაწევი ძალა ვიქნებით. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ უკვე დავიწყეთ რაგბის განვითარების ახალი მეთოდის გამოყენება, ვნერგავთ სრულიად განსხვავებულ მიდგომას, ვაგვარებთ ინფრასტრუქტურის პრობლემებს, სრულიად მოვიცავთ რეგიონებს, იმედი მაქვს, რომ მოძლიერდებიან კლუბებიც. ყოველივე ეს კი ქართული რაგბის სერიოზული წინსვლის, პროგრესის საწინდარია.

**- ერთა თასის ერთ-ერთი შეხვედრა, უფრო ზუსტად კი რუსეთის ნაკრებთან ნეიტრალურ მოედანზე, თურქეთის ქალაქ ტრაბზონში უნდა გაიმართოს. ახლახან, სწორედ იქ იმყოფებოდით საორგანიზაციო საკითხების მოგვარების მიზნით. როგორი ვითარებაა დღეისათვის?**

- ტრაბზონში თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. ამ მატჩის ორგანიზებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სქართველოს საელჩომ და საკონსულომ, მადლობა მინდა ვუთხრა გაწეული დახმარებისთვის ასევე ტრაბზონის მერს, მხარის გუბერნატორს და ტრაბზონში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. მათ ყველა ღონე იხმარეს, რათა ორივე გუნდისთვის სათანადო, კომფორტული პირობები შეექმნათ.

შეგვექმნა საკმაოდ სერიოზული პრობლემაც. ალბათ გახსოვთ, რომ ტრაბზონი რუსეთთან მატჩის ქალაქად ერთი წლის წინ ავირჩიეთ და ვიზიტიც მოვაწყვეთ. ისე გამოვიდა, რომ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციამ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩი „ტრაბზონსპორსა" და „გალათასარაის" შორის 20 მარტს დანიშნა. იძულებული გავხდით თამაში სხვა მოედანზე გადაგვეტანა. ტრაბზონშივე ვნახეთ საკმაოდ კოხტა, პატარა, რვა ათას მაყურებელზე გათვლილი სტადიონი, რომელიც ყველანაირ სტანდარტს აკმაყოფილებს.

თხოვნით მივმართეთ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციას, რომ საფეხბურთო მატჩი 20 მარტის ნაცვლად ერთი დღით გვიან, 21 მარტს გამართონ. პასუხს უახლოეს დღეებში მივიღებთ. სხვა მხრივ ყველა საორგანიზაციო საკითხი გადაწყვეტილია.

ბესიკ ჯანგავაძე

სამთო თხილამურობა

# იასონი ტრასას ართულებს

ქართველმა სამთო მეთხილამურეებმა იტალიის კურორტ პოცა დი ფასაში გადაინაცვლეს, სადაც სლალომში მიიღეს მონაწილეობა. სლალომი FIS-ის ეგიდით ჩატარდა, თუმცა შემადგენლობა საკმაოდ ძლიერი შეიკრიბა. საკმარისია, აღინიშნოს, რომ გამარჯვებულ **მანუელ პესკოლდერუნგს** (იტალია) 17,69 FIS -ის ქულა ერგო, ეს კი მაღალი კოეფიციენტია. მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ერთ-ერთ ცდაზე მაინც მოეცარა ფეხი, მათ შორის **ალექსი ბენიანიძესაც**, რომელმაც მე-2 ცდაზე კარი გამოტოვა. სულ კი 30 მეთხილამურემ შეძლო ორივე ცდის მშვიდობიანად ჩამთავრება. **იასონ აბრამაშვილმა** 1:43,66 წუთი შედეგით მე-15 ადგილი დაიკავა (რეიტინგით იასონი მონაწილეთა შორის 21-ე იყო). **კოტე ვახტანგიშვილი** 27-ე ადგილს დასჯერდა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA რეგულარული ჩემპიონატი



# მოგება დირკის გარეშეც შეიძლება

გუშინდელი დღის ცენტრალურ მატჩად „დალასისა" და „კლივლენდის" დაპირისპირება ითვლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ „მავერიქსი" შინ თამაშობდა, ფავორიტები მაინც სტუმრები იყვნენ. საქმე ისაა, რომ „კოვბოებს" აკლდათ ლიდერი **დირკ ნოვიცკი**, ხოლო გერმანელის გარეშე „დალასის" თამაში არცთუ ისე დამაჯერებელია.

დირკის ნაცვლად პირველად ამ სეზონში სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა **ტიმ ტომასი** და მწვრთნელებს იმედები არ გაუცრუა. „დალასის" ფორვარდი არ ყოფილა ყველაზე გამორჩეული ფიგურა მოედანზე - იგივე **ლებრონ ჯეიმსი**, რომელიც კარიერაში მეხუთასე შეხვედრას ატარებდა, და **ჯეისონ ტერი** გაცილებით ეფექტურად გამოიყურებოდნენ. სხვა საქმეა, რომ სწორედ ტიმი გახდა მატჩის ყველა სასარგებლო და შედეგიანი მოთამაშე მასპინძელთა რიგებში.

„დალასი" მეორე მეოთხედის დროს რამდენიმე ქულით გავიდა წინ და იქიდან მოყოლებული ალარ მიუცია „კავალერისტებისთვის" დაწინაურების საშუალება. „კლივლენდი" მხოლოდ მეოთხე მეოთხედის დასაწყისში დაეწია მეტოქეს, მაგრამ **დამპიეს, მერიონის, კიდისა** და ტერის ზუსტმა ტყორცნებმა სტუმრებს გამარჯვების ყოველგვარი იმედი გადაუწურეს - 102:95.

რაც შეეხება ნოვიცკის, იდაყვის ტრავმის გამო გერმანელი, სავარაუდოდ, კიდევ ერთ მატჩს გამოტოვებს.

კიდევ ერთ საინტერესო შეხვედრაში „ლეიკერსი" უპრობლემოდ გაუსწორდა „დეტროიტ პისტონზს". ჯერ კიდევ პირველ მეოთხედში **ბრაიანტი** და კომპანია 12 ქულით დაწინაურდა. ამის შემდეგ კალიფორნიელები მხოლოდ ზრდიდნენ უპირატესობას და ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ბოლო 12-წუთეულში **ფილ ჯექსონმა** მოედანზე რეზერვისტები შეუშვა. კვლავ ძალიან სასარგებლო იყო **რონ არტესტი** - ამჯერად მან თავი იმით გამოიჩინა, რომ ერთბაშად ექვსი ჩაჭრა ჩაიწერა აქტივში.

„ლეიკერსს" არ ჩამორჩა ჩემპიონობის კიდევ ერთი კანდიდატი „ბოსტონ სელტიქსი". თუ ერთი თვის წინ „კელტებმა" ძლივს მოუგეს „მინესოტას", ამჯერად „მგლებს" გამარჯვების მინიმალური შანსიც არ ჰქონიათ.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ტენესიში, სადაც „მემფისმა", ყველასთვის გასაკვირად, იოლად დაამარცხა „დენვერ ნაგეტსი". თუმცა სტუმრებს შეუძლიათ თავი იმით იმართლონ, რომ ამ მატჩში მათ ძირითადი გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი** აკლდათ, მისმა შემცვლელმა **ლოუსონმა** კი ვერ გაართვა თავი მოვალეობებს. „გრიზლისმა" პირველ მეოთხედშივე მიანიშნა მეტოქეს, რომ მას ძალიან გაუჭირდებოდა მოგებაზე თამაში, მეორეში კი უკვე „ნაგეტსის" დამრიგებელ **ჯორჯ კარლსაც** ალარ სჯეროდა წარმატების და პერიოდულად თავში იშენდა ხელებს.

ისევე როგორც „დეტროიტმა", შინ წააგო შეხვედრა „მაიამი ჰიტმა". ფლორიდელები „პორტლენდთან" მატჩში იგებდნენ, მაგრამ ბოლო ორი წუთი ჩააგდეს, როცა დროის ამ მონაკვეთში მეტოქეს 13:3 გაქცევის საშუალება მისცეს.

**ტორონტო-ნიუ ორლეანი 98:92**

**26:22, 25:25, 25:22, 22:23**

ტ: ბოში (25+11 მოხსნა), ჯეკი (15+7 პასი), თურქოგლუ (14+7 პასი), არნიანი (13+11 მოხსნა), დეროზანი (10).

ნ-ო: უესტი (21+12 მოხსნა), ოკაფორი (16+11 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (12), ბრაუნი (10+3 ჩაჭრა), პოლი (10+7 პასი), ტორნტონი (10).

**მემფისი-დენვერი 102:96**

**33:19, 28:24, 19:24, 22:29**

მ: რენდოლფი (32), გეი (19), გასოლი (14), მაიო (11), კონლი (11).

დ: ენტონი (41+6 მოხსნა+5 პასი), ნენე (19+7 მოხსნა), მარტინი (12+5 მოხსნა).

**ბოსტონი-მინესოტა 122:104**

**34:19, 32:22, 26:31, 30:32**

ბ: პირსი (29+7 მოხსნა), რ. ალენი (20), ტ. ალენი (15+6 მოხსნა), პერკინსი (14+11 მოხსნა+3 დაფარება), რონდო (13+15 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (10+8 მოხსნა), უოლასი (10)

მ: ფლინი (21), ჯეფერსონი (20+11 მოხსნა), უილკინსი (18+6 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ლავი (15+11 მოხსნა+5 პასი), სეშენსი (11).

**დეტროიტი-ლეიკერსი 81:93**

**19:31, 19:25, 24:27, 19:10**

დ: სტაკი (16), ჟერებკო (15+6 მოხსნა), დეი (10).

ლ: ბრაიანტი (28+5 ჩაჭრა), ბინუმი (16+5 მოხსნა+3 დაფარება), არტესტი (14+5 მოხსნა+9 პასი+6 ჩაჭრა), გასოლი (13+11 მოხსნა).

**მაიამი-პორტლენდი 95:102**

**25:21, 23:24, 21:26, 26:31**

მ: უეიდი (28+10 პასი), ოლდრიჯი (22), ბიზლი (17+8 მოხსნა), ო'ნილი (12+6 მოხსნა).

პ: როი (28+8 პასი), ოლდრიჯი (23+8 მოხსნა), მილერი (17), უებსტერი (15+5 მოხსნა).

**დალასი-კლივლენდი 102:95**

**25:26, 27:24, 21:17, 29:28**

დ: ტომასი (22+7 მოხსნა), ტერი (19), ჰოვარდი (14), გუდენი (12+8 მოხსნა), მერიონი (12+8 მოხსნა), კიდი (10+11 პასი).

კ: ჯეიმსი (25+6 პასი), უესტი (18+7 მოხსნა), ვარეჟაო (13+8 მოხსნა), პარკერი (12).

**ნიუ იორკი-შარლოტი 98:94**

**16:14, 35:31, 25:25, 22:24**

ნ-ი: უ. ჩენდლერი (26+5 მოხსნა), გალინარი (21), ლი (15+15 მოხსნა+7 პასი), დუჰონი (13+6 პასი), ბენდერი (11), ჰარინგტონი (10)

შ: ფელტონი (27+9 მოხსნა+7 პასი), ტ. ჩენდლერი (13+14 მოხსნა), მიურეი (12), ჯექსონი (10), ბრაუნი (10+6 მოხსნა).

# ზაფხულის მოლოდინში

**გაისად აგვისტოს ბოლოსა და სექტემბრის დასაწყისში თურქეთის ოთხი ქალაქი კაცებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. დაახლოებით ერთი კვირის წინ გაიმართა ფინალური ეტაპის წილისყრა და კალათბურთის მოყვარულებმა გონებაში უკვე მოხაზეს ჯგუფურ ტურნირზე ძალთა თანაფარდობა და მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარი.**

**თუმცა თავდაპირველად ჩემპიონატის ჩატარების სქემა გავიხსენოთ. ჯგუფურ ეტაპზე 24 ნაკრები ოთხ ჯგუფად (თითოში ექვსი გუნდი) არის დაყოფილი. ერთწრიანი ტურნირის შემდეგ 4-4 საუკეთესო გუნდი პლეი ოფში აგრძელებს ბრძოლას - ზედიზედ გაიმართება 1/8, 1/4 და 1/2 ფინალები, რასაც გადამწყვეტი მატჩი მოჰყვება. ახლა კი ვნახოთ, ძალთა როგორი თანაფარდობა მოგვცა ბრმა წილისყრამ.**

**A ჯგუფი**

არგენტინა
სერბეთი
ავსტრალია
გერმანია
ანგოლა
იორდანია

პირველ ჯგუფში შეიძლება ორი აუთსაიდერის გამოყოფა, რომლებიც ვერ შეძლებენ პლეი ოფის ზონაში შესვლას. ბოლო წლებში აფრიკის უცვლელი ჩემპიონი - ანგოლა და ჩემპიონატზე მოულოდნელად მოხვედრილი იორდანია ჯგუფში მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის თუ იბრძოლებენ. აფრიკის ჩემპიონი მრისხანე ძალას მხოლოდ „შავი კონტინენტის" შიგნით წარმოადგენს. ძლიერი მაღალი კალათბურთელების გარეშე ანგოლა უშანსოდაა ევროპულ გუნდებთან და არგენტინასთან ბრძოლაში. იორდანიისთვის კი ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის ფაქტიც უკვე დიდი მიღწევაა. ჯგუფის თამაშებს ამ გუნდის კალათბურთელები მხოლოდ იმისთვის თუ გამოიყენებენ, რომ სერიოზული ევროპული კლუბების ყურადღება მიიქციონ.

დარჩენილ ოთხ გუნდს შორის ყველაზე სუსტი სასტარტო პოზიცია გერმანიას აქვს. მის რიგებში ერთადერთი ვარსკვლავია - **დირკ ნოვიცკი** და ეს დიადი კალათბურთელიც კი პარტნიორების სათანადო მხარდაჭერის გარეშე ვერ შეძლებს გუნდის ტიტულამდე მიყვანას. ავსტრალიას, არგენტინასა და სერბეთს შორის უპირატესობა ამ უკანასკნელს ენიჭება. ბალკანელთა ახალგაზრდულმა გუნდმა ბრძენი **დუშან ივკოვიჩის** ხელმძღვანელობით ევრობასკეტზე ფინალამდე მიაღწია. არადა ამ ტურნირზე სერბებს NBA-ის ლეგიონერების დიდი ნაწილი აკლდა, მათთან ერთად კი ნაკრები უდავოდ მძლავრ მონსტრად იქცევა. არგენტინა ძალიან გამოცდილია, მაგრამ ამ გუნდის პიკი უკვე გადავლილია. **ჯინობილი, სკოლა, პრიჯიონი, ობერტო** - გუნდის ლიდერებმა ვეტერანთა ასაკს მიაღწიეს და შეიძლება ძალები არ ეყოთ ასეთ რთულ ტურნირზე. ძლიერი წინა ხაზის (**ენდრიუ ბოგუტი** და **დევიდ ანდერსენი**) მქონე ავსტრალია მაღალი კლასის მცველთა დეფიციტს განიცდის. ამიტომაც ამ გუნდს ჯგუფში მესამე ადგილი ეკუთვნის.

**B ჯგუფი**

აშშ
სლოვენია
ხორვატია
ბრაზილია
ირანი
ტუნისი

ამ ჯგუფში პლეი ოფის პოტენციურ მონაწილეთა და აუთსაიდერთა შორის ზღვარი კიდევ უფრო მკვეთრია, ვიდრე A ჯგუფში. აზიის ჩემპიონ ირანსა და აფრიკის ჩემპიონატის მესამე პრიზიორ ტუნისს თეორიულადაც არ შეუძლიათ სლოვენიასთან, ხორვატიასთან ან ბრაზილიასთან ბრძოლა, რომ არაფერი ვთქვათ „დრიმ თიმზე". ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამერიკა როგორც ჯგუფის, ასევე მთლიანად ჩემპიონატის მთავარი ფავორიტია. ამერიკელთა შემადგენლობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამჯერად შტატებში სერიოზულად მოეკიდებიან მსოფლიოს ჩემპიონატს და გუნდს NBA-ის საუკეთესო კალათბურთელებით დააკომპლექტებენ. მით უმეტეს, რომ ნაკრებს კვლავინდებურად სათავეში **მაიკ კჟიჟევსკი** უდგას. დანარჩენი ნაკრებების კლასი დაახლოებით თანაბარია და მათ შორის მეორე-მეოთხე ადგილების განაწილება ნოსტრადამუსსაც არ შეუძლია.

**C ჯგუფი**

თურქეთი
საბერძნეთი
რუსეთი
პუერტო რიკო
ჩინეთი
კოტ დ'ივუარი

ამ ჯგუფში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ ადგილს. მისი მფლობელი ფინალამდე თავიდან აიცილებს მთავარ ფავორიტებთან - აშშ-თან და ესპანეთთან შეხვედრას. მოვლენათა ლოგიკური განვითარების შემთხვევაში C ჯგუფის გამარჯვებული 1/2 ფინალში A ჯგუფის პირველადგილოსანს შეხვდება. ასე რომ, აქ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

ჯგუფის შემადგენლობა თანაბარია - მხოლოდ ერთი აუთსაიდერის გამოყოფა შეიძლება. კოტ დ'ივუარის შემადგენლობაში ნაცნობ კალათბურთელს ვერ ვხედავთ და ამ გუნდის კარგი ფიზიკური მომზადება საკმარისი არ იქნება თუნდაც მეხუთე ადგილისთვის საბრძოლველად. ჩინეთის ნაკრების პერსპექტივა მათი მთავარი კოზირის - სუპერცენტრ **იაო მინის** თამაშზე იქნება დამოკიდებული. ჯერჯერობით „ჰიუსტონის" ვარსკვლავის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არაფერს იტყობინებიან და მისი ჩემპიონატზე გამოსვლის შანსი 50 პროცენტით უნდა შევაფასოთ. ხოლო რას წარმოადგენს გუნდი მინის გარეშე, ეს კარგად დავინახეთ ჩინეთში გამართულ აზიის ჩემპიონატზე, სადაც მასპინძლებმა მხოლოდ მსაჯების დახმარებით შეძლეს ნახევარფინალში ლიბანის დამარცხება და თურქეთის საგზურის მოპოვება.

პუერტო რიკოს ნაკრების მოთამაშეთა უმრავლესობისთვის ეს ჩემპიონატი „გედის სიმღერა" იქნება. ლათინოამერიკელთა ლიდერებს ვეტერანის ასაკმა უწია, მათი შემცვლელები კი ჯერ არ ჩანან. თუმცა **აროიოსა** და კომპანიას შეუძლია ჯგუფში მეოთხე ადგილის დაკავება.

რჩება სამი ევროპული გუნდი - რუსეთი, თურქეთი და საბერძნეთი. ბოლო ევრობასკეტზე რუსეთმა თურქეთსაც მოუგო და საბერძნეთსაც, მაგრამ **დევიდ ბლატის** გუნდს ამ შედეგის გამეორება გაუჭირდება. ბერძნები გაისად უძლიერეს შემადგენლობას ჩაიყვანენ თურქეთში. მასპინძლებსაც აუცილებლად ეყოლებათ ტრიო NBA-დან - **მეჰმეთ ოქური, ერსან ილიასოვა** და **ჰედო თურქოგლუ**! მათვე დაემატებათ „მეექვსე მოთამაშე" ფანატი გულშემატკივრების სახით... და ვინ იცის, „მეშვიდე მოთამაშე" გახდნენ ტრადიციულად მასპინძლების მიმართ კეთილგანწყობილი მსაჯები. ამიტომაც უნდა მოვნათლოთ თურქეთი ჯგუფის მთავარ ფავორიტად.

**D ჯგუფი**

ესპანეთი
საფრანგეთი
ლიტვა
კანადა
ლიბანი
ახ. ზელანდია

ბოლო ჯგუფში თანაბრად, ანუ სამსამად უნდა გავყოთ ფავორიტები და აუთსაიდერები. კანადის, ლიბანისა და ახალი ზელანდიის ამოცანა მარტივი და გასაგებია - ბრძოლა პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის. რაც შეეხებათ ევროპულ გუნდებს, მათთვის უმთავრესი მეორე ადგილისთვის (!) ბრძოლაა. თეორიულად, სწორედ D ჯგუფის მეორე გუნდი აიცილებს თავიდან ფინალამდე ამერიკასთან შეხვედრას. ამიტომაც ბოლო ტურებში ჩვენ, შესაძლოა, ტაქტიკური ბრძოლის მოწმენი გავხდეთ, რომლის საბოლოო შედეგის პროგნოზირება შეუძლებელია. ასევე არ არის გამორიცხული, რომ არც ერთმა გუნდმა არ იზრუნოს პლეი ოფის მოსახერხებელი ბადისთვის და ნებისმიერ მატჩში მხოლოდ გამარჯვებისთვის ითამაშოს.

ასეთ შემთხვევაში პირველი ადგილი ესპანეთის ბრწყინვალე ნაკრებს - ევროპული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს ეკუთვნის. სხვათა შორის, პირენეელები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები არიან. იმ შემთხვევაში, თუ ლიტვა თურქეთში უძლიერეს შემადგენლობას ჩაიყვანს, მას შეეძლება საფრანგეთის დამარცხება და სწორედ იმ სასურველი მეორე ადგილის მოპოვება.

უკვე ნახსენებ აუთსაიდერებს შორის კი უპირატესობა კანადას ექნება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაცია ნაკრებში თამაშზე დაითანხმებს ყველაზე ცნობილ კანადელ კალათბურთელ **სტივ ნეშს**. მაგრამ მის გარეშეც კანადა უფრო ძლიერი გუნდი ჩანს, ვიდრე ლიბანი ან ახალი ზელანდია.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**





„ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** განაცხადა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის **მიხაელ შუმახერის** ფორმულა 1-ში დაბრუნება ჭორი არ არის. BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში დი მონტეძემოლომ განაცხადა, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია 2010 წლისთვის „მერსედეს გრან-პრიში" ლეგენდარული გერმანელის გადასვლა. თუმცა „ფერარის" შეფმა ისიც განაცხადა, რომ ამის ასპროცენტიანი მტკიცება ჯერ არ შეუძლია.

ამასობაში შუმის ფორმულა 1-ში სავარაუდო დაბრუნების ფაქტს გამოეხმაურა მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ნაიჯელ მენსელი**. ლეგენდარული ბრიტანელი დარწმუნებულია, რომ შუმახერი გაისად ტიტულზე განაცხადებს პრეტენზიას.

*„ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია საქმისადმი ერთგულება და კონცენტრაცია. არ გამიკვირდება, თუ შუმახერი რეალურად იბრძოლებს ჩემპიონის ტიტულისთვის,* - ამბობს მენსელი. - *მიხაელს უდიდესი ნიჭი და გამოცდილება აქვს და დარწმუნებული ვარ, „მერსედესი" მას ბრწყინვალე მანქანას შესთავაზებს. თანაც ვიცი, რომ შუმი კარგ ფორმაშია და მზად არის ჩვეულ სტილში საბრძოლველად".*

ფორმულა 1

# შუმის ფერარიც ადასტურებს

## მერსედეს გრან-პრიმ სპონსორი იშოვა

■ ■ ■

სანამ შუმახერის ტრანსფერის საკითხი გაირკვევა, „მერსედეს გრან-პრიმ" ახალი სპონსორი იპოვა. ცოტა ხნის წინ კომპანია „პეტრონასმა" გამოაცხადა, რომ არ აპირებს „დიდ რბოლებში" ფულის დაბანდებას, მაგრამ ახლა გადაიფიქრა და გერმანულ გუნდთან გააფორმა სასპონსორო ხელშეკრულება.

საწვავის მწარმოებელი კომპანიისა და „მერსედესის" თანამშრომლობის შესახებ გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა. ახლა გერმანულ გუნდს ასეთი სახელი ექნება - Mercedes GP Petronas Formula One team. „მერსედესის" ბოლიდზე „პეტრონასის" ლოგოს 1 თებერვალს - ვალენსიაში გასამართ ტესტებზე განათავსებენ.

# რომში გრან-პრი იქნება

ჩვენ, უკვე არაერთხელ დავწერეთ რომის გრან-პრის ჩატარების იდეაზე: 2009 წლის მაისში წარადგინეს ქუჩის ტრასის გეგმა, ივნისში ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექსლტოუნმა** დაარეგისტრირა ეტაპის ოფიციალური სახელწოდება - Formula 1 Gran Premio di Roma, ახლა კი რბოლის ორგანიზატორებმა ჟურნალისტებს ოფიციალური დოკუმენტების გაფორმების შესახებ აცნობეს.

*„ბერნი ექლსტოუნთან მიღწეულია რომის გრან-პრის ჩატარების შეთანხმება",* - ამბობს რომის მერი **ჯანი ალემანო.**

შეთანხმება ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონტრაქტს. თავდაპირველად ტრასა არის ასაშენებელი (მისი ღირებულება 150 მილიონ ევროდ ფასდება), მაგრამ, რაც მთავარია, ასეთი შეთანხმება მხარეების ამბიციურ გეგმებს ადასტურებს. წინ ქალაქის ავტოდრომის მშენებლობაა, რომელიც ფორმულა 1-ის ეტაპს სავარაუდოდ 2012 ან 2013 წელს მიიღებს.





გერმანიაში 1400 სპორტული ჟურნალისტი გამოიკითხა იმის დასადგენად, თუ ვინ არის 2009 წელს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი.

კაცებს შორის დიდი უპირატესობით აჯობა ყველას მოცურავე **პაულ ბიდერმანმა**. მან წელს რომში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს ორი მედალი მოიპოვა - თავისუფალი სტილით 200 და 400 მეტრ დისტანციებზე. თანაც ორივე შემთხვევაში გერმანელმა სარეკორდო დრო აჩვენა.

400 მეტრზე ბიდერმანმა ლეგენდარული ავსტრალიელის **იან ტორპის** მიერ 2002 წელს დამყარებული რეკორდი დაამხო, 200 მეტრზე კი თვით **მაიკლ ფელპსი** დაამარცხა ფინალში.

ქალებში პირველი ადგილი შუბის მტყორცნელმა **შტეფი ნერიუსმა** მოიპოვა. 37 წლის მძლეოსანმა პირველად მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო - წინა სამ პირველობაზე გერმანელი ბრინჯაოს მედალს სჯერდებოდა.

აღიარება

# გერმანიამ საუკეთესოები დაასახელა

**საუკეთესო კაცი**

1. პოლ ბიდერმანი (ცურვა) - 3569
2. სებასტიან ფეტელი (ფორმულა 1) - 2034
3. რობერტ ჰარტინგი (მძლეოსნობა) - 1437
4. ფილიპ ლამი (ფეხბურთი) - 691
5. არტურ აბრაჰამი (კრივი) - 685
6. ტომაშ ლურცი (ცურვა) - 605

**საუკეთესო ქალი**

1. შტეფი ნერიუსი (მძლეოსნობა) - 3443
2. ბრიტა შტეფენი (ცურვა) - 2741
3. მარია რიში (მთის თხილამურები) - 1934
4. კატი ვილჰელმი (ბიატლონი) - 1213
5. არიან ფრიდრიხი (მძლეოსნობა) - 782
6. ინკა გრინგსი (ფეხბურთი) - 669

**საუკეთესო გუნდი**

1. ქალთა ნაკრები (ფეხბურთი) - 2846
2. ვოლფსბურგი (ფეხბურთი) 1888
3. კაცების ნაკრები (ნიჩბოსნობა) - 1709
4. სავჩენკო/შოლკოვი (ფიგურული სრიალი) - 1502
5. ბრინკი/რეკერმანი (პლაჟის ფრენბურთი) - 1387
6. კაცების ნაკრები (მაგიდის ჩოგბურთი) - 1295

ძიუდო

# ეჭვმიტანილია მკვლელობაში



უკრაინის სპორტის დამსახურებულ ოსტატ **ევგენი სოტნიკოვს** უკრაინის მილიცია ეძებს. ძიუდოისტი 18 წლის ბიჭის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი.

*„19 დეკემბერს, დაახლოებით 20 საათსა და 30 წუთზე ქალაქ ზაპოროჟიეს ერთ-ერთ კაფეში მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. სიკვდილის მიზეზი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღმოჩნდა",* - იტყობინებიან მილიციის მუშაკები.

სოტნიკოვი ერთხელ უკვე იყო გასამართლებული - 2007 წელს მან ფეხში დაჭრა მამაკაცი. 2008 წელს დანით მიაყენა ჭრილობა უცნობ მამაკაცს, თუმცა ამ უკანასკნელმა ფაქტის შესახებ მილიციაში არ განაცხადა და ძიუდოისტის წინააღმდეგ საქმე არ აღძრეს.

კარიერაში ევგენი სოტნიკოვის ყველაზე დიდ მიღწევად 2003 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ითვლება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| უიგანი-ბოლტონი | გადაიდო |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ნოტსი | გადაიდო |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კაიზერი | 4:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მეცი-კაენი | გადაიდო |

**ჰოლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| ჰერაკლესი-იგლზი | 0:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ოლანენსე | 2:2 |

**საბერძნეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი (ვ)-კალამატა | 3:0 |

**თურქეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ძარაბუქი-ადანა | 1:0 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| ანორთოსისი-ერმისი | 1:0 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (რ) | 5:0 |

TV პროგრამა

**22 დეკემბერი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:55 სპორტული სამყარო.
11:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.
13:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ჯენოა-ბარი.
16:45 კალათბურთი. ევროლიგა. VIII ტური. ცსკა-მაკაბი.
18:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
18:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ ჯერსი-ოტავა.
20:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. უიგანი-ბოლტონი.
23:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:05 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:10 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
02:55 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პარიზი. საფრანგეთი.
04:25 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
05:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ხოსე (LIVE).
07:45 სპორტული სამყარო.

**SPORT 2 (უკრაინა)**

08:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ჰერტა.
10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
10:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-ტამპა ბეი.
12:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ცსკა-ვოლფსბურგი.
14:20 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბრიუგე.
16:05 სპორტული სამყარო.
19:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.
22:15 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. რუბინი-დინამო.
01:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. შახტარი-ბრიუგე.
02:45 მძლეოსნობა. გრან-პრი. იტალია.
05:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
06:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ლაციო.

**EUROSPORT**

11:35 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
13:00 ფორმულა 1. ტელეჟურნალი.
14:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS137. ენგელბერგი. შვეიცარია.
15:30 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ქალები. რბოლა გამოდევნებით. პოკლიუკა. სლოვენია.
16:00 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. რომი. იტალია.
17:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
18:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ჯგუფების მიმოხილვა.
20:30 ფეხბურთი. აფრიკის ერთა თასი. ჯგუფების მიმოხილვა.
21:45 რალი. დაკარი. ტელეჟურნალი.
21:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2001-09. საუკეთესო ფინალები.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. ფინალი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
23:00 ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი. საუკეთესო მომენტები. რომი. იტალია.
00:00 პროფესიული კრივი. WBA-ის სატიტულო ბრძოლა. სუპერმძიმე წონა. ნიკოლაი ვალუევი (რუსეთი)-დევიდ ჰეი (პანამა). გერმანია.
02:00 ექსტრემალური სპორტი.
02:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
03:15 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. სეზონის მიმოხილვა.
03:45 ავტოსპორტი. ჩემპიონთა რბოლა. პეკინი. ჩინეთი.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-დეტროიტი 3:0**

1:0, 2:0, 0:0

გოლები: 1:0 კეიტი-6 (ტეუვზი-13, ვერსტეეგი-10), 2:0 ბ. კემპბელი-3 (შარპი-16, ლედი-7), 3:0 ბიფულინი-10 (მადენი-6, კეიტი-22).

**ვანკუვერი-სტ. ლუისი 1:3**

1:1, 0:2, 0:0

გოლები: 0:1 ბეკსი-8 (კარია-10, ოში-11), 1:1 ო'ბრაიენი-1 (სამუელსონი-13, რეიმონდი-11), 1:2 ბეკსი-9 (სტინი-3), 1:3 ტკაჩუკი-8 (ბოიესი-14, ჯეკმენი-6).

სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი

**ალტა ბადია (იტალია). კაცები**

**გიგანტური სლალომი**

1. მასიმილიანო ბლარდონე (იტა) - 2:35.76 (1:18.62+1:17.14); 2. დავიდე სიმონჩელი (იტა) - 2:36.19 (1:18.72+1:17.47); 3. სიპრიენ რიჩარდი (საფ) - 2:37.39 (1:19.32+1:18.07); 4. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 2:37.46 (1:20.24+1:17.22); 5. მანფრედ მოელგი (იტა) - 2:37.72 (1:18.89+1:18.83); 6. ალექსანდრ პლონერი (იტა) - 2:37.73 (1:19.86+1:17.87).

**სლალომი**

1. რაინფრიდ ჰერბსტი (ავსტრია) - 1:49.31 (53.57+55.74); 2. სილვან ცურბრიგენი (შვეიც) - 1:49.39 (53.93+55.46); 3. მანფრედ პრანგერი (ავსტრია) - 1:49.48 (53.35+56.13); 4. მანფრედ მოელგი (იტა) - 1:49.81 (54.26+55.55); 5. მაიკლ იანიკი (კან) - 1:49.98 (54.21+55.77); 6. ჯულიანო რაცოლი (იტა) - 1:50.30 (54.57+55.73).

**საერთო ჩათვლა**

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) - 565; 2. კარლო იანკა (შვეიც) - 553; 3. აქსელ-ლუნდ სვინდალი (ნორ) - 443; 4. დიდიე კუში (შვეიც) - 436; 5. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) - 333; 6. ტედ ლიგეტი (აშშ) - 317.

**ვალ დ'იზერი (საფრანგეთი). ქალები**

**სუპერკომბინაცია**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 2:37.55 (1:44.66+52.89); 2. მარია რიში (გერ) - 2:38.71 (1:46.18+52.53); 3. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 2:38.94 (1:47.10+51.84); 4. ანია პერსონი (შვედ) - 2:39.64 (1:47.13+52.51); 4. მიხაელა კირხგასერი (ავსტრია) - 2:39.64 (1:48.73+50.91); 6. ანა ფენინგერი (ავსტრია) - 2:40.50 (1:47.50+53.00).

**სუპერგიგანტი**

1. ფრაენცი აუფდენბლატენი (შვეიც) - 1:26.43; 2. ნადია შტიგერი (შვეიც) - 1:26.66; 3. ლინდსი ვონი (აშშ) - 1:26.69; 4. ფაბიან სუტერი (შვეიც) - 1:27.33; 5. ნადია ფანკინი (იტა) - 1:27.45; 6. დომინიკ გისინი (შვეიც) - 1:27.50.

**საერთო ჩათვლა**

1. ლინდსი ვონი (აშშ) - 581; 2. მარია რიში (გერ) - 531; 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) - 384; 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) - 298; 4. ანია პერსონი (შვედ) - 298; 6. ტინა მაზე (სლოვენ) - 278.

ჩოგბურთი

# ათწლეულის დიდი ბრძოლები

**ვებგვერდმა Yahoo!Sports-მა გასული ათწლეულის ყველაზე დიდი საჩოგბურთო დაპირისპირებები გაიხსენა. სპეციალისტებმა ხუთი ყველაზე საინტერესო დუელი გამოარჩიეს, რომლებმაც ყველაზე მეტად მოხიბლეს საჩოგბურთო პუბლიკა.**

**1. როჯერ ფედერერი-რაფაელ ნადალი**

შვეიცარიელი ჩოგბურთელის თითქმის ათწლიანი დომინირება უფრო მძლავრი და საშიში იქნებოდა, 2004 წელს ის ბრძოლაში რომ არ გამოეწვია **რაფაელ ნადალს.**

მაშინ Sony Ericsson Open-ის ფინალში როჯერის დამარცხების შემდეგ, ესპანელმა სათავე დაუდო მსოფლიოს უდიადესი ჩოგბურთელის წინააღმდეგ გამარჯვებათა ბრწყინვალე სერიას. დღეს ამ ჩოგბურთელების ურთიერთდაპირისპირების ანგარიშია - 13:7 ესპანელის სასარგებლოდ.

სხვადასხვა მსოფლმხედველობის მქონე ჩოგბურთელებს ერთი მნიშვნელოვანი თვისება აერთიანებთ - გამარჯვებისკენ სწრაფვა. გავიხსენოთ 2008 წლის უიმბლდონის ფინალი - ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დრამატული მატჩი, როცა არც ერთ მათგანს არ სურდა ნაგება და შეხვედრა შებინდებამდე გაგრძელდა.

ისე ჩანდა, რომ ფედერერი როლან გაროსზე განცდილი ზედიზედ რამდენიმე მარცხისთვის ყოველთვის უიმბლდონზე იძიებდა შურს ესპანელზე, მაგრამ 2008 წლის ფინალში რაფამ ეს შესაძლებლობაც მოუსპო როჯერს.

სამწუხაროა, რომ იქიდან მოყოლებული ჩოგბურთელები მხოლოდ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს - თავიდან იყო 2009 წლის ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი, სადაც ისევ ხუთსეტიან მატჩში კვლავ ესპანელს ხვდა გამარჯვება წილად. შემდეგ კი ფედერერმა რაფას საყვარელ თიხნარზე მოუგო. ეს მადრიდის მასტერსის ფინალში მოხდა.

**2. პიტ სამპრასი-ანდრე აგასი**

ლეგენდარულმა ამერიკელებმა 1989-2002 წლებში 34-ჯერ გაარკვიეს ერთმანეთში ურთიერთობა. აქედან ექვსი მატჩის ჩატარება მათ ბოლო ათწლეულში მოასწრეს.

2000 წელს ავსტრალიის ღია პირველობის ლეგენდარულ ნახევარფინალში **აგასიმ** დაამარცხა ისტორიული მოწინააღმდეგე, არადა მატჩის მსვლელობისას 1:2-ს აგებდა. ისე ჩანდა, რომ ტაიბრეიკზე ანდრეს 7:0 განადგურების შემდეგ, **პიტმა** საბოლოოდ იგდო ხელთ ინიციატივა, მაგრამ აგასი არ დანებდა. მან თავისი თამაში მოახვია თავს სამპრასს და ხუთ სეტში გაიმარჯვა.

შემდეგ ანდრემ გააგრძელა პიტზე გამარჯვებები - ინდიან უელსში, ლოს ანჯელესში... თუმცა დეკადის ბოლო ორ მატჩში სამპრასმა იყოჩაღა.

2001 წელს ამერიკის ღია პირველობის მომქანცველ მეოთხედფინალში აგასიმ დამარცხებულმა დატოვა კორტი, არადა მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 19 უნებლიე შეცდომა დაუშვა. დაბოლოს, 2002 წელს იმავე აშშ-ის ღიას ფინალში გამარჯვებით, სამპრასი ლამაზად გამოეთხოვა არამარტო ჩოგბურთს, არამედ კორტის მეორე მხარეს მყოფ მუდმივ მოწინააღმდეგეს.

**3. რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი**

სამწლინახევრის განმავლობაში ამ ჩოგბურთელებმა 21 დუელის გამართვა მოასწრეს და აქედან თოთხმეტში გამარჯვება ნადალს დარჩა. თიხნარზე სტატისტიკა კიდევ უფრო შთამბეჭდავია - 9:0 ესპანელის სასარგებლოდ.

თუმცა ბოლო დროს **ჯოკოვიჩმა** ალღო აუღო პირენეელის თამაშს და მათი ბოლო სამი შეხვედრა ჰარდზე სერბი ჩოგბურთელის გამარჯვებით დასრულდა.

**4. დავიდ ნალბანდიანი-როჯერ ფედერერი**

არგენტინელისა და შვეიცარიელის ურთიერთობა 2002 წელს მონტე კარლოს მასტერსიდან დაიწყო. მაშინ **ნალბანდიანმა** შანსი არ დაუტოვა როჯერს. იქიდან მოყოლებული, სამხრეთამერიკელი ერთ-ერთი იშვიათი ჩოგბურთელთაგანია, რომელსაც მსოფლიოს პირველ ჩოგანთან სტაბილური კონკურენციით შეუძლია დაიკვეხნოს.

ფედერერთან მისი მატჩების ბალანსი ასეთია - 8:10. შვეიცარიელზე ყველაზე გმირული გამარჯვება კი 2005 წლის ATP-ის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ჰქონდა, როცა როჯერი ორი სეტით იყო დაწინაურებული, მაგრამ არგენტინელმა ზედიზედ სამი პარტია და მთლიანად მატჩი მოიგო.

**5. პატრიკ რაფტერი-ანდრე აგასი**

ავსტრალიელმა და ამერიკელმა ბოლო ათწლეულში „დიდი სლემის" ტურნირებზე ორი დაუვიწყარი ნახევარფინალი გვაჩუქეს.

**რაფტერს** მამაკაცთა ტურში ერთ-ერთი საუკეთესო მოწოდება ჰქონდა, ანდრეს კი მიღებაზე თამაშში არ ჰყავდა ბადალი.

პირველ შემთხვევაში ავსტრალიელის მოწოდებამ აჯობა ანდრეს მიღებას. 2001 წელს, უიმბლდონის ნახევარფინალში პატრიკმა ხუთ სეტში მოიგო. ბოლო პარტიაში აგასი 5:4-ს იგებდა, მაგრამ ავსტრალიელმა ძალების არანორმალური დაძაბვით გაიმარჯვა - 8:6!

2001 წელს, ავსტრალიის ღია პირველობაზე რაფტერისა და აგასის ნახევარფინალი ნაადრევ ფინალად მონათლეს. ლასვეგასელმა ადგილობრივი გულშემატკივრებისთვის გულის გასახეთქად გაიმარჯვა. აქაც ხუთი სეტის ჩატარება გახდა საჭირო.





# კლაისტერსი წლის სპორტსმენია

წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოავლინეს ბელგიაში. როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებს შორის დიდი უპირატესობით **კიმ კლაისტერსმა** გაიმარჯვა. ორწლიანი შესვენების შემდეგ დიდ სპორტში დაბრუნებულმა კიმმა წელს ამერიკის ღია პირველობა მოიგო და ეს აღიარებაც სწორედ ამ წარმატებიდან მოდის. სხვათა შორის, მეორე ადგილიც ჩოგბურთელმა დაიკავა - ეს გახლავთ გასული სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, იმავე აშშ-ის ღიას ნახევარფინალისტი **იანინა ვიკმაიერი**.

აღსანიშნავია, რომ კლაისტერსმა მეექვსედ მოიგო ეს პრესტიჟული ჯილდო.

კაცებს შორის ზედიზედ მესამედ გამარჯვებულად ველომრბოლებს ირჩევენ. ამჯერად საუკეთესოს ტიტული **ფილიპ ჟილბერს** მიანიჭეს, რომელმაც წელს ორი კლასიკური ველომრბოლა - ჯირო ლომბარდია და პარიზი-ტური მოიგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


# ხომ გიყვართ კითხვა?

**ჩაერთეთ აქციაში 31 დეკემბრამდე**

**„ჩვენ გჩუქნით წიგნებს!"**

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლ „პალიტრის" კიდევ 1 გამოცემა, აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის 3 ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

**„დედამიწა"**

**„ცხოველები"**

**„მსოფლიოს დიდი ატლასი"**

ავტომატურად თქვენ ხდებით **„დიდი მხატვრების"** სერიის ხელმომწერი







**მედია სახლ „პალიტრის" გამოცემები:**

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2.00 | 52 | 104.00 |
| ყველა სიახლე | 1.00 | 52 | 52.00 |
| გზა | 1.00 | 52 | 52.00 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.60 | 52 | 31.20 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.60 | 312 | 187.20 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"**

**www.elva.ge**

**☎ 38 26 73; 38 26 74;**

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეუძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაყიდვის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.